აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო

Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara Autonomous Republic – Archives Administration

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

A R C H E I O N

XXI

თბილისი 2021 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი
რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე
სარედაქციო საბჭო:
თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი მერაბ კეზევაძე, ჯემალ კარალიძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე

Maia Ivanishvili – chairman of editorial board
Tamaz Putkaradze – editor
Editorial Board:
Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Merab Kezevadze, Jemal Karalidze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.
Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10
ვებ გვერდი: http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2

გამომცემლობა „უნივერსალი", 2021

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ელგუჯა ჩაგანავა

აჭარის არ საარქივო სამმართველოს მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო 2020 წელს მუშაობას წარმართავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

აჭარის არ საარქივო სამმართველო ყოველთვის წარმატებით ასრულებდა გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს. 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული რიგი სამუშაოების შეუსრულებლობა გამოიწვია მსოფლიო პანდემიამ, თუმცა მუშაობა არც ერთი წუთით არ შეჩერებულა.

2020 წელს საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანო – არქივების მიერ დოკუმენტების დაცვის, შენახვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის, დოკუმენტების საინფორმაციო – საძიებო სისტემის შექმნა – განვითარების, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის განვითარება – განმტკიცების თვალსაზრისით შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები.

1. დოკუმენტების დაცვა და შენახვა:

დოკუმენტების დაცვისა და შენახვის თვალსაზრისით შეიკერა და ყდაში ჩაისვა გეგმით გათვალისწინებული საქმეთა ერთეულები.

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანო – არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	საარქივო სამმართველო	12559	10846	86
2	ქობულეთის არქივი	1900	2941	154
3	ხელვაჩაურის არქივი	1500	2430	162
4	ქედის არქივი	158	158	100
5	შუახევის არქივი	1279	1279	100
6	ხულოს არქივი	300	300	100
	სულ	**17696**	**17954**	**101**

მარტივი, ფურცლოვანი რესტავრაცია ჩაუტარდა 17595 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24875 ფურცლისა. გეგმა შესრულდა 70%-ით.

გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოსავლენად. 2020 წელს გადათვალიერდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის (ფონდი №605) 1989-2000 წლის საქმეები. სულ გადათვა-

ლიერდა 295 დოკუმენტი და გამოვლინდა 22 განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტი. გეგმა შესრულდა 100%-ით. შესდგა აღწერილობითი სია, რომელიც დამტკიცდა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა **დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით.** სულ შემოწმდა 21271 შ/ერთეული, საქმეთა შეკვრებზე გამოიცვალა ძაფები და იარლიყები, მოხდა საქმთა სანიტარულ-ჰიგიენური გაწმენდა-დასუფთავება და თაროებზე განლაგდა ტოპოგრაფიული წესის მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების სრულ სურათს იძლევა წარმოდგენილი ცხრილი.

№	**სამმართველო და ტერიტორიული ორგანო – არქივები**	**გეგმა**	**შესრულება**	**%**
1	საარქივო სამმართველო	13299	13309	100
2	ქობულეთის არქივი	2247	1142	50
3	ხელვაჩაურის არქივი	1320	1782	135
4	ქედის არქივი	261	261	100
5	შუახევის არქივი	624	624	100
6	ხულოს არქივი	316	339	107
	სულ	18067	17457	96

არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა აგრეთვე ფოტოდოკუმენტებს. შემოწმდა ფოტოდოკუმენტების 350 შესანახი ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400 შ/ერთეულის და გეგმა შესრულდა 87%-ით.

II. დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება – გაუმჯობესება

მმართველობითი დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება – გაუმჯობესების მიზნით საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში გადამუშავება – გაუმჯობესება ჩაუტარდა 11 ფონდის 3353 საქმეთა ერთეულს – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4110 ერთეულსა. გეგმა შესრულდა 81%-ით. აღიწერა 2396 საქმეთა ერთეული, მათ შორის 82 ტექნიკური საქმე. გასანადგურებლად გამოიყო 424 საქმე.

ტერიტორიული ორგანოების არქივებში გადამუშავება – გაუმჯობესება ჩაუტარდა პირადი შემადგენლობის 4 ფონდს 877 ს/ერთეულს. ანაწერი შესდგა 579 ს/ერთეულზე. გასანადგურებლად გამოიყო 26 ს/ერთეული.

№	**სამმართველო და ტერიტორიული ორგანო – არქივები**	**გეგმა**	**შესრულება**	**%**
1	საარქივო სამმართველო	2032	2032	100
2	ქობულეთის არქივი	894	137	15
3	ხელვაჩაურის არქივი	955	440	46

4	ქედის არქივი	-	-	-
5	შუახევის არქივი	229	229	100
6	ხულოს არქივი	459	-	-
	სულ	4569	2838	62

III. ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება, დოკუმენტების მიღება

საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივებში 2020 წელს სახელმწიფო შენახვაზე მიღებულია და აღრიცხვაზე აყვანილია სულ – 3015 საქმე, მათ შორის მმართველობითი 2105 საქმე, 910 პირადი შემადგენლობის საქმე.

მიღებული იქნა **პირადი წარმოშობის 3 ფონდის 98 საქმეთა** ერთეული:

1.პედაგოგიკის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ბასილაძის პირადი ფონდი – 68 საქმეთა ერთეული;

2. ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის ა. ზამბახიძის პირადი ფონდი – 12 ს/ერთეული;

3.დამსახურებული არქივისტის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილის (1941-1945 წწ.) გ. ჩაგანავას პირადი ფონდი – 18 ს/ერთეული.

მიღებულ იქნა აგრეთვე 209 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1080 ფოტოდოკუმენტისა. გეგმის შეუსრულებლობის გამოწვეულია პანდემიით. ვერ მოხერხდა სხვადასხვა დანიშნულების ისტორიული ფოტოდოკუმენტების გადაღება-მოძიება.

წარმოდგენილი ცხრილი საშუალებას გვაძლევს ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების პროცესზე სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოებში.

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანო – არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	საარქივო სამმართველო	1985	2100	105
2	ქობულეთის არქივი	300	216	72
3	ხელვაჩაურის არქივი	225	198	88
4	ქედის არქივი	100	123	123
5	შუახევის არქივი	140	172	122
6	ხულოს არქივი	200	206	103
	სულ	2950	3015	102

მიღებული საქმეები შემოწმდა და შედარდა საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დამტკიცებულ აღწერილობითი სიებზე, შემოწმდა საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ განთავსდა ფონდსაცავების თაროებზე. ღირებული ფოტოდოკუმენტები დალაგდა თემატურად, ჩაიწყო კონვერტში. გაიშიფრა სათაურები. შემოტანილ მასალებზე შედგა ფოტოანაწერები.

IV. მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა – გადათვალიერება

2020 წელს სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივებში დაცული დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდა პირადი შემადგენლობის 46 ფონდს. სულ – 7870 საქმეს – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6426 საქმისა. გეგმა შესრულდა 121%-ით, მაკულატურაში გამოიყო სულ 2122 საქმე, აღწერილობითი სიები შედგა – 5628 შესანახ საქმეთა ერთეულზე. 120 საქმე გადავიდა მუდმივ შესანახად.

საკუთრივ, სამმართველოს ცენტრალურ არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 36 ფონდის 4682 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 1083 საქმე, ფონდში დარჩა 3599 საქმე.

ტერიტორიული ორგანოს არქივებში ექსპერტიზა ჩაუტარდა 10 ფონდის 3188 საქმეთა ერთეულს, მაკულატურაში გამოიყო 1038 საქმე, ფონდში დარჩა 2029 საქმე. მუდმივ შესანახად გადავიდა 120 საქმე.

საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება)

2020 წელს სამმართველოში ჩატარდა მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 3 სხდომა, სადაც განხილული იქნა 36 საკითხი. მათ შორის მმართველობითი დოკუმენტების 1560 საქმის, ხანგრძლივად შესანახი 1085 საქმის აღწერილობითი სიები, პირადი წარმოშობის 32 საქმის აღწერა. აქტის მიხედვით გასანადგურებლად შეთანხმდა 5090 საქმე და 2596 ფურცლოვანი დოკუმენტი. ასევე განხილული იქნა 6 საქმეთა ნომენტკლატურა და 1 საქმისწარმოების ინსტრუქცია.

2020 წელს საარქივო სამმართველოს დოკუმენტების სამეცნიერო ტექნიკური დამუშავების სპეციალისტების მიერ მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა დაწესებულება-ორგანიზაციების 10071 საქმე. მათ შორის 2 პირადი წარმოშობის ფონდის 32 საქმე. დამუშავდა მუდმივად შესანახი 950 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 531 საქმე, დროებით შესანახი 508 საქმე. მაკულატურაში გამოიყო 8082 საქმე. ასევე შემუშავდა საქმისწარმოების ნორმატიული დოკუმეტები, ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმეთა ნომენკლატურები, დებულებები, ინსტრუქცია.

V – დოკუმენტის გამოყენება

დოკუმენტების გამოყენების კუთხით მოქალაქეებიდან შემოვიდა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის 668 შეკითხვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 564 შეკითხვას, უარყოფითი 104-ს. ორგანიზაცია – დაწესებულებებიდან შემოვიდა სულ 1364 მომართვა, აქედან დადებითია 937 პასუხი, 421 კი უარყოფითი. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 15223 ლარი.

2020 წელს საარქივო სამმართველომ მოახდინა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადრო მონაცემების სრულყოფის

შესახებ“ სააგენტოდან წერილობით გამოთხოვილ ინფორმაციაზე საარქივო სამმართველოს მიერ საარქივო ცნობის (ინფორმაცია) მომზადება და მიწოდება სააგენტოსთვის. ომსახურება მიეწოდა საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის საშუალებით. სულ შემოვიდა 7244 მომართვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 4538 მომართვას, უარყოფითი 1891. ბიუჯეტში ჩაირიცხა 54971 ლარი. მთლიანად საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში შემოსულ განცხადებებსა და ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების რაოდენობას ცხრილის სახით შემდეგნაირად გამოიყურება:

№	სამმართველო და ტერიტორიული ორგანო – არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	საარქივო სამმართველო	189	116	4418
2	ქობულეთის არქივი	221	202	4692
3	ხელვაჩაურის არქივი	159	149	4257
4	ქედის არქივი	21	21	6150
5	შუახევის არქივი	20	18	4414
6	ხულოს არქივი	58	58	1616
	სულ	668	564	25547

VI. დოკუმენტის ციფრულ მატარებლებზე გადატანა

საარქივო სამმართველოში შექმნილია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება, რომელიც ახორციელებს ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანას. 2020 წელს გაციფრა-დასკანერდა 20 525 საქმის 2 026 302 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 300 000 გვერდისა და გეგმა შესრულდა 88%-ით. დარედაქტირდა 12 478 საქმის 1 914 685 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 300 000 გვერდისა. პროგრამაში ატვირთულია 2 458 ს/ერთეული შესაბამისი ანოტაციებით.

დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ღონისძიებების მომზადება – ჩატარებას. 2020 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მოეწყო 8 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 გამოფენისა. გეგმა შესრულდა 88%-ით. აქედან საარქივო სამმართველოში 4 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 გამოფენისა. გეგმა შესრულდა 133%-ით.

1. საარქივო სამმართელოს სამეცნიერო გამოცემების გამოფენა – (2020 წ. 2702-15.03)
2. მომზადდა საპრეზენტაციო და სადემონსტრაციო მასალა:
   ა.ციკლიდან „ქუჩის მხატვრობა (15.04);
   ბ. სლაიდშოუ – საარქივო სამმართველო ფოტოდოკუმენტებში;

გ. სლაიდშოუ – ე. ჩაგანავა – 70 წლის.

ტერიტორიული ორგანო ხელვაჩაურის არქივში მოეწყო ერთი გამოფენა ნაცვლად ორი გამოფენისა, ხოლო ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულოს არქივებში არსებული პანდემიის გამო ღონისძიბები არ ჩატარებულა.

რადიო და ტელეგადაცემის მომზადება

2020 წელს საარქივო სამმართველოში მომზადდა და რადიო-ტელევიზიით გადაიცა 6 გადაცემა, ნაცვლად გათვალისწინებული 3 გადაცემისა, გეგმა შესრულდა 250%-ით.

სატელევიზიო გადაცემები:

1. თ. ფუტკარაძე, ტელეგადაცემა ი. სიხარულიძეზე, 2020 წლის იანვარი;
2. თ. ფუტკარაძე, ტელეგადაცემა – დოკუმენტური ფილმი „ოშკი“, 2020 წ. იანვარი;
3. დედის, არქივისტის, ქალთა დღე და ე. ჩაგანავას 70 წლის იუბილის შესახებ, 29 თებერვალი 2020, საინფორმაციო გადაცემაში,
4. არქივისტის დღე. ტვ „აჭარა“, დილის ტალღა, 29 თებერვალი, 2020 (მ. ივანიშვილი, ი. ზოიძე, ე. ჩაგანავა);
5. ფ. ქარდავა, აჭარის რადიო – 2020 წ., ივნისი.

სტატიებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება (პუბლიკაცია)

2020 წლის მონაცემებით მომზადდა და გამოქვეყნდა 11 სტატია, ნაცვლად 9 სტატიისა. მომზადდა ბუკლეტი „აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“. გამოიცა ჟურნალი „არხეიონი“-ს XIX-XX ნომერი.

საინიციატივო ინფორმაცია

2020 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 2 საინიციატივო ინფორმაციის (წერილი) მომზადება. მომზადდა ორი, კერძოდ:

1. ახალშენის ფერისცვალების ბერძნული ეკლესია;
2. „ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება

საარქივო დარგის სრულყოფისათვის, საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით, 2020 წელს განხორციელდა 248 207 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, რაც წლიური გეგმის 97%-ს შეადგენს.

გამოცხადდა 80 934 ლარის ღირებულების 7 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გაფორმდა ხელშეკრულებები: დაცვის, ინტერნეტმომსახურების, კომპიუტერული მოწყობილების, საკანცელარიო საქონლის, სარე-

მონტო სამუშაოებისდა სერვისების შესყიდვაზე, თანხობრივმა ჯამმა შეადგინა 71 874 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, თანხით 37 268 ლარზე.

გაფორმდა 139 065 ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრუელბა. შესრულდა: გამანათებელი მოწყობილეების, ელექტრო, სამეურნეო და ჰიგიენური საქონლის შეძენა, შესრულდა საქმეთა საცავების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

Elguja Chaganava

Report on the work done by the Archives Administration of Ajara in 2020

Summary

Sub-department of Ajara Autonomous Republic Education, Culture and Sport Ministry – Archives Administration conducted its work in 2020 in accordance with the main action plan agreed with the LEPL Georgian National Archive of the Ministry of Justice of Georgia.

Archives Administration of Ajara has always successfully performed the works envisaged by the plan. The global pandemic has led to the failure of a number of works under the 2020 plan. The article presents the report of the work done by the Archives Administration during 2020, names the reasons for the non-fulfillment of some of the works envisaged by the plan.

სიმონ კილაძე

რა ხდებოდა 100 წლის წინ მოსკოვში: „ბათუმი – ჩვენ, ართვინ-არტაანი – თქვენ“ – ლენინის წერილის მიხედვით, რაზე უნდა დალაპარაკებოდა სტალინი თურქებს?

აბსტრაქტი. 1921 წლის 16 მარტი. მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში ერთობ მნიშვნელოვანი დიპლომატიური მოლაპარაკების ფინალი იწყება – ხელი უნდა მოეწეროს „რუსეთ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას“.

აი, სხდომათა დარბაზში შედის თურქეთის დელეგაცია: ეკონომიკის მინისტრი **იუსუფ ქემალი** (მეთაური), თურქეთის ელჩი რუსეთში, გენერალი **ალი ფუად ჯებესოი,** საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **რიზა ნური-ბეი...**

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **გიორგი ჩიჩერინი** თურქეთის დელეგაციის წევრებს მაგიდასთან იწვევს, რომელზეც ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტი დევს. დგება ისტორიული მომენტი: დოკუმენტს ხელს ჯერ აწერენ გიორგი ჩიჩერინი და სრულიად რუსეთის ცაკ-ის წარმომადგენელი ჯელალედინ კორკმასოვი, შემდეგ კი იუსუფ ქემალი, რიზა ნური და ალი ფუადი.

მოსკოვში ხელმოწერილი „რუსეთ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებით“, საქართველოს ტერიტორიების ბედიც გადაწყდა – ქართველთა დაუკითხავად, რუსეთის წითელი არმიის მიერ ოკუპირებული თბილისიდან შორს... იგივე ხელშეკრულება ეხებოდა აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიას და საზღვრებს.

Abstract. March 16, 1921. In Moscow, the final of important diplomatic talks begins at the building of the People's Commissariat of Foreign Affairs – the `Russia-Turkey Friendship and Brotherhood Agreement~ should be signed.

Here, the Turkish delegation enters the meeting hall. The Minister of Economy **Yusuf Kemal** (Commander), the Ambassador of Turkey to Russia, General **Ali Fuad Jebesoy,** the Representative of the Ministry of Foreign Affairs **Riza Nuri-Bey** ...

Russian People's Commissar for Foreign Affairs **Giorgi Chicherin** invites members of the Turkish delegation to a table with the initialed text of the agreement. There is a historic moment: the document is signed first by Giorgi Chicherin and the representative of the Russian CIA all over Jalaluddin Korkmasov, then by Yusuf Kemal, Riza Nuri and Ali Fuad.

The `Russian-Turkish Friendship and Brotherhood Agreement~ signed in Moscow also decided the fate of the Georgian territories – without questioning the Georgians, far from Tbilisi occupied by the Russian Red Army ... The same agreement also applied to the territory and borders of Armenia and Azerbaijan.

საქართველო-თურქეთის (ოსმალეთის) ურთიერთობა მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან, უფრო მეტიც, ძალზე ხშირად ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირება განსაზღვრავდა ხოლმე საქართველოს ბედს. ასე იყო XVIII საუკუნეში (იასის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1792 წელს); XIX საუკუნეში (ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1829 წელს; სან-სტეფანოს სამშვიდობო (საზავო) ხელშეკრულება 1878 წელს). საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სან-სტეფანოს ხელშეკრულება, რომლის თანახმად, რუსეთის იმპერიამ 1878-79 წლების ომში დამარცხებული ოსმალეთისაგან ისტორიული ქართული ტერიტორიები (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი... აჭარა და ართვინ-არტაანი) მიიღო – კონტრიბუციის სახით. აქვე შევნიშნავთ, რომ სან-სტეფანოს ხელშეკრულებით და მოგვიანებით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით დადგენილი რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვარი იურიდიულად უცვლელი იყო 37 წლის განმავლობაში.



გიორგი ჩიჩერინი

პირველ მსოფლიო ომში ანტანტასა და „ოთხთა კავშირს“ შორის საომარი მოქმედებები კავკასიაშიც გაჩაღდა. რუსეთი, როგორც ანტანტის წევრი, „ოთხთა კავშირის“ წევრ ოსმალეთთან ომში ჩაება. კავკასიის ფრონტზე მომხდარმა მოვლენებმა კორექტივები შეიტანა სასა-

ზღვრო-ტერიტორიულ საკითხებშიც: ბათუმსა და ართვინს ჯერ ოსმალები (ბრესტის 1918 წლის 3 მარტის ზავით და ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის უსამართლო ხელშეკრულებით), მოგვიანებით კი, ოსმალეთის დამარცხების შემდგომ, ბრიტანელები დაეუფლნენ (მუდროსის 1918 წლის ოქტომბრის ზავით), არტაანი კი პროთურქული ელემენტებისაგან ჩამოყალიბებულმა თვითმარქვია ე. წ. „ყარსის რესპუბლიკამ“ ჩაიგდო ხელში. საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა თითქმის იმავე სახით, როგორიც პირველ მსოფლიო ომამდე იყო: 1920 წლის ივლისში, როცა აჭარა (ბათუმის ოლქი ართვინითურთ) საქართველოს დაუბრუნდა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ კონტროლირებული სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა თითქმის აბსოლუტურ მაქსიმუმს მიაღწია. ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა. აქვე დავამატებთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მკვეთრად იყო გამოხატული დასავლური ვექტორით.

აი, ასეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს 1920 წლის ივლისში, მაგრამ რა ხდება თურქეთში?

- **თურქული „ეროვნული აღთქმა“ და ბათუმის საკითხი**

ირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის ტერიტორია გამარჯვებულებმა – ანტანტის წევრებმა – გავლენის სფეროებად გადაინაწილეს. გენერალი **მუსტაფა ქემალი**, თავის თანამზრახველებთან ერთად, არ შეურიგდა შექმნილ სიტუაციას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო: რეგიონებში ჩამოაყალიბა „თურქთა უფლებების დაცვის საზოგადოებები“, მიიმხრო ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატთა ნაწილი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეები და ჯერ ერზერუმში (1919 წლის აგვისტო), შემდეგ კი სივასში (1919 წლის სექტემბერი) „უფლებების დაცვის საზოგადოებათა“ წარმომადგენლების ყრილობები ჩაატარა „სამშობლოს გადარჩენის გზების“ ძიების მიზნით. აქვე აუცილებელია ითქვას, რომ კონსტანტინოპოლში, ანტანტის წარმომადგენლების კონტროლით, ოსმალეთის სულთნის მეჰმედ VI-ის მთავრობა ჯერ კიდევ არსე-

ბობას განაგრძობდა. მართალია, სულთნის მთავრობას მუსტაფა ქემალის მიმართ სიმპათიები არ ჰქონდა, მაგრამ მაინც დათანხმდა პარლამენტის (დეპუტატთა პალატის) არჩევნების ჩატარებას. არჩევნების შედეგებმა ანტანტის წარმომადგენლებს იმედი გაუცრუა – დეპუტატთა უმრავლესობამ მუსტაფა ქემალის მხარე დაიკავა: მათ პირველივე სხდომაზე, 1920 წლის 28 იანვარს მიიღეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი – „თურქეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, ანუ „ეროვნული აღთქმა“, რომლითაც თურქეთის მომავალი საზღვრები და სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრა. სხვათა შორის, ამ დეკლარაციის მეორე პუნქტში ბათუმის ოლქი თურქეთის ტერიტორიად არის წარმოდგენილი, „რომელიც „დედა-სამშობლოს“ ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში დაუბრუნდა“. ამასთან, პარლამენტმა „ეროვნულ აღთქმაში“ ბათუმის ოლქის მოსახლეობის ნების პლებისციტით გამოხატვის პრინციპიც შეიტანა.

1920 წლის 16 მარტის შემდეგ კი, როცა ანტანტამ კონსტანტინოპოლის ოკუპირება მოახდინა და ოსმალეთის ახლადარჩეული, მაგრამ ჯიუტი პარლამენტი დაშალა, მუსტაფა ქემალმა ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქალაქ ანგორაში (ანკარაში) თავისი მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო – დიდი ეროვნული კრება ჩამოაყალიბა, რომელშიც კონსტანტინოპოლიდან გამოქცეული 105 დეპუტატი შევიდა, დანარჩენი კი – 233 დეპუტატი, ხელახლა აირჩიეს.

საინტერესოა, რომ იმ პერიოდში რუსეთისა და თურქეთის ლიდერების – **ვლადიმერ ლენინისა და მუსტაფა ქემალის ი**ნტერესები ერთმანეთს დაემთხვა: ორივე ანტანტის ქვეყნებისა და მათი მოკავშირეების ინტერვენციას ებრძოდა, ევროპას ორივე – მოსკოვიც და ანგორაც მტრად თვლიდნენ. ბუნებრივია, საერთო პრობლემებმა საგარეო-პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა გამოიწვია – რუსეთის კომუნისტურმა და თურქეთის ქემალისტურმა მთავრობებმა ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს. 1920 წლის მაისში მუსტაფა ქემალმა მოსკოვში თავისი მთავრობის „საგარეო საქმეთა სახკომი“ (ასე უწოდებდნენ თურქი ქემალისტები მინისტრებს, რუსი კომუნისტების მსგავსად) ბექირ სამი-ბეი და მისი მოადგილე იუსუფ ქემალი მოსკოვში გაგზავნა. ისინი ჯერ თავიანთ საბჭოთა კოლეგებს – სახკომ გიორგი ჩიჩერინს და მის მოადგილეს – ლევ კარახანს შეხვდნენ, შემდეგ კი თვით სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმერ ლენინს. თურქები მოსკოვში საკმაოდ ხანგრძლივი დროით დარჩნენ – აგვისტოს ბოლომდე. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა „მეგობრობა-ძმობის ხელშეკრულების“ პროექტი, აგრეთვე შეთანხმება ფინანსებით და იარაღით დახმარების თაობაზე (დაახლოებით 8 ტონა ოქრო, რამდენიმე ათასი შაშხანა, ქვემეხები და ჭურვები).

ეხმარებოდნენ რა თურქ „ამხანაგებს“, რუს ბოლშევიკებს უფრო შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ – საბჭოთა რუსეთი ქემალისტურ მთავრობას ახლო აღმოსავლეთში ბოლშევიკური იდეების გატარების (მსოფლიო რევოლუციის) ინსტრუმენტად განიხილავდა. რასაკვირველია, როგორც ქემალისტები, ასევე კომუნისტები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეჭვითა და

უნდობლობით უყურებდნენ და თბილისის დასავლური დიპლომატია აშკარად არ მოსწონდათ.

კიდევ ერთი მიზანი, რომელიც თურქ ქემალისტებსა და რუს კომუნისტებს აერთიანებდათ: ორივენი ცდილობდნენ ყოფილი იმპერიების რაც შეიძლება მეტი ტერიტორია გაეკონტროლებინათ. უფრო მეტიც, ანგორის მთავრობა მოქმედებდა 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოსა და სომხეთთან დადებული კაბალურ ხელშეკრულებათა დებულებებით და როგორც საქართველოს ისტორიულ აჭარა-ტაო-კლარჯეთს, ასევე სომხურ ყარსსა და ყაგიზმანს (ანუ თურქეთის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ვილაიეთებს) თავის ტერიტორიებად მიიჩნევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „აღთქმის“ საფუძველზე პირველი პროტესტი ტერიტორიების გამო თურქეთმა საქართველოს ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში გამოუცხადა, როცა დიდმა ბრიტანეთმა აჭარიდან ჯარები გაიყვანა და ბათუმი საქართველოს დაუბრუნა, თუმცა იმ დროს ქემალისტების პროტესტისათვის თბილისს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. არადა, თითქმის იგივე განმეორდა 1921 წლის იანვარშიც, როცა საქართველოს დიპლომატიური მისია სიმონ მდივნის ხელმძღვანელობით ანგორაში ჩავიდა: „შეხვედრის დროს, საზღვრებზე საუბრისას, მუსტაფა ქემალმა „ეროვნული აღთქმა“ შეგვახსენა და მისი ტექსტი გადმოგვცა“, – ატყობინებდა ქართველი ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროს თბილისში. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, „ეროვნული აღთქმა“ თურქეთისთვის დღესაც მოქმედი იურიდიული დოკუმენტია, რადგან სწორედ მასში არის დაფიქსირებული თურქეთის ტერიტორიის ფარგლები.

- **თურქები მოსკოვში: „ბათუმი და ართვინ-არტაანი ჩვენია!“**

1920 წლის მეორე ნახევარში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდებოდა. წლის დასასრულს გადაწყდა მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებაც. საინტერესოა, რომ ბაქოს გავლით მოსკოვს მიმავალი ანგორის მთავრობის დელეგაცია იუსუფ ქემალის მეთაურობით ბათუმიდან თბილისში 4 თებერვალს, რუსეთის თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. საქართველოს ხელისუფლებამ თურქები დიდი პატივით მიიღო, გაიმართა ხანმოკლე მოლაპარაკება, რომლის დროსაც ქემალისტებმა დაადასტურეს ახლო მომავალში საქართველოსთან ხელშეკრულების დადების სურვილი.

საბჭოთა სარკინიგზო ტრანსპორტის ცუდი მუშაობის გამო თურქეთის დელეგაციამ მოსკოვში ჩასვლა დააგვიანა. თურმე ბაქოში მათი ვაგონი შეცდომით რომელიღაც მეორეხარისხოვანი ნელმავალი ეშელონისთვის ჩაუბამთ. იუსუფ ქემალი თითქმის ყოველი სადგურიდან ტელეფონით უკავშირდებოდა საგარეო საქმეთა სახკომს გიორგი ჩიჩერინს და დახმარებას სთხოვდა, სპეციალური ორთქლმავალი გვჭირდებაო. როგორც იქნა, 19 თებერვალს, თურქები მოსკოვში ჩავიდნენ...

სანამ დელეგაციის წევრები მილაგ-მოლაგდებოდნენ და პოლიტიკურ სიტუაციას გაეცნობოდნენ, მათ შორის კავკასიაშიც (სადაც რუსეთ-საქარ-

თველოს ომი იყო უკვე დაწყებული), რამდენიმე დღე გავიდა, 26 თებერვალს კი რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება (კონფერენცია) დაიწყო. თურქებმა მთავარი მოთხოვნა დააფიქსირეს: **1920 წლის აგვისტოში შედგენილ ძმობა-მეგობრობის ხელშეკრულების პროექტში ცვლილებები უნდა შესულიყო კავკასიაში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით: დოკუმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება უნდა ყოფილიყო თურქეთის ტერიტორიისა და მისი აღმოსავლეთის საზღვრის აღიარება რუსეთის მიერ.**

ამ დროს კი საქართველოში ყოველი მხრიდან შემოსეულმა რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავეს, მთავრობა ევაკუირებულია ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში... მარტის დასაწყისში ანგორიდან (ანკარიდან) მიღებული დირექტივების საფუძველზე იუსუფ ქემალმა რუსეთის მთავრობას ბათუმის, ართვინისა და არტაანის, აგრეთვე ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარება მოსთხოვა. ამით მან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ქალაქები მხოლოდ და მხოლოდ თურქეთს ეკუთვნის...

როგორც თურქული, რუსული და სომხური წყაროებით ირკვევა, გიორგი ჩიჩერინი წინააღმდეგი ყოფილა, რომ თურქეთს ყარსის ოლქი გადასცემოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში სომეხთა ლობისტად წოდებული გიორგი ჩიჩერინი მართლაც „კბილებით იცავდა“ სომეხთა ინტერესებს, კატეგორიულად მოითხოვდა თურქებს დაებრუნებინათ ყარსი და ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი, ყოფილი ლენინაკანი), რომლებიც ქემალისტებმა სომხეთთან 1920 წლის აგვისტოს ბოლოს დაწყებული ომის დროს ჩაიგდეს ხელში. ცნობილი რუსი დიპლომატის ამგვარ მოქმედებას თურქეთის დელეგაცია ძალზე გაუნაწყენებია, მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარიც კი უთქვამთ.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ საქართველოს მხარდამჭერი არც ანკარაში და არც მოსკოვში არავინ იყო. ჩვენი მოსკოველი ელჩი, სოციალ-დემოკრატი **გერასიმე მახარაძე** ჩეკამ დააპატიმრა, ხოლო ანკარაში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს მუსტაფა ქემალი სიტყვით დახმარებას ჰპირდებოდა, საქმით კი პირიქით აკეთებდა – ულტიმატუმი წამოგვიყენეს, რომ ჩვენს სამხედრო გარნიზონებს უმოკლეს ვადაში ართვინი და არტაანი უნდა დაეტოვებინათ. ნათქვამია, ძალა აღმართსა ხნავსო. რა უნდა ექნა უთანასწოროდ ბრძოლაში მყოფ საქართველოს მთავრობას?



გერასიმე მახარაძე

თბილისმა ანგორას ალტერნატივა შესთავაზა: ჩვენ ჯარს გავიყვანთ, მაგრამ სამოქალაქო მართვა-გამგებლობა ჩვენი დარჩესო. თურქებმა უარი განაცხადეს. მათი არმია ბათუმისკენ მიიწევდა. 7 მარტს ქართულმა ჯარმა ართვინი და არტაანი დატოვა. მოსკოვში რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ლენინი შეშფოთებულია თურქების დელეგაციის ჯიუტობით. და აი, საქართველოსათვის ასეთ დრამატულ ჟამს არენაზე გამოჩნდა კავკასიის პრობლემათა მცოდნე, რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი.

- **ლენინი: „თურქებს სტალინი დაელაპარაკება“**

9 მარტს ვლადიმერ ლენინი გიორგი ჩიჩერინს წერილს წერს: „**ამხანაგო ჩიჩერინ! მე უკიდურესად ვარ შეშფოთებული იმით, რომ თურქები ბათუმის შესახებ თანხმობას აჭიანურებენ და დროს იგებენ, სანამ მათი არმია ქალაქისაკენ მიიწევს. ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ გაჭიანურების უფლება. განიხილეთ ასეთი ზომა: თქვენ მოლაპარაკებას წყვეტთ იმ მოტივით, რომ ჩემთან ნახევარსაათიანი შეხვედრა გსურთ, სტალინი კი ამასობაში თურქების დელეგაციასთან გულახდილად მოილაპარაკებს, რომ საქმე დღესვე ბოლომდე მიიყვანოს**“ (ვ.ი.ლენინი. თხზულებათა სრული კრებული, ტომი 52-ე, გვ.92, მოსკოვი, 1970 (რუს). // http://bolshevick.org/teoriya-i-praktika-bolshevizma/lenin/52.pdf

ვლადიმერ ლენინს სულაც არ სურდა თავისი თურქი კოლეგის, მუსტაფა ქემალის განაწყენება, რადგან კრემლი თურქეთს, როგორც უკვე ვთქვით, აღმოსავლეთში თავის მნიშვნელოვან რევოლუციურ მოკავშირედ მიაჩნევდა. როგორც თურქი მკვლევარები ამტკიცებენ, მოლაპარაკების დროს ბათუმის კუთვნილების ირგვლივ წარმოქმნილი უთანხმოების გადაჭრაში მთავარი როლი სწორედ იოსებ სტალინს შეუსრულებია. ამასვე ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსებიც.

როგორც ლენინის წერილიდან ხდება ცნობილი, 9 მარტს მან თურქებთან საკითხის გარკვევა იოსებ სტალინს დაავალა, 10 მარტს კი იუსუფ ქემალმა თავისი მოთხოვნები ბათუმის თურქეთის შემადგენლობაში აღიარებაზე უკან წაიღო, ორიოდე დღის შემდეგ კი ხელშეკრულების პროექტზე საზეიმო ხელმოწერის თარიღად 16 მარტი დაინიშნა.

- **სტალინი: „ბათუმი ჩვენ, ართვინ-არტაანი – თქვენ“**

იბადება კითხვა: მაინც რა მოხდა 9 მარტის ღამეს ისეთი, რამაც თურქების პრეტენზიები დააცხრო? ზუსტად თქმა ძნელია (მოლაპარაკების სტენოგრამა საქართველოს არქივებში არ არის), მაგრამ შედეგი გვაფიქრებინებს, რომ სტალინი თურქებთან შეხვედრისას ერთგვარ კომპრომისზე წავიდა: მან პრიორიტეტი მიანიჭა ბათუმს, როგორც შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურსა და ბაქოს ნავთობსადენის ბოლო მონაკვეთის შენარჩუნებას, სხვა ქართული მიწები კი, სომხურთან ერთად, თურქებს დაუთმო. თუმცაღა, ბათუმის შენარჩუნებაც საეჭვო კომპრომისად გამოიყურება: თურქებს თითქოსდა უთქვამთ, ბათუმი ჩვენია, მისი სიუზერენები ჩვენ ვართ, მაგრამ კარგი, გითმობთ, ოღონდ აჭარას ავტონომიის სტატუსი უნდა მიანიჭოთო.

რასაკვირველია, იოსებ სტალინმა კარგად იცოდა, რომ ისტორიული ტაო-კლარჯეთი ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანი იყო – მას ხომ სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ისიც იცოდა, რომ თურქეთისათვის გადაცემულ ტერიტორიაზე უამრავი ქართული ქრისტიანული ძეგლი იყო შემორჩენილი... მაშ, რატომ მოხდა, რომ შატბერდი, ბერთა, ანჩი, პარხალი და იშხანი თურქეთს დარჩა? შეიძლება სტალინი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ დროებითია, იმჟამად აუცილებელი იყო თურქეთთან მეგობრობის შენარჩუნება, ვითარებას კი მომავალში გამოასწორებდა? ასე იყო თუ ისე, საქართველომ ტერიტორიის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა.

მოვლენებს თუ წინ გავუსწრებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იოსებ სტალინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების საკითხი მართლაც გაიხსენა და თურქეთს მათი დაბრუნება ოფიციალურად მოსთხოვა... ალბათ, მძიმე ტვირთად აწვა 1921 წლის 9 მარტის ღამით გაწეული კომპრომისი თურქებთან....

მოსკოვის ხელშეკრულება:

ა) „თურქეთი თმობს სიუზერენიტეტს ბათუმზე“

მოსკოვში ხელმოწერილი 16-მუხლიანი დოკუმენტის მთავარი მარცვალი პირველ მუხლშია, რომელშიც თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია მოცემული (ანუ საზღვარი საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან). „ცნებაში „თურქეთი“ იგულისხმება ის ტერიტორიები, რომლებიც განისაზღვრა ოსმალეთის დეპუტატთა პალატის მიერ შემუშავებული 1336 (1920) წლის 28 იანვრის „ეროვნული აღთქმით“, – ნათქვამია მასში. შემდეგ აღწერილია თურქეთის ამჟამინდელი საზღვარი – სარფიდან ნახჭევანამდე. რაც შეეხება ბათუმის ოლქს, მეორე მუხლში ვკითხულობთ: **„თურქეთი თანახმაა დაუთმოს თავისი სიუზერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოცემული საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს, იმ პირობით, რომ 1) ამ ადგილების მოსახლეობა ფართო ავტონომიით ისარგებლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება; 2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება, უბაჟოდ და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად“.**

აქვე მოკლედ განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს ტერმინი „სიუზერენიტეტი“ (“სუვერენიტეტისაგან“ განსხვავებით). „სიუზერენი“ – ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს მმართველს [მფლობელს], ხოლო „სიუზერენიტეტი“ – ამა თუ იმ ტერიტორიის მართვის [ფლობის] უფლებას. ეს ტერმინი ძირითადად შუა საუკუნეებში იხმარებოდა, თუმცა დღესაც შემორჩენილია.

ხელშეკრულების სხვა მუხლებით განისაზღვრა ნახიჩევანის ოლქის საზღვრები და სტატუსი (ავტონომია აზერბაიჯანის პროტექტორატით), ორივე მხარე აუქმებდა ადრე ხელმოწერილ ყველა ხელშეკრულებას, რომლებიც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენ, დაუშვებლად მიიჩნევდნენ ერთმანე-

თის ტერიტორიაზე მტრული ორგანიზაციების ან დაჯგუფებების არსებობას... ცალკეული მუხლები ეხებოდა საკონსულო კონვენციის დადებას, ვაჭრობას, მოსახლეობისათვის გადაადგილების თავისუფლებას და ოპტაციას (მოქალაქეობის შეცვლას, რაც ბათუმის ოლქის მოსახლეობაზეც ვრცელდებოდა), აგრეთვე ბოსფორ-დარდანელის სრუტეების სტატუსის შემუშავებას შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების კონფერენციაზე. მე-15 მუხლის მიხედვით, რუსეთი ვალდებულებას იღებდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების – აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხების სსრ-ების – მიმართ ძალისხმევა განეხორციელებინა იმ მიზნით, რომ მათაც დაედოთ თურქეთთან მსგავსი ხელშეკრულება (რაც შესრულდა კიდეც 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში. იხ. ქვემოთ).

მოსკოვის ხელშეკრულებას თან ახლდა ორი დანართი, რომლებშიც მოცემულია თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის დელიმიტაცია (არაქსისა და არფაჩაის ზონების ჩათვლით, რუსეთის გენშტაბის მიერ შედგენილი ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით.

ბ) სამართლიანი თუ უსამართლო?

საერთოდ, ამ ხელშეკრულების ირგვლივ ბევრი კრიტიკა გამოთქმულა, განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან დაწყებული და ახლაც ხშირად ითქმის: ყველაზე მეტად სომხები აქტიურობენ, რადგან მათ, ყარსზე და არარატის მთაზე რომ არაფერი ვთქვათ, დაკარგეს სევრის ხელშეკრულებით მოპოვებული შავ ზღვაზე გასასვლელი დაკარგეს.

მაინც როგორი სტატუსი აქვს მოსკოვის ხელშეკრულებას? რატომ უნდა იყოს ამ დოკუმენტით დადგენილი საქართველო-თურქეთისა და სომხეთ საქართველოს საზღვრები, როცა არც საქართველოს და არც სომხეთის წარმომადგენლებს მასზე ხელი არ მოუწერიათ? და რატომ არის დღესაც ძალაში ასი წლის წინ ხელმოწერილი დოკუმენტი? რატომ ვერ (არ) ხერხდება მისი დენონსირება?

- **მოდით, გავაანალიზოთ**

პირველი: საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სუვერენულ და საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოებს შორის – ასე იყო 1921 წლის დროინდელი საერთაშორისო სამართლით და ეს პრინციპი დღესაც არ შეცვლილა. იყვნენ თუ არა კომუნისტური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის მთავრობები საერთაშორისოდ აღიარებულნი? თუ გადავხედავთ იმდროინდელი ევროპული (დასავლური) სახელმწიფოების დამოკიდებულებას ანგორისა და მოსკოვის მთავრობების მიმართ, დავინახავთ, რომ არც ერთი და არც მეორე დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიერ იურიდიულად აღიარებულნი არ იყვნენ, ანუ მათ არ ჰქონდათ უფლებამოსილება რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულება დაედოთ. განსაკუთრებით ეს ეხება ქემალისტების მთავრობის სტატუსს: რადგან კონსტანტინოპოლში 1921 წლის მარტისათვის არსებობდა ოსმალეთის (თურქეთის) სულთნის კანონიერი მთავრობა, აქედან გამომდინარე, ოსმალეთის 1909 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ქემალისტური მთავრობა უკანონო იყო და ბუნებრივია, მას არანაირი საერთაშორისო უფლებამოსილება არ გააჩნდა. რა დასამა-

ლია და იმ დროს თვითონ მუსტაფა ქემალი სისხლის სამართლის დამნაშავედ (სულთნის მთავრობის მოწინააღმდეგედ) იყო შერაცხული და მას სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1920 წლის 11 მაისს გამოტანილი განაჩენით სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა.

მეორე: წესით და რიგით, რადგანაც ქემალისტური მთავრობა უკანონო იყო, მას არ ჰქონდა უფლება მოსკოვში, რუსეთთან მოლაპარაკების დროს საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების ბედი გადაეწყვიტა. მაგრამ თუნდაც ის კანონიერი ყოფილიყო, ამ შემთხვევაშიც კი ქემალისტების მიერ ხელშეკრულების გაფორმება მაინც უსამართლო იქნებოდა – მათ ხომ იურიდიულად ჰყავდათ აღიარებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის მთავრობა 1921 წლის 16 მარტისთვის ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა (ბათუმში). უფრო მეტიც, ანგორის მთავრობამ ფაქტიურად დაარღვია დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან, რომელიც 1921 წლის 8 თებერვალს იყო დამყარებული.

მესამე – მოსკოვის ხელშეკრულება უკანონო და უსამართლოა საქართველოსთვის იმის გამოც, რომ მოლაპარაკებაში თბილისი არ მონაწილეობდა (ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით) და მისი ტერიტორია, ისარგებლეს რა ქვეყნის უმწეო მდგომარეობით, ორმა მეზობელმა გაიყო. ეს იყო საქართველოსთვის, ქართველი ხალხისათვის იძულებით თავსმოხვეული ქემალისტურ-კომუნისტური გარიგება.

- **მოსკოვის ხელშეკრულების დენონსაციის მცდელობები**

ასეთი არასამართლებრივი სტატუსის მქონე ხელშეკრულება, ბუნებრივია, დიდი ხნის დენონსირებული (გაუქმებული) უნდა იყოს, მაგრამ ის მაინც დღემდე არსებობს ისტორიული არტეფაქტის სახით. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში მას კიდევ გააჩნდა მნიშვნელობა (იმ დროს სსრკ-ს და თურქეთს საზღვარი საერთო ჰქონდათ), მაგრამ საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, როცა რუსეთის და თურქეთის ტერიტორიებს უკვე ერთმანეთისაგან მრავალი კილომეტრი აშორებთ, როცა საქართველო საერთაშორისო სამართალსუბიექტია, მოსკოვის ხელშეკრულება უიმედოდ მოძველებულია.

1921 წლიდან მოყოლებული, მოსკოვის ხელშეკრულების გაუქმების (დენონსაციის) მცდელობა რამდენჯერმე იყო: პირველად 1945 წლის მარტში, **როცა იოსებ სტალინმა თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება მოსთხოვა** (მაგრამ უშედეგოდ), მეორედ – 2016 წლის თებერვალში, როცა **რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა, თურქეთთან ურთიერთობის გაუარესების ფონზე (სირიაში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებით), ხელშეკრულების დენონსაციის მიზნით საკანონმდებლო ინიციატივა შეიტანეს** (მაგრამ ასევე უშედეგოდ). რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დოკუმენტის ცალმხრივი გაუქმება მიზანშეუწონლად მიიჩნია, რაც ანკარასთან დამოკიდებულებას კიდევ უფრო გაამწვავებდა.

- **ხელშეკრულების მოქმედების ვადა: მითები თუ სინამდვილე?**

მოსკოვის ხელშეკრულების 100 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით გაისმის ხმები, რომელთა თანახმად, 2021 წლის 16 მარტს დოკუმენტი თავის იურიდიულ ძალას კარგავს და ავტომატურად გაუქმდება. მავანნი ამტკიცებენ, რომ ხელშეკრულება 100 წლის ვადით არის დადებულიო. საინტერესოა, რატომ გავრცელდა ასეთი თვალსაზრისი, რა არგუმენტები აქვთ ავტორებს? თუ ყურადღებით წავიკითხავთ ტექსტს, მასში მოქმედების ვადა მითითებული არ არის, ესე იგი, ეს ნიშნავს რომ ხელშეკრულება უვადოა. მით უმეტეს, რომ როცა ხელშეკრულებით საზღვრები და ტერიტორიის ფარგლებია დადგენილი, იმ ხელშეკრულებაში ვადები არ იწერება, სამომავლოდ რაიმე კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

არის საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ხელშეკრულების ვადის იდეა სომეხ მკვლევარებს დაებადათ: ჯერ კიდევ 1990-იან წლებში სომეხი დიპლომატი ლევონ ეირამჯიანცი ვარაუდობდა, რომ მოსკოვის ხელშეკრულებას დანართის აქვს ე.წ. „საიდუმლო ოქმები“ (რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის მსგავსად), რომლებშიც დოკუმენტის მოქმედების საბოლოო ვადაა მითითებული – 100 წელი და როგორც უკვე ვთქვით, მას ვადა გასდის. ლევონ ეირამჯიანცმა ეს ჰიპოთეზა საჯაროდ 2001 წელს გააჟღერა. მას შემდეგ მიმდინარეობს სპეკულაციაც ამ თემაზე. ლოგიკურია კითხვის გაჩენა: თუ სომეხმა მეცნიერებმა, რომლებსაც რუსულ (და თურქულ) არქივებში ყველგან ხელი მიუწვდებათ, დღემდე ვერ იპოვეს „საიდუმლო ოქმები“, ესე იგი, მათი არსებობის იდეა მხოლოდ მითებს განეკუთვნება, რეალურად არავითარი „საიდუმლო ოქმები“ არ არსებობს. სამწუხაროდ, „სომხური პოზიცია“ ქართველმა პოლიტოლოგებმაც „გაიზიარეს“ და მათი უსაფუძვლო განცხადებების წყალობით ბევრ ქართველს დღემდე სჯერა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება გაუქმდება და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების შანსი გაუჩნდება...

- **მოსკოვის შემდეგ – ყარსში: დეჟავიუ**

მოსკოვის ხელშეკრულების მე-15 მუხლით რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოსკოვის ხელშეკრულების პირობებს აღიარებდნენ, ანუ კრემლი მათზე ზეწოლას მოახდენდა. მოვლენებს ისევ წინ გავუსწრებთ: საქმე ის იყო, რომ როგორც ქართველ კომუნისტებს, ისე მათ სომეხ კოლეგებს, ტერიტორიების დაკარგვა გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდათ. შესაბამისად, როცა 1921 წლის ზაფხულში ცნობილი გახდა, მოლაპარაკება ყარსში გაიმართებაო, მათ რევანშის აღება განიზრახეს. პარტიის ცენტრალური ხაზიდან გადამხრელების (“უკლონისტების“) განზრახვა ცნობილი გახდა რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროსთვის (ორჯონიკიძე, კიროვი, ფიგატნერი, პლეშჩაკოვი და სხვები), რომელმაც მკაცრი დირექტივა მისცა ქართველ და სომეხ ამხანაგებს: **ყარსში მოლაპარაკება ჩატარდეს მოსკოვის ხელშეკრულების ჩარჩოების მკაცრი დაცვით; კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა მოახდინონ თურქეთთან სოლიდარობის დემონსტრაცია; არ დაუშვან ცალკეული რესპუბლიკების სეპარატისტული გამოსვლები; გამოიჩინონ ერთსულოვნება...** ცხადია, ასეთი მკაცრი გაფრ-

თხილების შემდეგ ძალზე რთული იქნებოდა პრეტენზიების წამოყენება, თუმცა ქართველმა უკლონისტებმა ბედი მაინც სცადეს.

რა მოხდა ყარსში, როგორი დიპლომატიური გაწევ-გამოწევა იყო მოლაპარაკების დროს, ეს ცალკე საუბრის თემას წარმოადგენს. ახლა კი ისევ მოსკოვის ხელშეკრულებაზე ვიმსჯელოთ.

• 2008 წლის აგვისტო: რატომ არ შევიდნენ რუსი სამხედროები აჭარაში?

სხვათა შორის, სხვადასხვა წყაროებით ირკვევა, რომ 21-ე საუკუნეში იყო მომენტი, როცა 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება აქტიურ პოლიტიკაში იქნა გამოყენებული: 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როცა რუსეთის ჯარები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მიუახლოვდნენ, თუმცა მის ტერიტორიაზე არ შესულან. სავარაუდოდ, თურქეთმა რუსეთი გააფრთხილა, ამ ტერიტორიის მთავარი სიუზერენი მე ვარო....

თუმცა არსებობს კიდევ ერთი თვალსაზრისი: თურქებს სურდათ აჭარაში ჯარების შეყვანა, მაგრამ კრემლმა წინასწარ მკაცრად განუცხადა ანკარას, რომ მსგავსი ნაბიჯი არ გადაედგა, რადგანაც რუსეთის ინტერესები იქნებოდა შელახული.

რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ეს ვარაუდები? ალბათ, მასში არის ჭეშმარიტების მარცვალი. გავიხსენოთ თურქეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის რეჯეფ ერდოღანის სასწრაფო ვიზიტი მოსკოვში სწორედ იმ ხანებში, როცა მან რუსეთის ლიდერებს კავკასიის სტაბილურობის პლატფორმის პროექტი გაუზიარა....

მოსკოვის ხელშეკრულებაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება (არის საკმაოდ ბევრი უცნობი და საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი დეტალები), მაგრამ მოკლე რეზიუმეს სახით პუბლიკაცია შეიძლება ასე დავასრულოთ:

ა) რადგან მოსკოვის უვადო ხელშეკრულების რიგი დებულებები დღეისათვის აშკარად ეწინააღმდეგებიან თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმებს – ვენის კონვენციის პრინციპებს და უიმედოდ მოძველდნენ, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ ხელმომწერმა მხარეებმა ხელშეკრულების დენონსირება განახორციელონ (ერთობლივი განცხადების ან ნოტების მეშვეობით).

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება უშუალოდ ეხება საქართველოს ტერიტორიას და საზღვრებს, სამწუხაროდ, იურიდიული თვალსაზრისით, საქართველოს რაიმე პრაქტიკული პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია, რადგან მის ხელმომწერ მხარეს არ წარმოადგენს.

დაბოლოს, რა ბედი ეწიათ იმ ადამიანებს, რომლებმაც 100 წლის წინ ხელი მოაწერეს მოსკოვის ხელშეკრულებას...

რუსეთის მხრიდან: გიორგი ჩიჩერინი, დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა სახკომი. თურქებთან მოლაპარაკების შემდეგ იგი მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას გენუის კონფერენციაზე, ხელი მოაწერა რაპალოს შეთანხმებას. 1923 წელს მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას ლოზანის კონ-

ფერენციაზე, რომლის დროსაც სრუტეების საკითხიც იქნა განხილული. 1925-27 წლებში ხელი მოაწერა სსრკ-თურქეთის შეთანხმებას მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ (რომელიც 1945 წელს იოსებ სტალინის მიერ იქნა დენონსირებული), ასევე სპარსეთთან (ირანთან). გიორგი ჩიჩერინი 1930 წლიდან პენსიაზე იმყოფებოდა. გარდაიცვალა 1936 წელს.

ჯალალედინ კორკმასოვი, დელეგაციის წევრი, დაღესტნის ასსრ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, იმავდროულად მიწვეული იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, თურქ ქემალისტების დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს. ხელსეკრულების გაფორმების შემდეგ იგი დაღესტანში თავის საქმიანობას დაუბრუნდა. 1931 წელს გადაიყვანეს მოსკოვში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. 1956 წელს რეაბილიტირებული იქნა.

თურქეთის მხრიდან: იუსუფ ქემალი, დელეგაციის მეთაური. მოსკოვიდან ანკარაში დაბრუნების შემდეგ მისი კარიერა აღმავალი გზით წავიდა: იყო ქემალისტთა მთავრობის წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი... 1933 წელს სახელმწიფო საქმიანობას ჩამოსცილდა და ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, კითხულობდა ლექციებს ეკონონიკის საგანში. თურქეთში 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ მცირე ხნით დაბრუნდა პოლიტიკაში – 1961 წელს იუსუფ ქემალი პარლამენტის დეპუტატად იქნა არჩეული. გარდაიცვალა 1969 წელს.

რიზა ნური, დელეგაციის წევრი. მოსკოვიდან ანკარაში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა ლოზანის კონფერენციაში თურქეთის დელეგაციის მეთაურის ისმეთ ინენიუს თანაშემწის რანგში. მოგვიანებით რიზა ნური დაუპირისპირდა მუსტაფა ქემალს, რის გამოც ემიგრაციაში წავიდა. თურქეთში დაბრუნდა ათა-თურქის გადრაცვალების შემდეგ, 1938 წელს. იყო ჯურნალ „თანდიდან“-ის რედაქტორი და პროპაგანდირებდა პანთურანულ და პანთურქულ იდეებს. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომია თურქეთის ისტორიოა 14 ტომად. გარდაიცვალა 1942 წელს.

ალი ფუად ჯებესოი, დელეგაციის წევრი, გენერალი, თურქეთის დიპლომატიური წარმომადგენელი რსფსრ-ში. მოსკოვური მისიის ვადის ამოწურვის შემდეგ იგი თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატად იქნა არჩეული, გახდა ოპოზიციური პარტიის წევრი და მისი ლიდერი, ქურთების აჯანყების (1925 წელი) დროს ალი ფუად ჯებესოის სახელმწიფო დალატი დააბრალეს, დააკავეს, მაგრამ 1926 წელს გაამართლეს. 1931 წელს იგი კვლავ იქნა არჩეული პარლამენტის წევრად, 1939-43 წლებში ეკავა საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრის პოსტი. 1948 წლიდან იგი ისევ დეპუტატი გახდა და სპიკერის თანამდებობაც ჰქონდა. 1960 წლის სამხედრო გადატრიალების დროს დააკავეს, თუმცა ისევ გაათავისუფლეს. ამის შემდეგ იგი პოლიტიკიდან საბოლოოდ წავიდა. გარდაიცვალა 1968 წელს. ალი ფუად ჯებესოიმ დაწერა მემუარების ოთხტომეული სახელწოდებით „მოსკოვური მოგონებები“ (1956 წელს), რომელშიც მოსკოვის მოლაპარაკება ფართოდაა გადმოცემული და რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის თარგმნილი ქართულად. არადა, საჭიროა.

Dzheni Madzharov

THE HANDS OF THE PROTEST IN GEORGIA (2003 − 2018) GESTURES – THE NEGLECTED CULTURAL HERITAGE

Gestures and gesture behavior are an essential part of the culture of every society. They carry important information, which requires their careful study. Gestures like other elements of culture may have been borrowed, accepted or changed. During the period of democratic changes in Georgian society (2003 − 2018) many and different public political events were organized and conducted. Participants in them applied Georgian gestures but also borrowed some from other peoples' culture. The study tracks how these gestures, after changing physical form, purpose and meaning, turn into protest gestures. It is shown how are created Georgian national peculiarities in the use of protest gestures, which enriches the intangible cultural heritage of Georgia in the 21st century.

Key words: Social changes in Georgia (2003 − 2018), protest gestures, applause, clenched fist, two arms raised, forefinger and middle finger spread out, flags and posters with symbol gestures

Although, we use many postures and gestures in everyday communication we rarely think of their place, role and importance in our culture. We do not realize that postures and gestures often implement information given in words, create a complete form of communication, and are an integral part of the composition of our culture. For various reasons, we do not pay special attention to gesture research in culture. We often neglect their use when explaining the meaning of an event, ritual or a custom. In many cases, it is the gestures that carry the important information which can be explained to clarify the essence of the phenomenon studied.

Postures and gestures used in every culture, like words in the language, are conditional signs. Their physical form, purpose and meaning are subject to negotiation by the society that uses them. The physical form of each posture and gesture, their purpose, as well as the meaning created and carried by them, form the so-called complex gesture dimensions (Маджаров 2017: 58-72). Here it is important to mention that the physical form in no way determines what the purpose and meaning of the posture and gesture are. Very often the same physical form can perform different purposes, both to create and convey different meanings, in the culture of different peoples, even by its use in the same culture. In every posture and gesture, the particular interdependence between form, purpose, meaning, function and semantics is determined by the structure and composition of the culture in which they are used. Important factors are the social environment, the causes and circumstances of use, as well as the sex, age, social status, emotional state and other conditions associated with the person using the appropriate posture or gesture.

The three dimensions of the gesture − physical form, purpose and meaning − connected in one, create the image and meaning of the individual posture or gesture. Only in this unified form they are present in the collective knowledge and memory of each society. This is one of the reasons why posture and gesture are key factors in creating the meaning of every action in culture. The sum of postures and gestures that are used in

communicating in a culture make up the composition of so-called gesture behavior. From the other hand, gesture behavior is an important part of the cultural heritage of any society, bearing the characteristics of its culture. How to use the postures and gestures of any society depends on many factors, one of the most important is the current worldview.

საგულისხმოა, რომ ქართული წერა-კითხვის შესწავლით დაიტერესებული ა. მიქელაძე „ივერიის“ რიგითი მკითხველიდან ამ გაზეთის კორესპონდენტი გახდა. მის წერილებში ნათლად გამოსჭვივის მგზნებარე პატრიოტისა და ჰუმანისტის სახე. იგი ყველაფერს აკეთებდა თავისი კუთხის კულტურული დაწინაურებისათვის და ქართულ ანბანს ასწავლიდა ყველა დაინტერესებულ პირს. ერთ-ერთ წერილში იგი მოახსენებს პეტრე უმიკაშვილს: „თქვენ რომ აზბუკები მიბოძეთ, იმიდგან დოურიგე ამათ და თქვენი შემოწმებით მეც ყურადღებას ვაძლევ... ყველას სურს რომ ისწავლოს წერა-კითხვა ქართულისა“. მის წერილებში ჩანს, თუ რა სწრაფად ვრცელდებოდა ქართული ანბანი მოსახლეობაში. „ჩემ გარეთ აჭარაში ორმეტმა ბოვშვმა ისწავლა ქართული წერა-კითხვა, ისინიც სოფლებშიდ სხვა ბავშვებს ასწავლიან. ერთი სიტყვით, ამ ახლო ხანში აჭარაშიდ გავრცელდება ქართული წერა-კითხვა“. ქართული ანბანის გავრცელებას თან მოჰყვა პ. უმიკაშვილის მიერ გამოგზავნილი სახელმძღვანელოები. „ თქვენი გამოგზავნილი წიგნები ათ თორმეტ ბავშვებსა მივეცი და ყველანმა... ქართული წერა-კითხვა შეისწავლეს. დღეს აჭარაში (ქედაში- ო.გ) თქვენი წყალობით ოცამდინ არის ქართული წერა-კითხვის მცოდნე და კიდეცა სხვებიც ისწავლიან. ათი წელიწადიც არ უნდა, რომ ყველანი შეისწავლის ძველებურს დედაენას, ქართულ წერა-კითხვას და ყველაი თქვენი ბატონობით განათლებული იქნებიან აქედგან“ (1891 წლის 22 იანვრის წერილი) **[ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 2002:86]**

თავისი უანგარო შრომით, მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებით ა. მიქელაძემ საფუძველი მოუმზადა პირველი ქართული სკოლის გახსნას ქედაში. ქართული სკოლის გახსნის თაობაზე გაზეთ „ივერიაში“ იგი წერდა: „მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნებიც დაბეჭდეს... ღმერთმა ხომ იცის, რომ დიდად მოწადინებულნი ვართ ჩვენსა და თქვენს შუა ძველებური სიყვარული გაცოცხლდეს

და ამით ერთმანეთის პატივისცემა და შველა ვიცოდეთ.... მოგმართავთ თქვენ, ჩემო საყვარელო ძმებო, და გევედრებით, რომ ქედაში სკოლა გაგვიმართოთ, კარგი სკოლა აჭარისათვის წამალი იქნება, მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება“ **[გაზ. „ივერია“ 1892, №213].**

კავშირი საქართველოს საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებთან იმდენად დიდი იყო, რომ ა. მიქელაძეს არ შეეძლო ერთი წუთითაც გაეძლო მათ გარეშე. მათგან იგი მოელოდა ცოდნის დაუშრეტელ წყაროს, რომელსაც თავის მხრივ ადგილობრივ „მოსახლეობას აწაფებდა“. იგი შეწუხებული იყო იმით, რომ „ივერიის“ მიღებად დაუგვიანდა და პეტრე უმიკაშვილს წერდა: „თქვენ წერილი მოგწერეთ, მოგივიდა თუ არა მე ვერაფერი შევიტყვე, აგერ ერთი თვე არის რაც მე „ივერია“ არ მიმიღია და ძლიერად შეწუხებული ვართ, რომ სოცოცხლე კარგად გავატაროთ, რომ საქართველოს და ქვეყნის ამბავები წამეკითხა და ხალხისათვის... განათლება რა ყოფილა ჩამეგონებინა“. როგორც შემდეგ გამოირკვა, „ივერიის“ დაგვიანება გამოწვეული ყოფილა ქედაში საფოსტო განყოფილების დახურვით, რაც ადგილობრივმა მმართველობამ გააკეთა.

პეტრე უმიკაშვილი დაინტერესებული იყო აჭარის ამბებით. იგი ეძებდა პროგრესულ პირებს, რათა მათი საშუალებით ქართული აზრი გაევრცელებინა აჭარაში. მისი ერთ-ერთი წერილი, რომელიც გამოგზავნილია ქედელი, კერძოდ, საღორეთელი (ახლანდელი პირველი მაისი) შაქირ-ეფენდისადმი, გამსწვალულია ამ კუთხის მოსახლეობისადმი დიდი სიყვარულით. წერილში ვკითხულობთ: „პირველად მრავალს მოკითხვას მოგახსენებთ თუ არ დაგავიწყდებათ ჩვენი ერთმანეთის ნახვა ამ ცხრა წლის წინათ აჭარაში, ქედაში, მოიგონებთ ამ წიგნის მომწერსა. მე ამ ზაფხულს ვიყავი ბათომში და მითხრეს, რომ შაქირ ეფენდი გემდურისო, ქართულის ჩვენი გურჯიჯას წიგნის არ გაგზავნავსო. სიხარულით მოგართმევდით წიგნსა, მაგრამ თქვენი ადრესი არ ვიცოდი და არც იმედი მქონდა, რომ ქართული წიგნი, მე რომ გასწავლეთ აღარ დაგავიწყდებოდა... მე ამ წიგნს დიდროვან ასოებით გწერ, მეშინია, იქნება ესეც ვერ წაიკითხოს და გაუჭირდეს... ნეტავი თქვენ ისე იცოდეთ ქართული გურჯის წერა, რაფრათაც ენა იცით და გეყურებათ. მაქაური ამბავი გვესმის, ბათომის სანჯახში და აჭარაში წიგნსა სწავლობენ და იკითხავენ, ბევრმა ისწავლა დაბეჭდილი წიგნის კითხვა. ღმერთმა ინებოს ხალხში სწავლა მოიფინოს, რომ კეთილი ისწავლოს და უცოდნელი არ დარჩეს. თქვენი კეთილის მონატრე პეტრე უმიკაშვილი. ტფილისი, 20იანვარს, 1888 წელს“ **[ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 123]**

ამ წერილებშიც ჩანს, თუ როგორ ისხამდა ფრთებს ქართული აზრი, თუ როგორ დგებოდა კლაპოტში ქართული კულტურის, ქართული სიტყვის აკვანი – აჭარა, სამხრეთი საქართველო.

ა. მიქელაძე მარტო ქართული წერა-კითხვის გავრცელებით როდი კმაყოფილდება. იგი იყო მასწავლებელი, ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე. იმ მძიმე პირობებში, როდესაც მალარია ანადგურებდა მოსახლეობას, ა. მიქე-

ლაძე სანიტრის ჩანთით დადიოდა სოფლიდან სოფელში და თვითონ ატარებდა მოსახლეობაში აცრებს. მისმა მადლიანმა ხელმა ბევრი ბავშვი და მოზარდი იხსნა სიკვდილისაგან. „ა. მიქელაძეს უყვარდა თავისი კუთხის მკვიდრნი და ყველაფერს აკეთებდა მათი კულტურული დაწინაურებისათვის. უმადურმა ხელისუფლებამ აბუჩად აიგდო მისი ღვაწლი და სიბერის დღენი ციხეში გაატარებინა“ **[ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 123]**

ა. მიქელაძე მგზნებარე პატრიოტი იყო. მან მთელი თავისი ენერგია მოახმარა აჭარის ნათელი მომავლის შექმნას, მემედ აბაშიძესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში. უბედურმა შემთხვევამ აღარ აცალა ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება. იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1919 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქელაძე ა, წერილები აჭარიდან, ბათუმი, 1995
2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008
3. ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 123
4. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბილისი, 2002
5. გაზეთი „ივერია”, თბილისი, 1892

Otar Gogolishvili

From the epistolary legacy of Abdul Mikeladze

Summary

Abdul Mikeladze has an honorable place among the Georgian figures who showed selfless service and devotion of the people. Abdul Mikeladze's journalistic legacy, which has been preserved in the pages of ,,Iveria~, ,,Droeba~ and other newspapers, is quite well known. His epistolary legacy has also now become available. In particular, we have copies of several letters sent by Abdul Mikeladze in 1880-90 to Petre Umikashvili. The article talks about these letters.

მაია რურუა

საქართველოს სსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო აჭარის ასსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის (მუკ) საოლქო საბჭოს ისტორიიდან (აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით)

საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული დოკუმენტების მიხედვით აჭარის ასსრ-ში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის დაარსების შესახებ ზუსტი ცნობები არ არის, თუმცა 1940 წლის 9 მაისით დათარიღებული საქართველოს სსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს სახელით გამოგზავნილი წერილის მიხედვით, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანიზაცია უნდა დაარსებულიყო 1925 წელს, რაზეც მიუთითებს წერილის შინაარსი – 1940 წლის 17 მაისს, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანიზაციის დაარსების 15 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისში, რუსთაველის თეატრში საზეიმო სხდომის ჩატარების შესახებ (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ.1; საქ. 1; ფურც. 7-10).

აჭარის მებრძოლ უღმერთოთა კავშირი თავის მხრივ ემორჩილებოდა საქართველოს სსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს, ეს უკანასკნელი კი სსრკ მებრძოლ უღმერთოთა კავშირს. მებრძოლ უღმერთოთა კავშირი პროპაგანდისტული ორგანიზაცია იყო, რომლის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ქვეყანაში ანტირელიგიური მუშაობის ჩატარება, მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მორწმუნეების რელიგიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება. საბჭოს წევრები და მოხალისეები, ასევე სპეციალურად მოწვეული ლექტორები ატარებდნენ ანტირელიგიურ ლექციებს სკოლებში, სასწავლებლებში, სხვადასხვა დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მოგვიანებით, (1940 წ) ლექციების უკეთ ჩატარების მიზნით ჩამოყალიბებული იქნა სალექციო ბიურო.

1937 წლის პირველი სექტემბრისათვის ქ. ბათუმში არსებობდა მებრძოლ უღმერთოთა კავშირის (მუკ) 23 უჯრედი 300 წევრით. წლის ბოლოსათვის კი ქალაქში მათი რაოდენობა გაიზარდა (129 ორგანიზაცია 6901 წევრით, ანტირელიგიური წრე-9 და ანტირელიგიური კუთხე- 26). მუკის ორგანიზაციების მიერ ჩატარებულია 89 ანტირელიგიური მოხსენება, გამოდის სპეციალური კედლის გაზეთი 4 ორგანიზაციაში, გარდა ამისა გავრცელებულია ანტირელიგიური ჟურნალ-გაზეთები: „მებრძოლი ათეისტი“ და გაზ. „ბეზბოჟნიკი“ (ასს ცსა, ფ. 260, ან. 1, საქ.1.ფურც.7-10).

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის უჯრედები და პირველადი ორგანიზაციები ჩამოყალიბებული იყო დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან. გარდა ამისა ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა სკოლები და ქოხ-სამკითხველოები. აჭარის განსახკომის 1937 წლის 11 თებერვლის N17 ბრძანების შესაბამისად, აჭარის რაიონების ქოხ-სამკითხველოებთან ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო წრეები. რომლებიც მუშაობ-

დნენ სპეციალური პროგრამით (ასს ცსა, ფ. 260, ან. 1, საქ.1.ფურც.15). პროგრამის მთავარ თემას წარმოადგენდა სიცოცხლის და ადამიანის წარმოშობის შესახებ მეცნიერული დასაბუთება და მოსახლეობის ანტირელიგიური აღზრდა.

ანტირელიგიური პროპაგანდა განსაკუთრებით ძლიერდებოდა რელიგიური დღესასწაულების წინ და იგი ერთნაირად ეხებოდა მართმადიდებლურ, გრიგორიანულ, ებრაულ, ისლამურ სარწმუნოებებს.

1939 წლის17 დეკემბერს საქართველოს მუკ-ის ცენტრალური საბჭოს ცირკულიარი დაეგზავნა საქართველოს მუკ-ის საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, რომელშიც აღნიშნულია: „7 იანვარს (ახალი სტილით) მოდის „ქრისტეს შობის“ დღესასწაული. ამავე დღესასწაულს გრიგორიანების ეკლესია ატარებს 19 იანვარს. 19 იანვარსავე მოდის ნათლისღება ანუ წყალკურთხევა. აღნიშნული რელიგიურ დღესასწაულების პერიოდში სამღვდელოება ყოველნაირად შეეცდება გააცხოველოს თავიანთი რეაქციული აგიტაცია, გააცდინოს მშრომელ მორწმუნეები შრომა-დღეებში, შეამციროს „მათი შრომის ნაყოფიერება“ . სწორედ ამიტომ მუკს მიაჩნია, რომ დღესასწაულების პერიოდში განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ანტირელიგიური პროპაგანდა და გატარდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ლექტორთა კადრების შერჩევა, მომზადება და მათი განაწილება წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებზე; ასევე ადგილობრივი რადიოს საშუალებით მოაწყონ ანტირელიგიური ლექციებისა და მოხსენებების გადაცემა, ამ თემაზე რაიონულ გაზეთებსა და კედლის გაზეთებში გამოაქვეყნონ წერილები; კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებში თვითმოქმედების წრეების გამოყენებით ჩაატარონ ანტირელიგიური საღამოები. (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ.1; საქ.3. ფურც. 5)

საბუნებისმეტყველო წრეები ჩამოყალიბებული იყო ბათუმის, ქობულეთის და ქედის რაიონებში არსებულ ქოხ-სამკითხველოებთან და კლუბებთან. წრეებში მეცადინეობა მიმდინარეობდა ქართულ, თურქულ და ბერძნულ ენებზე (ასს ცსა, ფ. 260, აღწ. 1; საქ.1; ფურც.15; 21-25; 37-38)

ანტირელიგიურ კომპანიაში ჩართული იყო აგრეთვე საქკინოს აჭარის განყოფილება, რომელიც აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აწარმოებდა ანტირელიგიური ხასიათის ფილმების ჩვენებას (ასს ცსა, ფ. 260, აღწ. 1; საქ.1; ფურც.44, 45)

1937 წლის 1 მაისიდან, ანტირელიგიური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მშრომელთა ფართო მასების რელიგიის გავლენისაგან განთავისუფლების საქმეში დახმარების გაწევის მიზნით, საქართველოს მუკ-ის ცენტრალური საბჭოს მიერ გამოშვებული იქნა ანტირელიგიური სამეცნიერო-პოპულარული მეთოდური ჟურნალი **„მებრძოლი ათეისტი“**. ჟურნალის თითოეული ნომრის ღირებულება შეადგენდა 1 მანეთს (ასს ცსა, ფ. 260, აღწ. 1; საქ.1; ფურც.60).

1937 წლის 9 ივლისს, მასწავლებელთა სახლში შედგა მებრძოლ უღმერთოთა კავშირის I-ლი საქალაქო, ხოლო ამავე წლის 29 ოქტომ-

ბერს, პირველი რესპუბლიკური კონფერენცია (ასს ცსა, ფ. 260, აღწ. 1; საქ.1; ფურც. 47, 123). 1938 წლის 27 სექტემბერს ჩატარდა II საქალაქო კონფერენცია (ასს ცსა, ფ. 260, აღწ. 1; საქ.2; ფურც.100, 109). კონფერენციის მასალების მიხედვით, 1938 წლისათვის ქალაქში უკვე მოქმედებდა 116 უჯრედი 6353 წევრით; საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 43 ლექცია, გაშვებულია 37 ანტირელიგიური კინო, მოეწყო 13 ანტირელიგიური კუთხე. 1939 წლის 17 აგვისტოს მონაცემებით, მუკ-ის ქალაქის ორგანიზაცია აერთიანებდა 120 პირველად ორგანიზაციას 6800 წევრით, ჩატარებული იქნა 77 ლექცია-მოხსენება (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ. 1; საქ.3 ფურც. 109).

საქართველოს მუკ-ის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 1947 წლის 18 იანვარს მოსმენილი იქნა აჭარის მუკ-ის საოლქო საბჭოს საანგარიშო მოხსენება 1946 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით, თუ 1945 წელს რესპუბლიკაში ირიცხებოდა 228 მუკის უჯრედი 7 700 წევრით, 1946 წლის ბოლოსათვის მათი რაოდენობა შეადგენს 255 უჯრედს 10 832 წევრით; თუ 1945 წელს ჩატარებული იყო 163 ლექცია, 1946 წელს ლექცია – საუბრების რიცხვმა შეადგინა-228; საოლქო საბჭოს მიერ გამოძებნილი იქნა სათანადო სახსრები ლექტორთა ჰონორარისათვის (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ. 1; საქ.10, ფურც. 6). 1940 წელს, მუკის ცენტრალური საბჭოს II პლენუმმა მიიღო დადგენილება ყველა რაიონში სალექციო ბიუროების (ლექტორთა ჯგუფები) ჩამოყალიბების შესახებ (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ. 1; საქ.4, ფურც. 14, 33). ლექტორებად უნდა შეერჩიათ მაღალკვალიფიციური კადრები, ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისრებოდა პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრს. ლექტორთა ჯგუფი თავის მუშაობას წარმართავდა დებულების საფუძველზე. პლენუმმა ასევე დაადგინა, რომ სათანადო ორგანოების წინაშე კიდევ ერთხელ უნდა დაესვათ საკითხი, რათა სიძველეთა დაცვის კომიტეტს ხელმეორედ გადაემოწმებინა, რამდენად წარმოადგენდა ყოფილი ეკლესიების შენობები ისტორიულ ძეგლებს.

მუკ-ის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა საწევრო ანარიცხები – 2 მანეთის ოდენობით წელიწადში. 1947 წელს აჭარის რესპუბლიკური საოლქო საბჭოს საწევრო გადასახადის გეგმა შეადგენდა 12 000 მანეთს. აღნიშნული შემოსავლის 70 % რჩებოდა ადგილზე, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ლექტორთა ჰონორარის ასანაზღაურებლად და ხელფასებისთვის (ასს ცსა, ფ. 260, საქ.10; ფურც.8).

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაკთა გადასამზადებლად სისტემატიურად ეწყობოდა კურსები

და სემინარები. მათ შორის ერთთვიანი კურსების ჩატარება იგეგმებოდა მოსკოვშიც, რომელზეც თანახმად საკავშირო მუკ-ის მომართვისა, აჭარის საოლქო საბჭოს უნდა გაეგზავნა ერთი ან ორი წარმომადგენელი. ამავე დროს თითო კურსანტის შენახვაზე ერთი თვის განმავლობაში მუკ-

ის აჭარის საოლქო საბჭოს უნდა გადაეხადა 500 მანეთი (ასს ცსა, ფ. 260, საქ.1, ფურც. 120-121; ს. 2, ფურც. 150).

აჭარის ყველა რაიონში მოქმედებდა მუკ-ის ორგბიუროები და პირველადი ორგანიზაციები, მათ შორის: ხულოს რაიონში- 70 პირველადი ორგანიზაცია 2000 წევრით; ქედაში -42 პ/ორგანიზაცია 1500 წევრით; ბათუმის რ-ში -28 პ/ორგანიზაცია 1500 წევრით; ქობულეთში- 40 პ/ორგანიზაცია – 1832 წევრით და ქალაქ ბათუმში- 75 პ/ორგანიზაცია 4000 წევრით (ასს ცსა, ფ. 260, საქ.10, ფურც. 9).

მეტად საინტერესოა საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენების მოსამზადებლად მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად აჭარის მუკის ორგანიზაციის მიერ 1938 წელს შედგენილი ცნობა, რომლის მიხედვით, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუსულმანური სამლოცველოების რაოდენობა შეადგენდა – 209; მათ შორის : ხულოს რაიონში – 105; ქედის რაიონში- 32; ბათუმის რაიონში- 28; ქობულეთის რაიონში-42 და ქ. ბათუმში-2; 1937 წელს აჭარაში მოქმედებდა 114, არ ფუნქციონირებდა, მაგრამ მთავრობის მიერ დახურულიც არ იყო-95, საბჭოთა ხელისუფლებამდე იყო 37 ეკლესია, მათ შორის: ხულოში -1, ქობულეთში-4; ბათუმის რაიონში-2; ქ. ბათუმში-10; 1937 წელს მოქმედებს მხოლოდ ოთხი ეკლესია: ფრანგების, სომხური და ბერძნული ქ. ბათუმში, ასევე ბერძნული ბათუმის რაიონში. საბჭოთა ხელისუფლებამდე ბათუმში იყო ერთი სინაგოგა და ბაპტისტების 3 ვოსტელი, 1937 წელს არ ფუნქციონირებს არც ერთი. ძველი სამლოცველოებიდან გამოყენებულია:

1. სინაგოგა-ფიზკულტურის დარბაზად;
2. ჰოსპიტალის ეკლესია-კლუბად;
3. გოროდოკის სამხედრო ეკლესია-ლეგიონის კლუბად (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ.1; საქ.1; ფურც. 69-70; საქ.2 ფურც. 25)

რაც შეეხება ცნობებს, ღვთის მსახურთა – ხოჯების, მოლების, მღვდლების შესახებ, ამ დროისათვის არა აქვთ. სწორედ მსგავსი საკითხის შესახებაა საუბარი ფონდში დაცული დაგვის სასოფლო საბჭოს სოფ. ქვედა დაგვის მცხოვრებელთა წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ აქვთ სურვილი სოფელში არსებული მეჩეთი გადაკეთებული იქნას სკოლად და მასში განთავსდეს ქვ.დაგვის დაწყებითი სკოლა. (2)

ამავე ანგარიშების მიხედვით ქ. ბათუმში საბჭოთა ხელისუფლებამდე იყო: ჯამე-მეჩეთი-3; ეკლესია-11; სამლოცველო (ჩასოვნაია)-2; სინაგოგა-1; ბაპტისტების სამლოცველო-1; რელიგიურ დაწესებულებებს ემსახურებოდა: მღვდელი-13; დიაკონი-15; მედავითნე (მეფსალმუნე)-11; ხახამი-3; ხოჯა-3; მოლა-3; ბაპტისტი-4; მქადაგებელი-4. ქალაქში მოქმედებდა ჯამეები: აზიზიე და მაჰმუდიე და მესამე ჯამე, რომლის სახელიც მითითებული არ არის; ეკლესიები: ბერძნული, სომხურ-კათოლიკური, სომხურ- გრიგორიანული, მართმადიდებლური (ქართულ-რუსულ ენებზე), სამხედრო კათედრალური

ტაძარი (სობორი), რომის კათოლიკური, დაუმთავრებელი (თუ დამთავრებული კარგად არ იკითხება) ქართული სობორი, გერმანული, ხოლოდნაიასლობოდას ეკლესია, სასაფლაოს ეკლესია, ვაჟთა გიმნაზიის ეკლესია, სახელოსნო სკოლის ეკლესია, სამხედრო ეკლესია (ჩასოვნაია), სინაგოგა, ბაპტისტების სამლოცველო (ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ.1; საქ.3; ფურც.83).

ინსტრუქციასა და ჩამოთვლილ კითხვარებში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ „ცენტრალური საბჭოსათვის განსაკუთრებით საჭიროა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მორწმუნე თქვენს მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად გახდა ურწმუნო. გადმოგზავნეთ ასეთი პირების სიები, მათი სურათები და წერილები, თუ როგორ გახდნენ უღმერთოები (წერილები და სურათები მოთავსებული იქნება ჟურნალ „მებრძოლ-ათეისტში“)“. ამ კითხვის პასუხი ანგარიშში არ არის .

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაკთა მიერ ხდებოდა საზოგადოების რელიგიურად აქტიური წევრების, ე.წ. „იატქვეშა“ სამლოცველოების გამოვლენა, მათი მაგალითების სხდომებზე განხილვა და საერთო მსჯელობის საგნად ქცევა. ასე მაგალითად, 1938 წელს შედგენილ ჩატარებული მუშაობის შესახებ ბათუმის მუკ-ის საქალაქო საბჭოს პ/მდივნის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ქალაქის მუკ-ის მიერ აღმოჩენილი იქნა ენგელსისა და მოსკოვის ქუჩების კუთხეში მდებარე ბურმან პეტრეს ოჯახი, რომელსაც მოწყობილი აქვს სამლოცველო ეკლესიის სახით, სადაც ოთახი მორთული აქვთ ხატებით, საცეცხლურებით, საეკლესიო წიგნებით, აქვთ ცალკე სალოცავი ოთახი, რომელიც მორთულია ნოხებით. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მახლობელ მცხოვრებლების დაკითხვით გამოირკვა, რომ იქ თავს იყრის მორწმუნეები და იმართება ლოცვები ღამით, რომლის შესახებაც ჩემს მიერ შესდგა ქმანი (იგივე აქტი) რომლის ასლი გადაეცა შინსახკომის ორგანოებს სათანადო ზომების მისაღებად, მაგრამ ჯერ არავითარი შედეგი არ არის „ (ასს ცსა, ფონდი რ-260; საქ. 1; ფურც. 7-8).

აღნიშნული საკითხის შესახებ ფონდში დაცულია 1939 წლის 21 თებერვლით დათარიღებული აქტი, რომელიც შედგენილია შემოსული ცნობის საფუძველზე. გამომრკვევი კომისია დაწვრილებით აღწერს „ენგელსის და მოსკოვის ქუჩის კუთხეში არსებულ კერძო ბინას, რომელიც ეკუთვნის პეტრე ბურმანს. პეტრე ბურმანთან ცხოვრობს მისი ქალიშვილი ბერჩენკო მარია პატარა შვილით, რომელიც მუშაობს ბათომის ნავსადგურში ბუხჰალტრის თანაშემწედ. აღნიშნული სახლის დათვალიერების დროს აღმოჩნდა შემდეგი: დერეფანში მოწყობილია სამლოცველო კუთხე მაგიდით, რომელზედაც აწყვია სახარების წიგნები გადაშლილი, იქვე იდგა სასანთლე ანთებული სანთლით და საეკლესიო ჯვრებით, კედელზე გაკრული არის წმინდანების სურათი და იესო ქრისტეს ჯვარცმა. პეტრე ბურმანი სისტემატიურად აწარმოებს ლოცვებს, რომელსაც უცქერის პატარა ბავშვი და თანდათანობით ეჩვევა რელიგიური წესების შესრულებას. ბავშვის დედა მარია ამ საქმეს დამშვიდებით უცქერის, რომელიც ნამდვილ რელიგიურ პროპაგანდას

წარმოადგენს და პატარა ბავშვის გულში იბეჭდება ყოველგვარი რელიგიური წესების შესრულება“ (ასს ცსა, ფონდი რ-260; საქ. 3; ფურც. 36).

ასეთი ერთეული შემთხვევების შესახებ აღწერილია 1938 წლის 13 აპრილით დათარიღებულ აჭარის მუკ-ის რესპუბლიკური საბჭოს მიერ საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის (ლ.ბერია) სახელზე გაგზავნილ განცხადებაში (ასს ცსა, ფონდი რ-260; საქ. 1; ფურც. 212). მასში აღნიშნულია, რომ აჭარა რელიგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, რადგან 10 წლიდან გოგონა იწყებს ჩადრის ტარებას და საერთოდ, ახალგაზრდებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი რელიგიის ფესვები; ასე მაგ. სოფელ ალმეში- ხულოს რაიონში 20 წლის ახალგაზრდა ეზიზ აბულაძემ ხელი მოკიდა რელიგიური კულტის სამსახურს და მეჩეთში მორწმუნეებს სეზონურად ალოცვებს: აქვე, 1926 წლიდან პარტწევრი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე აღალი ბოლქვაძის ცოლი ატარებს ჩადრს, ლოცულობს, მარხულობს. სოფელ რიყეთის მასწავლებლის ხასან კოჩალიძის ცოლი ჩადრს ატარებს; ბათუმის რაიონის სოფ. იჯადიეს კომკაშირის წევრი ხასან ლომანოღლი მარხულობს, ლოცულობს და ა.შ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რელიგიური წესების შესრულების ფაქტებს ადგილი აქვს როგორც აჭარის რაიონებში, ასევე ქალაქად კომკავშირლების, პარტწევრებისა და ხელმძღვანელ აპარატებში მომუშავეთა მიერ. ამ განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მორწმუნეთა შორის აქტიური აგიტაცია-პროპაგანდა, საუბრები, ხმამაღალ კითხვა, ანტირელიგიური ლიტერატურის გავრცელება, ანტირელიგიურ თემებზე კინო-სეანსებისა და წარმოდგენების სისტემატიური ჩატარება აჭარის სინამდვილეში არ ხდება, რადგან საამისო ფინანსური საშუალებები არ არის და რომ საბჭოს თანამშრომლებს ხელფასებიც კი არ აუღიათ. „მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლის 6 თებერვალს საქ. კ.პ.(ბ) აჭაროლქკომის ბიურომ დაავალა აჭარფინსახკომს, პირადად ამხანაგ ჯღარკავას გამოენახა სათანადო თანხა 84000 მანეთის რაოდენობით აპარატის შესანახად და ანტირელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად აჭარაში. დაევალა აჭარცაკს, რათა უღმერთოთა რესპუბლიკურ საბჭოს ხარჯთაღრიცხვა გააფორმოს საბჭოს ხაზით, მაგრამ დადგენილება დაიწერა, მის შესრულებაზე არავინ ზრუნავს, რისთვისაც გთხოვთ სათანადო დახმარებას.“

სრულიად საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის აჭარის საოლქო საბჭოს დაწესებულება 1937 წლის 11 სექტემბრამდე მოთავსებული იყო ლენინის ქ. N 51-ში. ამავე შენობაში განთავსებული იყო რადიო-ლაბორატორიის კაბინეტი, ამიტომ მუკ-ის დაწესებულება გადავიდა გორკის ქ. N2 მდებარე შენობაში (ასს ცსა, ფ. რ-260, ან. 1, ს. 1, ფ. 111).

ფონდში დაცულია: აჭარის ასსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ბათუმის, ქედის და ხულოს რაიონული საბჭოს სხდომის ოქმები, საქალაქო და რაიონული კონფერენციის და პლენუმის ოქმები, დადგენილებები, მიმოწერები, ანგარიშები და მოხსენებები მუკ-ის ძირითადი საქმიანობის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

1. აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასს ცსა), ფონდი რ-260; აღწ.1; საქ. 1; ფურც. 7-10, 15, 19, 20, 21-25; 37-38, 44-45, 47, 60, 69, 70, 111, 120, 121, 123, 212;
2. ასს ცსა, ფ. რ-260, ან. 1, საქ. 2; ფურც. 25, 100-109, 150,
3. ასს ცსა, ფონდი რ-260; აღწ.1; საქ.3. ფურც 5, 36, 83, 109,
4. ფონდი რ-260; აღწ. 1; საქ.4; ფურც.14, 33, 52;
5. ასს ცსა, ფ. რ-260, ან. 1, საქ.10; ფურც.6, 8, 9,

Maia Rurua

Central Council of the Union of Fighting Gods of the Georgian SSR From the History of the Regional Council of the Union of Fighting Gods of Ajara (UFG)
(According to the materials preserved in the Archives Administration of Ajara)

According to the documents kept in the funds of the Archives Administration , there is no exact information about the establishment of the Union of Fighting Gods in the Ajara ASSR.

However, according to a letter sent on behalf of the Central Council of the Union of Fighting Gods of the Georgian SSR dated May 9, 1940, the organization of the Union of Fighting Gods was to be established in 1925. The article discusses the activities of the Ajara organization of the Union of Fighting Gods on the basis of the fund R-260 preserved in the Archives Administration of Ajara.

ნინო ჯაველიძე
მერაბ მეგრელიშვილი

ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში XX საუკუნის დასაწყისში

სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობის ისტორია გამაფრთხილებელი უნდა იყოს პოლიტიკოსებისთვის
ივანე ჯავახიშვილი

XX საუკუნის დასაწყისში ანტირუსული მოძრაობის გამოცოცხლებას რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მოჰყვა კონტრ-ღონისძიებები. 1905 წლის 19 აგვისტოს კავკასიაში დაწესდა **პოლიციის გამგებლის** თანამდებობა, რომელსაც არა მხოლოდ ზედამხედველობის ფუქცია ეკისრებოდა, არამედ იგი ასევე შეიქმნა პოლიტიკური ხასიათის დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იყო რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დამცველი სადამსჯელო დაწესებულება. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ხელისუფლების საპოლიციო ორგანო იცავდა რუსეთის სახელმწიფო კანონს, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გარანტს და რომ ამ დაწესებულების ქმედება ყოველთვის კანონზომიერია და კლასობრივი განსხვავების მიუხედავად მიმართულია მოსახლეობის მშვიდობის და კეთილდღეობის დასაცავად. რუსეთის საპოლიციო დაწესებულების თანამშრომლებს სამსახუროებრივი მოვალეობის შესრულებისას ეძლეოდათ განუსაზღვრელი უფლებები და ისინი ამ საქმეში ხელშეუხებელნი იყვნენ. რუსეთის ხელისუფლება ფარისევლურად აცხადებდა, რომ თითქოს აღნიშნული ღონისძიებები მიზანმიმართული იყო ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის, სინამდვილეში კი იგი მიმართილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად. ამასთან რუსეთის ხელისუფლება ცინიკურად აცხადებდა, რომ ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით რეფორმების გატარებას დრო სჭირდებოდა და მანამდე ხელისუფლება თავის ქმედებაში უნდა ყოფილი ფრთხილი. ამას კი რუსეთის ხელისუფლება ხსნიდა იმით, რომ გურიასა და აჭარაში სხვადასხვა ეროვნების და სხვადასხვა კონფესიის მოსახლეობა ცხოვრობდა და შესაძლებელი იყო მათი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნა. რუსეთის ხელისუფლება თავის სადამსჯელო ქმედებას ამართლებდა იმით, რომ რუსეთის მეფისნაცვალი მხოლოდ ასეთი მიდგომის შემთხვევაში შეძლებდა სრულყოფილად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, კრიზისულ შემთხვევაში კი მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით პოლიციის გამგებელს ეძლეოდა სრული უფლება სოციალ-ეროვნული პროტესტით გამოწვეული გამოსვლების წინააღმდეგ განე-

ხორციელებინა რეპრესიები. სამხედრო გუბერნატორის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ხშირ შემთხვევაში ანტისახელისუფლებო გამოსვლების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ ქმედებებს არ მოჰქონდა დადებითი შედეგები, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების „კანონიერი ქმედებების მიმართ“ ეკარგებოდათ რწმენა. (აცსა, ფონდი ი-1, აღწ.1,საქმე194, ფურც.18) ამიტომაც რუსეთის ხელისუფლება კავკასიის პოლიციის გამგებელს რეკომენდაციას აძლევდა, რეპრესიები განეხორციელებინა მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეული, განსაკუთრებული შემთხვევების დროს.

1905 წლის 16 სექტემბერს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ კავკასიის პოლიციის სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილ მიმართვაში გურულები და მეგრელები მოხსენებულნი არიან, როგორც არასაიმედო ხალხი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მუსლიმ მოსახლეობაზე, ხოლო მუსლიმი მოსახლეობა კი გამოაცხადეს სავსებით კეთილსაიმედო და მშვიდი განწყობის მქონე ადამიანებად. ასევე რუსეთის ხელისუფლების მხრიდან დადებითი განწყობა არის გამოხატული სომხების მიმართ. სინამდვილეში კი ბათუმში მცხოვრებ მუსლიმ მოსახლეობასა და სომხებს შორის მტრული დამოკიდებულება იყო. რუსეთის ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ იმ რთულ პერიოდში მოსახლეობაში ძლიერდებოდა რწმენა რუსეთის ხელისუფლებაში არსებული უძლურებისა და სისუსტის მიმართ. სამხედრო გუბერნატორი თავის მიმართვაში შენიშნავდა, რომ მულიმებსა და ქრისტიანებს შორის „ტომობრივი ანტაგონიზმი“ არ შეინიშნებოდა. გუბერნატორი ქრისტიანებში გურულებს გულისხმობდა, ხოლო მუსლიმებში კი აჭარლებს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი დიდი სიხარულით იუწყებოდა, რომ აჭარაში კლასობრივი ანტაგონიზმი არ შეინიშნებოდა და რომ ადგილობრივი მოსახლეობა პატივით და გაგებით ეკიდება თავიანთ ბეგებს და ამას ხსნიან შარიათის სამართლით (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 194, ფურც. 5).

1905 წლის 19 აგვისტოს კავკასიის ოლქის პოლიციის გამგებელი გუბერნატორებს, საგუბერნიო, საოლქო, სარკინიგზო ჟარდარმერიის სამმართველოებს, პოლიცმეისტერებს ავალებდა მოსახლეობის საერთო განწყობის შესწავლას. ასევე მას აინტერესებდა მოსახლეობაში არსებობდა თუ არა კლასობრივი და „ტომობრივი ანტაგონიზმი“ და რით იყო ის გამოწვეული. პოლიციის გამგებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვდა ძალის გამოყენებას, მაგრამ არ უნდა დაეშვათ მოსახლეობის განრისხება და დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და რეგიონულ სახელმწიფო ორგანოებს შორის. რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკური კრიზისის პერიოდში გათვლას აკეთებდა მოსახლეობაზე და ამით ცდილობდა კეთილი განწყობის შექმნას (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 194, ფურც. 18)

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1908 წლის 25 სექტემბრის მიმართვაში, ბათუმში მოღვაწე ექიმ ტრიანტაფალიდისის მკვლელობაში აღაირებული ბრალდებულნი დაყოფილი არიან რელიგიური და ეროვნული ნიშნით, კერძოდ ბრალდებაში აღნიშნულია, რომ ორმა აფხაზმა, სამმა

ქრისტიანმა და თურქი ეროვნების მოქალაქეებმა (თურქებად მიჩნეულნი არიან ადგილობრივი მკვიდრნი) მოკლული ექიმის სხეული დააგდეს მდინარე სოუ-ქსუს მიდამოებში. ბრალდებულთა ამ ნიშნით წარმოდგენა მიუთითებდა ჩადენილი მკვლელობის მზაკვრულ მიზანზე და ემსახურებოდა სხვადასხვა ეროვნების და რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანთა შორის მტრობის ჩამოგდებას. ექიმ ტრიანტაფალიდისის მკვლელობის გამო დააპატიმრეს, გაასამართლეს და რუსეთის გუბერნიებში გადაასახლეს 44-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ის პირნი, ვინც შემჩნეულნი იყვნენ ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, კერძოდ ოზურგეთიდან: ჭყონია შალვა, რამიშვილი თეიმურაზ, ჩოგოვაძე ალექსანდრე, ლომინაძე ირაკლი, კალანდაძე იაკინთე, დოლიძე ვიქტორ, სირაძე სარდიონ, ებრალიძე ალექსანდრე და სხვები. ექიმ ტრიანტანფალიდისის მკვლელობაში ბრალდებულნი აფხაზები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. (აცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1 საქმე 371, გვ 17)

1908 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ თხოვნაში ნათლად იკვეთება კელასურში მოსახლე აფხაზების დამოკიდებულლება რუსეთის ხელისუფლების მიმართ და პირიქით რუსეთის განწყობა აფხაზების მიმართ. მიმართვაში აფხაზები იხსენებენ კელასურში გატარებულ წარსულ ცხოვრებას, რომ ისინი არიან რუსეთის ქვეშევრდომნი. მრავალი წლის უკან მათ ჰქონდათ სამემკვიდრეო მიწები სოხუმიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, კელასურში, რუსულ ტერიტორიაზე, ზღვასთან ახლოს და ითვლებოდნენ სოხუმის მოქალაქეებად. კელასურში აფხაზი მოსახლეობა დაკავებული იყო სამიწათმოქმედო შრომით და ვაჭრობით. შემდეგ, ეკონომიკური მიზეზების გამო აფხაზები გაასახლეს ბათუმის ოლქში და საცხოვრებლად გამოუყვეს ნურიეს მე-3 უბანი, სადაც გააგრძელეს სამეურნეო საქმიანობა. ქალაქის გაფართოებისა და კეთილმოწყობის მიზნით აფხაზებს წინადადება მიეცათ აღემართად აქ ახალი შენობები, ან კიდევ დაეტოვებინათ ნურიეს უბანი და იგი გადაეცათ სხვა პირებისთვის. სააღმშენებლო საქმიანობისთვის აფხაზებს არ გააჩნდათ მატერიალური შესაძლებლობა და იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ ურეხში, ინჯალოს უბანში. მათ აქ გააშენეს სოფელი, მაგრამ 1885 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზები ისევ გაასახლა ამ უბნიდან და აქ შავი ზღვის სამხედრო შენაერთი განათავსა. აფხაზები იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ სტეფანოვკის ქვიან და ჭაობიან ადგილებში. რუსეთის ხელისუფლება აფხაზებს არ აძლევდა კომპაქტურად დასახლების უფლებას.(აცსა. ფონდი ი-1 აღწ. 1 საქმე 371 გვ 58)

1905 წლის მიმართვაში აფხაზები სრულ ნდობას უცხადებდნენ რუსებს და აღუთქვამდნენ მათ ერთგულებას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის ხელისუფლება აფხაზებს ასახლებდა რუსეთის განაპირა მხარეებში და მათ ნაცვლად აფხაზეთის საუკეთესო მიწებზე ჩამოყავდა სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა. ამას წინ აღუდგა ილია ჭავჭავაძე და მან მოითხოვა აფხაზეთში ფშავების, მთიულების, ხევსურების ჩასახლება, მაგრამ სამწუხაროდ მოთხოვნა მოთხოვნად დარჩა. რუსი მოხელეები ადგილობრი მკვიდრებს ინოროდცებს, უცხოტომელებს უწოდებდნენ და

ხელს უწყობდნენ აფხაზების მუხაჯირებად წასვლას. რუსეთის ამ პოლიტიკის გამო აფხაზეთში მცხოვრები უბიხები საერთოდ აღიკვეთნენ აფხაზეთის მიწებიდან. ამ ისტორიულ ბედუკუღმართობას ბაგრატ შინქუბამ მიუძღვნა ნაწარმოები „უკანასკნელი უბიხი“ .

1904 წლის ნოემბერში ქალაქ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტს ატყობინებდა, რომ 10 ნოემბერს ქალაქ ბათუმში ოზურგეთიდან ჩამოდიან სამხედრო ახალწვეულები. ოზურგეთის რაიონის რუსეთის აგენტურა იუწყებოდა, რომ სამხედრო ახალწვეულების მიერ იგეგმებოდა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები, რომლის აღსაკვეთად მობილიზებული იქნა ცხენოსან კაზაკთა ასეული. ოზურგეთელი სამხედრო ახალწვეულები მოითხოვდენენ სამხედრო სამსახურს კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილში და არავითარ შემთხვევაში კავკასიის გარეთ. რუსეთის ხელისუფლება შიშობდა, რომ შესაძლებელი იყო სამხედრო ახალწვეულების გამოსვლები გამოეყენებინათ რევოლუციურ ძალებს (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 126, ფურც. 3)

რუსეთის მთავრობამ სამხედრო ნაწილებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დააწესა პოლიციელთა მეთვალყურეობა. მიუხედავად ამისა კაზაკთა ასეულსა და ოზურგეთელ სამხედრო ახალწვეულებს შორის შეტაკება მაინც მოხდა. ამ შეტაკებაში განსაკუთრებული აქტივობა გამოუჩენიათ რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველ მაღალჩინოსნებს, კერძოდ ბათუმის პოლიცმეისტერ კაპიტან ჩიქოვანს, მიხეილის ციხე-სიმაგრის ბატალიონის პორუჩიკ ჯაყელს და მიხეილის ციხე-სიმაგრის შტაბის უფროსს პოდპოლკოვნიკ მდივანს. შეტაკების დროს ოზურგეთელ სამხედრო ახალწვეულთა მიერ მოკლული იქნა რუსი სამხედრო ოფიცერი ვასილ ლიუტოვი და შამილ მუსა-ოღლი.

1909 წლის 19 ივნისს ანალოგიური ინციდენტი მოხდა რუს და ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა შორის. რუსმა უნტერ ოფიცერმა ვასილ გოლოუჩენკომ მიხეილის ციხე-სიმაგრის ორი ჯარისკაცის დახმარებით დააპატიმრა ალექსანდრე ლაითაძე, რომელმაც ბათუმში თბილისის ქუჩაზე, სახალხოდ რუსეთის იმპერატორის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები წარმოთქვა, რასაც რუს და ქართველ მოსამსახურეთა შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. (ასს ცსა, ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 416, ფურც. 3)

1909 წლის 19 ივნისის ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ 1909 წლის 11 ივნისს სამხედრო პოლიგონიდან მობრუნებული მიხეილის ციხე-სიმაგრის რუსი ჯარისკაცები რუსეთის მეფის სადიდებლად მღეროდნენ „მრავალჟამიერს“, რასაც რუსს ჯარისკაცს ივანე ვასიუკსა და ქართველ პატრიოტებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. ქართველი პატრიოტები დააპატიმრეს. (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 416, ფურც. 3)

1906 წლის 28 იანვარს ანტისახელმწიფოებრივი ქმედების ბრალდებით ბათუმიდან რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიაში გაასახლეს პუშკინის ინსტიტუტის სასწავლებლის გამგებელი, ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვის

მკვიდრი ფილიპე ბუჯუსძე მგელაძე (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 220, ფურც. 1).

1909 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ პომპეზურად აღნიშნა აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის ორმოცდაათი წლისთავი. ამ დღის აღსანიშნავად, კავკასის ოლქის გუბერნატორებს, მხარეთა გამგებლებს მიეცათ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ პატიმრობიდან გაენთავისუფლებინათ ნაკლებად მნიშვნელოვანი მსჯავრდებულნი. ამის საფუძველზე თავისუფლება უწყალობეს არაკეთილსაიმედო პირების მფარველობის გამო მსჯავრდებულ ილარიონ მახარაძეს, იარაღის ტარებისთვის მსჯავრდებულ პორფირე ჭყონიას, ასევე გაანთავისუფლეს თევრათ მაკვახიძე, ვარლამ ბექაია, შალვა ესაკია, დავით კეჩოღლი, იუსუფ ბეგ-ოღლი (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 422, ფურც.2).

1908 25 სექტემბრის ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ოზურგეთის მაზრის სიფელ ოცხანას მკვიდრი ნესტორ ევსტატის ძე სიმონიშვილი და ქუთაისის მაზრის სოფელ დიდ ჯიხაიშში მცხოვრები ილარიონ თევდორეს ძე ბალანჩივაძე პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. სამხედრო ორგანიზაციაში მათი ყოფნა არ დადასტურდა. მიუხედავად ამისა ისინი 5 წლით გაასახლეს რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ გუბერნიაში (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 362, ფურც. 2.)

1905 წლის 20 მარტს რუსეთის ხელისუფლება გამოსცემს ბრძანებას, რომელიც ითვალისწინებდა ყველა იმ პირის დაკავებას ვინც დაარღვევდა წესრიგს და საზოგადოებრივ სიმშვიდეს. ამ კანონის საფუძველზე დააპატიმრეს ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯუმათის მკვიდრი ისიდორე ჩხარტიშვილი. (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 161, ფურც. 8).

1905 წლის 29 ივნისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს აცნობებდა, რომ ბათუმის ოლქის ბარცხანის უბანში, სადაც უმეტესი რაოდენობით ცხოვრობდნენ გურულები, შეინიშნებოდა შეტაკებები ადგილობრივ ხელისუფლებასთან. (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 194, ფურც. 3).

1914 წლის 16 ივლისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ბრძანების საფუძველზე, როგორც არაკეთილსაიმედო პირები ბათუმის ოლქიდან კავკასიის საზღვრებს მიღმა გაასახლეს მსჯავრდებულები: ალექსანდრე სიმონის ძე მოსხრიკაძე, იაკობ სტეფანეს ძე მიმინოშვილი, კონსტანტინე დავითის ძე წულაძე, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე გიორგაძე, ილარიონ ლევანის ძე მანჯგალაძე, გრიგოლ იაკობის ძე ჟვანია, იოსებ გრიგოლის ძე წულაძე, ნიკოლოზ სანაძე, ლუარსაბ ჯანელიძე და სხვები. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის (სამხედრო მდგომარეობის შესახებ) საფუძველზე ტობოლსკის გუბერნიის სამხრეთ მაზრებში გაასახლეს ოზურგეთელი ბართლომე იასეს ძე ჩხარტიშვილი, ჯუმათელი გიორგი მაქსიმეს ძე მახარაძე, ოზურგეთელი მელიტონ ქრისტეფორეს ძე მგელაძე, ჩოჩხათის მკვიდრი პლატონ ლევანის ძე გურგენაძე, ლიხაურელი იოსებ ბეჟანის ძე გორგოშიძე, ოზურგეთელი ბარნაბა დოლიძე. მათ პირად, საიდუმლოდ დაცულ საქმეს

აწერია პოლიტიკურად არასაიმედო და იქვე მოცემულია მათი გარეგნული ნიშნები (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 934, ფურც. 32.)

1908 წლის 6 აპრილს მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტ გენერალ მაიორ ბაუერის მიერ თამარის დასახლებაში არსებულ ქალბატონ ფაბიანის აგარაკზე, აქვე მომუშავე ცოლ-ქმარ ყურუშევების ცნობის საფუძველზე აღმოჩენილი იქნა 4 ფუდი დენთი. ქალბატონ ფაბიანის ცნობით მასთან დენთი მიიტანეს ორთაბათუმის მცხოვრებლებმა ისმაილ და მემედ ფაღავებმა. 1908 წლის 20 ივნისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ ფონ-პარკაუს გადაწუვეტილების საფუძველზე ისმაილ და მემედ ფაღავები დააპატიმრეს და გადააგზავნეს ბათუმის ციხეზე (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 350, ფურც. 7).

რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკურად არასიმედო პირებს ყაჩაღობისა და ძარცვის ბრალდებით ასახლებდა რუსეთის გუბერნიებში. 1903 წელს ყაჩაღობის ბრალდებით გაასამართლეს და ჩამოხჩობა მიუსაჯეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბასილეთის მკვიდრს ანანია გაბრიელის ძე ცხოიძეს და სოფელ ვაკიჯვრის მცხოვრებ ილარიონ ივლიას ძე მდინარაძეს. ამ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებისთვის რუსეთის ხელისუფლებამ ადგილზე ვერ მოძებნა ჯალათი და სასჯელის აღსრულების მიზნით შეიწყალა და საქართველოში ჩამოიყვანა რუსეთში, პეტროვსკის ციხეში მყოფი რეციდივისტი ფილიპოვი (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 69, ფურც. 1).

1908 წლის ნოემბერში ტობოლსკის გუბერნიაში გაასახლეს ოზურგეთის მაზრის სოფელ გურიანთის მკვიდრი ბარნაბა ანდრიას ძე ღლონტი. რუსეთის ხელისუფლება არ წყალობდა რუსეთის ომებში მონაწილე ქართველ მეომრებს. ამის საბუთს წარმოადგენს საქართველოდან გასახლებული ბარნაბა ღლონტის მამის, ანდრია სპირიდონის ძე ღლონტის თხოვნა, რომელშიც ვკითხულობთ: „მე, მოხუცი ვარ და სხვადასხვა დროს, თურქებთან ბრძოლის გამო მიღებული მაქვს ჭრილობები. ჩემი საბრძოლო დამსახურება აღინიშნა ორდენებით და მედლებით. მე, დღეს ჩემი ფიზიკური მდგომარეობით, ჩემი ერთადერთი შვილის, ჩემი ოჯახის მარჩენალის გარეშე ვერ შევძლებ არსებობას. მე დარწმუნებული ვარ მის უდანაშაულობაში და გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი დამსახურება რუსეთის ხელისუფლების წინაშე“. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლება საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე არავის და არაფერს არ უწევდა ანგარიშს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმპერიის საზღვრების ერთიანობას საფრთხე ემუქრებოდა. ასევე არაფრად ჩააგდეს გურიის მკვიდრის ბარნაბა დოლიძის თხოვნა, რომ იგი არ გაესახლებინათ ოზურგეთიდან, რადგან მას მოკვეთილი ჰქონდა მარჯვენა ფეხი, ნათესავები პატრონობდნენ და ის ვერ შეძლებდა არსებობას. იგი არ შეიწყალეს და რუსეთის სტეპებში გაასახლეს (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 234, ფურც. 5).

რევოლუციის პერიოდში, სოციალური პროტესტიდან გამომდინარე, რუსი ეროვნების ადამიანები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ რუსეთის მიერ დამკვიდრებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. 1905 წელს მიხეილის ციხე-სიმაგრის ჟანდარმერიის როტმისტრის მიმართვის საფუძ-

ველზე, რუსეთის არმიის მიმართ მტრული განწყობის ბრალდებით გაასამართლეს მოქალაქეები: არსენ ივანეს ძე ჩიხლაძე, (ბათუმის საქალაქო მმართველობის მოსამსახურე) იბრაგიმ მირასეიდ-ოღლი, (მწვანე კონცხზე ექიმ ტრიანტაფალიდისის აგარაკის მებაღე) ფეზილ-ბეგ აბაშიძე, (ურეხის მკვიდრი, ასლან ბეგის ახლობელი). ქართველებთან ერთად დასაჯეს ორი რუსი ეროვნების თანამებრძოლი ივანე იასეს ძე ლიხოლიბოვი, (კბილის ექიმი) და ნიკოლოზ გრიგორის ძე ჟევლისკი (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 8).

1909 წლის 18 ივლისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის, პოლკოვნიკ რომანოვსკის გადაწყვეტილების საფუძველზე, გაზეთ „ბათუმსკი ნოვოსტ-ში“ (ნომერი 122) დაბეჭდილი სტატიის: „ართვინი მტკივნეული საკითხი“ დაპატიმრეს და 100 რუბლით დააჯარიმეს გაზეთის გამომცემელი რედაქტორი ვ.ი. ბერეჟიანი (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 422, ფურც. 23).

1908 წლის 2 სექტემბერს ბათუმის პოლიცმეისტერმა კანენბერგმა გაჩხრიკა მარინის (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) პროსპექტზე არსებული კილაძის და თავართქილაძის სტამბა, სადაც ამოღებული იქნა ქართულ ენაზე დაბეჭდილი 600 ცალი ბროშურა სახელწოდებით „ შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ პლეხანოვის, ზასულიჩის, აქსელროდის და დეიჩის ბიოგრაფიებით. (ავტორი ნ. რიაზოვნოვი თარგმნა ილია ბახტაძის, მიხაკო ეკიზოვის გამოცემა (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 379, ფურც. 5).

1905 წლის 15 იანვარს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის პოდპოლკოვნიკ შებელსკის ბრძანების საფუძველზე პოლიტიკურ საქმეზე გასამართლებული იქნა ისაკ ივანეს ძე ვასაძე (ასს აცსა, ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 145, ფურც. 3)

1905 წლის 9 მარტს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა დახურა ს.შარშიძის ექვს კლასიანი კერძო სასწავლებელი. დახურვის მიზეზი გახდა სასწავლებელში არსებული ანტირუსული სულისკვეთება. XX საუკუნის დასაწყისში სახრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული ნავთობის საბადოების გამოკვლევის მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა სააქციონერო საზოგადოება (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 176, ფურც.7).

1914 წლის 24 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, სრულიად საიდუმლოდ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობებდა, რომ ვინმე ივანე პავლეს ძე ივანოვი თანამშრომლობდა წარმოშობით გერმანელ სააქციონერო საზოგადოების წევრებთან გუსტავ ოტოს ძე ზიბერთთან და იული კარლოს ძე ფონ-შმედელთან. მათ გააჩნდათ გურიის რაიონის მთლიანი რუქა, რომელიც გადაიღო ბათუმელმა ფოტოგრაფმა კერნერსკიმ. რუსეთის ჟანდარმერიამ გაჩხრიკა კერნერსკის ფოტოსახელოსნო და ამოიღო გურიის რუკის ნეგატივი, ასევე სოხუმის სანაპიროს რუქა და ბათუმის ამსახველი ფოტოსურათები (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 934, ფურც. 26).

რუსეთის ხელისუფლება მუსლიმანური რელიგიის ქართულ ენასთან დაპირისპირების მიზნით, რუსულთან ერთად უშვებდა თურქული ენის გა-

მოყენებას. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება უზრუნველყოფ-და აჭარაში მოქმედი რელიგიური საზოგადოებების თავისუფალ ქმედებას. ამის ერთ-ერთ უტყუარ მაგალითს წარმოადგენს მიმართვა მუსლიმი მოსახ-ლეობისადმი, აი ისიც: „ძმებო მუსლიმებო! უკვე რამდენი წელია, რაც ბო-როტი ადამიანებით გარემოცულნი ჩვენი მეზობლები სომხები და ქართვე-ლები ცდილობენ რუსეთის სახელმწიფო წყობის დაცემას და ამ მიზნით გაერთიანებულნი, მტრობენ მუსლიმებს. ასე მოხდა ბაქოში, ელიზავეტოპო-ლის გუბერნიაში, ერივანის გარეუბანში, სადაც მათ გაულიტეს უდანაშაუ-ლო მუსლიმები და შეურაცხყვეს მათი სინდისი. ტკბილი ენით და ფარი-სევლური ქმედებით მათ დაღუპვამდე მიიყვანეს მუსლიმები. მათი ამ ქმედე-ბიდან ჩანს, რომ ისინი ისწრაფვიან დაარღვიონ ჩვენი ერთობა და აქვთ სურვილი შეგაიარაღოთ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად. ამიტომაც აუცილებელია ყველა მუსლიმის გაერთიანება, რათა და-ვიცვათ თავი ბოროტი ადამიანებისგან. ძმებო მუსლიმებო! ჩვენ გირჩევთ, რომ ქართველებისა და სომხებისგან შორს დადგეთ, ყოველ შემთხვევაში არ მიიღოთ მინაწილეობა მათ ერთობაში. შესაძლებელია თქვენ კარგად არ იცნობთ ამ ხალხს. ისინი თავს მოგაჩვენებენ კეთილშობილებად, სინამდვი-ლეში კი არიან გულით ბოროტნი. ასეთი ადამიანების მისამართით ყურანი ბრძანებს: მართლმორწმუნენო! ორსახოვანი ადმიანებისგან დადექით შორს, იმიტომ, რომ ისინი არსებობენ მხოლოდ საკუთარი თავისთვის და სინამ-დვილეში თქვენი მოწინააღმდეგენი არიან. თუ კი ვინმე თქვენთაგანი მათ-თან გააბამს მეგობრობას, მაშინ იგი თვითონ გარდაიქმნება ასეთ ადამია-ნად და ღმერთი მისთვის არაფერს კარგს არ გააკეთებს. თქვენთვის ცნობი-ლია, რაც ნახიჭევანში სომხებმა მუსლიმებს გაუკეთეს, რომელთანაც ჩვენ გამოვაცხადეთ ძმობა და ერთობა, ხოლო როცა ხელსაყრელი დრო ნახეს მუსლიმების წინააღმდეგ შეიარაღდნენ და დაიწყეს ბრძოლა. შეურაცხყვეს ქალები და ქალიშვილები. კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ამ საქმეში მათ და-ეხმარა 400 ქართველი. ბაქოს გენოციდის დროს ხოჯა ისმაილ ეფენდიმ საკუთარ სახლში დამალა და გადაარჩინა ერთი სომეხი ოჯახი და მერე რა, ადგა ეს სომეხი და იარაღით მოკლა ხოჯა, მის შვიდ შვილთან ერთად. ისინი წვავდნენ მუსლიმთა სახლებს. ღმერთს მადლობა, რომ ჩვენ არ დავ-რჩით მათთან ვალში და მივაგეთ მათ სისხლი სისხლის წილ. ჩვენ, მუსლი-მები ცალკე თუ დავდგებით და დავიშლებით, მაშინ შესაძლებელია ამ ხალხისგან სამომავლოდ გავნადგურდეთ. ამიტომაც ჩვენ უნდა გავერთიან-დეთ, შევქნათ ორგანიზაცია, სადაც ვიწვევთ ბათუმელ და ყარსელ მუსლი-მებს. ძმებო მუსლიმებო! ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს და დავიცვათ ჩვენი რწმენა და ნამუსი, ვიცხოვროთ ერთი მიზნით, ვინც ჩვენ მუსლიმებს არ შეგვეხება, არ მოგვატყუებს, ისინი უნდა მივიღოთ ძმებად და მეგობრებად და მათ მიმართ გამოვიჩინოთ პატივისცემა, ხოლო ვინც მუსლიმთა წინააღ-მდეგ გაბედავს ქმედებას, ისინი ვაიძულოთ გვიცნონ, ვინც შეეხება მუსლი-მის სინდის, ის მიიღებს საკადრის პასუხს. მაშ მხარი დავუჭიროთ ერთმა-ნეთს და ერთგულნი ვიყოთ რუსეთის სახელმწიფოს, რომელსაც ვეკუთვნით. მიმართვა მთავრდება სიტყვებით, რომ ეს ინსტრუქცია სავალდებულოა

ყველა იმ მუსლიმანისთვის, ვინც ღმერთს ემორჩილება. ღმერთის გარდა არ არის ღმერთი, მუხამედი მისი მოციქულია. ზემოთ წარმოდგენილ ამ მიმართვას რუსეთის ხელისუფლების სახელით ხელს აწერს ამ პერიოდში ბათუმში არსებული მუსლიმანთა საზოგადოება (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 194, ფურც.29)

რუსეთის ხელისუფლება ყველა ხერხს მიმართავდა აჭარაში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანების დასაპირისპირებლად, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის ერთ-ერთ მიმართვაში გამოთქვანს უკმაყოფილებას თუ რის საფუძველზე და რა მოსაზრებით დაწესდდა გონიოს უბანში მიმოწერა ქართულ ენაზე, მაშინ როცა გონიოს უბნის მოსახლეობა ამ ენაზე არ ლაპარაკობდა, არც ამის განათლება ჰქონდა და არც მისკენ მისწრაფება. გუბერნატორის მიმართვაში გამოხატულია სიძულვილი ქართული ენისადმი. მასში აღნიშნულია, რომ სახალხო სასამართლოს ყადიმ ჰამიდ ეფენდი ლუხუმ აღა-ოღლიმ წარუდგინა გუბერნატორს გონიოს სასამართლო უწყება ქართულ ენაზე და გამოთქვა პროტესტი ქართული ენის მისამართით, რადგან ის ქართულ ენაზე ვერ კითხულობდა. ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმპერიაში რუსული ენა სახელმწიფო ენაა და იგი გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც ერდადერთი ენა ყველ სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებაში, როგორც თანამდებობის მქონე, ისე კერძო პირების მიერ. ოფიციალურ ურთიერთობაში სახელმწიფო ენის გარდა სხვა ენის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ დაიშვებოდა, განსაკუთრებით ბათუმის ოკრუგის გონიოს უბანში, სადაც უმრავლესობა არ საუბრობდა და არ იცოდა ეს ენა. ამიტომაც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მხარი დაუჭირა გონიოს უბნის სახალხო სასამართლოს ყადის საჩივარს, რადგან ქართულ ენაზე შედგენილი უწყების მასზე გადაცემა მისთვის შეურაცხმყოფელი იყო და იგი აკნინებდა თურქული ენის მნიშვნელობას, რომელიც მუსლიმებისთვის იყო ღვთისმსახურების და მუსლიმური სამართლის ენა, ხოლო რაც შეეხება ქართულ ენას, იგი მიაჩნდათ როგორც ოჯახში გამოსაყენებელი ენა, რადგან არ იცოდნენ წერა კითხვა ქართულ ენაზე (ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1 საქმე 332, ფურც. 6-7).

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა, იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ქართველ ხალხს სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი პოილიტიკური მოძრაობის გამოცოცხლება. ანტირუსულ მოძრაობაში ჩართული ძალების სოციალური და ეროვნული ნიშნით დაყოფამ გამოიწვია დაქსაქსულობა და დაპირისპირება, რამაც საბოლოოდ უარყოფითი როლი შეასრულა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე.

გამოყენებული წყაროები:
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 13, ფურც. 8;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 69, ფურც.1;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 126, ფურც. 3;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 145, ფურც. 3;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 161, ფურც. 8;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 176, ფურც. 7;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 194, ფურც. 3, 5,18, 29;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 220,ფურც. 1;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 234, ფურც. 5;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 332, ფურც. 6-7;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 350, ფურც. 7;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 362, ფურც. 2;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 371, ფურც. 17, 58;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 379, ფურც. 5;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 416, ფურც. 3;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 422, ფურც. 2, 23;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 934 გვ 32;
ასს ცსა. ფონდი ი-1, აღწ. 1, საქმე 934 გვ 26.

Nino Javelidze
Merab Megrelishvili

Anti Russian movement in Guria and Adjara
(Beginning of XX centuries)

Summary

Archival materials presented in the article, vividly show the point of political, economic, military, cultural-informational expansion by Russia in Guria and Adjara in the end of XIX – beginning of XX centuries, which was not obeyed by local people and they used to fight against the authority for liberation

რევაზ უზუნაძე
მერაბ უზუნაძე

ეპიზოდები სოფელ ჯოჭოს წარსულიდან

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელია ჯოჭო. მდებარეობს ბათუმიდან 15 კმ. დაშორებით, მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპირო მონაკვეთში (ზღვის დონიდან 150 მ. სიმაღლეზე. შედის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში). ისტორიულ – გეოგრაფიული მდებარეობა – მდგომარეობიდან გამომდინარე სოფელი იყოფა ზემო და ქვემო ჯოჭოდ. მათი გამყოფია მელიქედი (ანუ უბნების, მოგვიანო პერიოდის სოფლების, გამყოფი ქედი). ისტორიულად ჯოჭო წარმოადგენს ერგეს ტერიტორიული თემის ანუ ერგეს „ქვეყნის“ შემადგენელ ნაწილს (ერგეს ქვეყანაში შედიოდა ჯოჭოსწყლის (ზემო ჯოჭო), მდ. ხე(ვ)ყრუს (სოფ. ხეყრუ), მდ. წყალგველას (სოფ. ქვემო ჯოჭო) და ერგეს ხეობები. ეს უკანასკნელი მოიცავდა ჭოროხის ქვემოწელის მარჯვენა მხარეს, – ჭოროხ – აჭარისწყლის შესართავიდან კახაბრის დაბლობს, ანგისა – ადლიის ტერიტორიების ჩათვლით).

წინამდებარე სტატიის მიზანია დიდი ისტოირიის მქონე სოფელ ჯოჭოს წარმართული და ქრისტიანული წარსულის ზოგიერთი ასპექტის მიმოხილვა. მას საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ ჯოჭოს წყლის და წყალგველას ხეობებში განხორციელებული „ექსპედიციების“ შედეგად შეგროვებული მდიდარი მასალა (ტოპონიმები, გადმოცემები), წერილობითი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა.

ზემო ჯოჭო მოქცეულია მთების ქვაბულში. იგი გარესამყაროს უკავშირდება ჯოჭოსწყლის ხეობით.ქვემოჯოჭო გაშენებულია არფაზონის ქედისა და წიფ(ლ)ნარ-მელიქედის ფერდობებზე. მას ყოფს მდ. წყალგველას ხევი.

პირველყოვლისა საინტერესოა სოფლის ეტიმოლოგია. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს შორეული წარსულიდან. ჯოჭოს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია. ხალხური გადმოცემით იგი უკავშირდება სოფლის მდებარეობა-მდგომარეობას. კერძოდ, სოფელი მდებარეობს ყრუ ქვაბულში. როგორც ავღნიშნეთ მოქცეულია მთებისა და ღრმა ხევის არეში. როდესაც აქ ატყდებოდა ჭექა-ქუხილი, ჩამოვარდებოდა მეხი გამოსცემდა ჯოჯოხეთურ ხმას. ამიტომ ეწოდა ჯოჯოხეთა. დროთა ვითარებაში სახელწოდებამ იცვალა სახე და დამკვიდრებულა ჯოჭოს სახით (ინფორმაცია მოგვაწოდა მერი მიქელაძემ, სოფ. ჯოჭოს მკვიდრი. ამავე სოფლის სკოლის პედაგოგი. 2003 წ.). სახელწოდების წარმოშობის ერთდაგვარ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ ჯოჭოს ხეობის შესასვლელთან არსებული მიკროტოპონიმი „ჯოჯოხეთა“. სოფელში იტყოდნენ „ჯოჯოხეთა საშიში ადგილია“.

მკლევარ ს. გოგოტიძის აზრით „სოფლის სახელი ჯოჭო უნდა მომდინარეობდეს ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავლის სახელიდან“ (ს.გოგოტიძე, 2002:92).

საკითხის საფუძვლიანად შესწავლიდან გამომდინარე იგი წარმომდგარი ჩანს მცენარის სახელწოდებიდან. **ჯოჭი** ყოფილა სამკურნალო მცენარე. იგი მთიან რაჭაში შემორჩენილი **მთისრაჭულას, ქუქუნდელას, ქურქუნდელას** სახელწოდებით (ალ.მაყაშვილი, 1961:101, 130). ჩანს, მცენარის აღნიშნული სახეობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული საკვლე არეალში (გამორიცხული არაა იგი ხეობაში დღესაც იყოს გავრცელებული შეცვლილი სახელწოდებით). შესაბამისად, ვფიქრობთ მისგანაა წარმომდგარი ადგილის სახელწოდება. დროთა ვითარებაში სახელწოდებას განუცდია ფონეტიკური ცვლილება და მივიღეთ სოფლის თანამედროვე სახელი (ჯოჭი → ჯოჭო). როგორც სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიის ცნობილი მკლევარი,პროფესორი მიხეილ ქამადაძე მიუთითებს: აჭარაში მრავლად გვხდება მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები (მ.ქამადაძე, 1992:53). მკლევარი აგრეთვე მიუთითებს: „საგულისხმოა, რომ ბევრი მცენარის სახელი, რომელიც ასახულია ტოპონიმებში ადგილობრივი დიალექტიკური წარმომავლობისაა. არის შემთხვევა, რომ მცენარის სახელი ადგილობრივ მივიწყებულია, მაგრამ გეოგრაფიულ სახელს შემოუნახავს იგი. ამდენად ტოპონიმიის საფუძვლიანი შესწავლა მივიწყებული ბევრი მცენარის სახელსაც აღვადგენინებს (მ.ქამადაძე, 1999:25). ამდენად, ჯერ ერთი სოფლის სახელწოდება წარმოსდგება აღნიშნულ ტერიტორიაზე თავის დროზე გავრცელებული მცენარის სახელისაგან. და მეორე, საგულისხმოა სოფლის სახელწოდებამ შემოგვინახა ძველად ჩვენთან **ჯოჭის** სახელით გავრცელებული მცენარის სახელწოდება. რაც შეეხება სოფლის სახელწოდების თანამედროვე სახე-ფორმატს, წარმოქმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს ადრეშუასაუკუნეებში. საკვლევი სოფელი მოხსენიებულია ტბეთის ეკლესიის (შავშეთი) სულთა მოსახსენიებელში. მასში ვკითხულობთ „ჯოჭოელი ჭანისძე გრიგოლი და მისი მეუღლე ნათელი“ (ტბეთის ს.მ., 1977:124 (№ 185), მოსახსენიებელი მიეკუთვნება XIIსაუკუეს (რ.უზუნაძე, 2011:21).

აღსანიშნავია, რომ ჯოჭოს წყლის ხეობაში ცხოვრების კვალი დასტურდება ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან. აქ აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის განძი. ნაპოვნი იქნა მიწის სამუშაოების დროს 1960 წ. მიკროტოპონიმ სარახიას ტერიტორიაზე ახმედ ლეონიოძის საკარმიდამო ნაკვეთში. შედგება ბრინჯაოს ხუთი ცულისა და ბრინჯაოსავე 9 ზოდისაგან. ზოდების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ ადგილზე მოწყობილი უნდა ჰქონდათ იარაღების ჩამოსასხმელი სახელოსნო. როგორც კოლხური მატერიალური კულტურის ცნობილი მკლევარი ალ. რამიშვილი მიუთითებს „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ლითონდამუშავების არსებობა ვივარაუდოთ თითქმის ყოველ მეტნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ ხეობაში“ (ალ. რამიშვილი, 1974:105). აღსანიშნავია, რომ განძის აღმოჩენის ადგილიდან დაახლოებით 100 მეტრში, აღმოჩნდა სამოსახლო ბორცვი (გორასამოსახლო). ყოფილა საკმაოდ მსხვილი დასახლება (ა.კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989:44). სამოსახლოზე აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, ძელური ნაგებობის დეტალები, ბირთვის ფორმის მრგვალი ქვები (შურდული), თიხის კვირისთავი, ვერცხლის სამაჯურის

ფრაგმენტები (ა.კიხიძე, დ. ხახუტაიშვილი, 1989:44-45). ჯოჭოს გორა – სამოსახლო თავდაპირველად შედიოდა მახვილაურ-ბათუმის გორა სამოსახლოთა არეალში (ა.ინაიშვილი, 1976:80; ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989:57; დ.მუსხელიშვილი, 2007:86,96). შემდგომ იგი ხდება, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში წარმოქმნილი, ერგეს „ხევის“ (დ. მუსხელიშვილი) შემადგენელი ნაწილი ცენტრით ერგეში.

ჯოჭოს და წყალგველას ხეობებში დასტურდება **წარმართობის ხანის ღვთაებათა – მთვარისა და წმინდა ელიას სალოცავები**. მთვარის ღვთაების სალოცავი (საყდარი) მდებარეობდა მიკროტოპონიმ თეთროსანას ტერიტორიაზე (სოფ. ქვემო ჯოჭო). ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში **მთავრე** ითვლებოდა მთავარ ღვთაებად, მამა ღმერთად. იგი იყო „ცისა და მიწის ნათელი, მეუფე ცისა და მიწის ღმერთებისა“ (რ.პატარიძე, 1980:169). მისი სიმბოლური ნიშანი იყო ხარის რქები (ნახევარმთვარის გამოსახულება). ასევე ხარი წარმოდაგენდა მთვარის ღვთაების ზოომორფულ სახეს, მისი მამრული ძლიერების გამოხატულებას (რ.პატარიძე, 1980:176). ამიტომ ხარი ითვლებოდა ღვთაების წმინდა ცხოველად. წარმართობის გავლენით აღნიშნული ტრადიცია დამკვიდრდა წმ. გიორგისთან მიმართებაში.მთვარის ღვთების დღესასწაული აღინიშნებოდა აგვისტორს თვეში (ივ.ჯავახიშვილი, I, 1979:88-91). ქრისტიანობის ხანაში მთვარის ღვთაება ჩაანაცვლა წმ. გიორგიმ. თავდაპირველად წმ. გიორგის რიტუალებს შეერწყა წარმართობისა და ქრისტიანობის რწმენა-წარმოდგენები. რაც საქართველოს მთიანეთში მეტნაკლებად დღესაც შემორჩენილია. აკად. ივ. ჯავახიშვლი მიუთითებდა „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმ. გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ (ივ.ჯავახიშვილკი, I, 1979:90). დიდი მეცნიერი ასევე მიუთითებდა: აღნიშნულმა პროცესებმა ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენს ეროვნულ აზროვნებაზე (ივ.ჯავახიშვილი, I, 1979:90). მთვარის ღვთაების ტრადიციიდან გამომდინარე წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა აგვისტოს თვეში. წმინდა (თეთრ) გიორგის გამოსახავდნენ თეთრ ცხენზე ამხედრებულს. ადგილმა სახელი მიიღო თეთ ცხენზე ამხედრებული წმინდანის თეთრ გიორგისაგან (მიეკუთვნება ერთ-ერთ იშვიათ ტოპონიმთა რიგს). აწყურში აგვისტოს თვეში იმართება თეთრი გიორგის დიდი ხალხური დღესასწაული(სმეე ლექსიკონი, 2007:176). წმ. გიორგის შესაწირავი ხარი უნდა ყოფილიყო თეთრი (რ.სურმანიძე, 2007:38). ხალხური წარმოდგენით, თეთრი ხარი ეკლესიაში თავად წმ. გიორგის მოყავდა (ნ.მგელაძე, 2007, I,: 219). ზემოთქმულის შესაბამისად, გარდამავალ ხანაში წმინდანის **თეთრი გიორგის** სალოცავ ადგილს, სადაც მდებარეობდა საყდარი, ეწოდა **თეთროსანა**. ქართულ ტრადიციაში წმ. გიორგი მცველ-მფარველი და უძველესი მხედარია. გამოკვლეულია, რომ საქართველოში საყდარ-სალოცავების უმრავლესობა წმ. გიორგის სახელს ატარებდა. ამრიგად, თეთროსანას საყდარში თავდაპირველად სრულდებოდა მთვარის ღვთაების სავედრებელი რიტუალები. შემდგომ მისი ადგილი დაიკავა წმ. გიორგიმ. ფაქტობრივად ეს არის ქართულ სამყაროში

ორი სხვადასხვა ეპოქის კულტის თვალსაჩნოდ გამოხატული სინთეზი. აკად. ა. აფაქიძე მიუთითებდა: „მთვარე, როგორც მამაღმერთი, დიდხანს შეინარჩუნა ქართველობამ, უკვე წმინდა გიორგის სახითა და სახელით (ა. აფაქიძე, 2019: 225). ასე, რომ ჩვენს ერამდე და შემდგომი პერიოდის შესახებ ტოპონიმმა შემოგვინახა დაახლოებით 3500-4000 წლოვანი უნიკალური ინფორმაცია.

თეთროსანას ტერიტორიაზე (მერაბ შუქრის ძე ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში) აღმოჩნდა ჭურები (ინფორმაცია მოგვაწოდა ზურაბ თედორაძემ, სოფლის მკვიდრი, ცნობილი ქირურგი, მედიცინის დოქტორი. 2003 წ.). რაც მიუთითებს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე. ეკლესია წურავდა თავის მოსახმარ ღვინოს.

წარმართობის ხანის მეორე ძეგლი დადასტურებულია ზემო ჯოჭოს ცენტრში. ადგილის სახელწოდებაა „**სახტარი**“ (**საყდარი**). მდებარეობს ნასაყდრალ ადგილზე. ქრისტიანობის ხანაში იგი წარმოადგენდა 40-42 კვ.მ. ზომის სოფლის სამლოცველოს (რ. უზუნაძე, 2018:472). საყდარი ნაგებია რიყის ქვებით. კედლის სისქე 40-50 სმ-ია (შ. მამულაძე, კ. ქამადაძე, 2013:94-95). სამლოცველოს სამხრეთ მონაკვეთში საძირკვლად და ნაწილობრივ კედლადაც გამოყენებულია დიდი ზომის ბუნებრივი ქვის ლოდი.როგორც ირკვევა წარმართობის ხანაში მას ჰქონდა საკრალური დანიშნულება. იგი წარმოადგენდა წმ. ელიას სალოცავ ქვას „წმინდა ქვას“. ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში წმ. ელიას ეკავა საპატიო ადგილი. იგი იყო წვიმასეტყვის, მეხის, ტაროსის და ავდრის ბატონი (ივ. ჯავახიშვილი, I, 1979:85). არსებული მონაცემების მიხედვით საყდრის კედელში ჩატანებულ ქვა-ლოდზე („სალოცავი ქვა“) სრულდებოდა წმ. ელიას სავედრებელი ლოცვა-რიტუალები (რ. უზუნაძე, 2018:417).

ქრისტიანობის ხანაში წმ. ელიას ადგილი დაიკავა წმ. ლაზარემ (სმე.ლექსიკონი, 2007:497).

ცნობილია, რომ პირველ ეტაპზე ქრისტიანობის დამკვიდრება მიმ- დინარეობდა წარმართულ წეს-ტრადიციებთან თანაარსების ფონზე. რაც გვიანობამდე შემორჩა საქართველოს მთიან რეგიონებში (შ. ჩართოლანიო, 1997:103-108). ზემოთქმულის გათვალისწინებით ჯოჭოს მოსახლეობამ ქრისტიანული საყდარის ასაგებად მიზანმიმართულად შეარჩია ძველთაგან მომდინარე მათთვის წმინდა ადგილი „სალოცავი ქვა“ (რ. უზუნაძე, 2018:419). რაც ადრეულ ხანაში იყო ძველი და ახალი რწმენა-წარმოდგენების ერთგვარი სინთეზი. საყდარი აგებულია ადრექრისტიანობის პერიოდში, არაუგვიანეს IX-X სს-ში (რ. უზუნაძე, 2018:478). საყდარს აქვს საძვალე მინაშენი. სადაც მარხია ეკლესიის მსახურები და მათი ოჯახის წევრები. საძვალეში აღმოჩნდა 21 მიცვალებულის ნეშტი (შ. მამულაძე, კ. ქამადაძე, 2013:95). ცნობილია ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირი გრიგოლ ჭანიძე. 1956 წ. პროფესორ იური სიხარულიძეს ჯოჭოელ ალი მიქელაძესაგან ჩაუწერი: „ჩემი დიდი ნენეი, იტყოდა, რომ აქ ძველად ქილისე-საყდარი იყოო.

ხალხი მაშინ სულ მაღლობებზე ცხოვრობდა და ჩანგს რომ დაარტყამდნენ მოუდოდნენ მოსახლეები“ (ი. სიხარულიძე, II,1959:77)

აქვე მცირე ექსკურსი, – როდესაც წარმართული და ქრისტიანული (ადრექრისტიანული) ხანის სალოცავებზე ვსაუბრობთ საინტერესოა ტერმინი „საყდარი“. როგორც წინათ გამოქვეყნებულ ნაშრომებში (რ. უზუნაძე, 2012; რ. უზუნაძე, 2018) ავღნიშნავდით სიტყვა „საყდარი“ მომდინარეობს საერთო ქართველური ფუძე**ენიდან**, ნიშნავდა და ნიშნავს სამლოცველოს. აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა: „ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის, მეგრელთათვის, სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, რომ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა (ივ. ჯავახიშვილი, I, 1979:156). დიდი მეცნიერის ამ მოსაზრებას სრულად იზიარებდა აკად. ა. აფაქიძე (ა. აფაქიძე, 2019:221). მეტად საყურადღებოა, რომ ბრინჯაოს ხანის საქართველოში **თითოეული საცხოვრებელი (ყუდე) სამლოცველოსაც წარმოადგენდა (იხ. გ.ავალიშვილი, I, 2008:26)**.

საყდარი „წმინდა სახლის“ „სამლოცველოს“ მნიშვნელობით, ქართულ-მეგრულის მსგავსად, დასტურდება სვანურშიც (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000:687, 887). რაც შემორჩენილია დოკუმენტურ მასალებში, ტოპონიმების სახით. XIV ს-ის პირველ ნახევარის სეტის თემის მცხოვრებთა მიერ შედგენილ დოკუმენტში წერია „სეტისა მთავარმოწამისა საყდრის შვილთა“ (ნიშნავს „სალოცავის ყველა მლოცველს“. იხ. რ. თოფჩიშვილი, 2015: 130-131).

სვანებში დადასტურებულია გამოთქმა „საყდარში მისვლა“ (რ. თოფჩიშვილი, 2015:129). გვაქვს სამლოცველო ადგილების სახელები „საყდარი“ (ჭუბერის თემი), „პეტლი საყდარი“ (მესტია. იხ. რ. თოფჩიშვილი, 2015:17: მ. ჩართოლანი, 1977:137). ჩოლურის თემში სოფლის სახელია „საყდარი“. სოფელში დასტურდება წმ. გიორგის სამლოცველო (რ. თოფჩიშვილი, 2015:35). XIV ს-ის საბუთს ჰქვია „ცაგერის საყდრის გამოსავლის დავთარი“ (რ. თოფჩიშვილი, 2015:33).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ ნათელი ხდება სიტყვა „საყუდარი“-ს (საყდარი) მომდინარეობდა საერთო ქართული სამყაროდან. რაც ითვლის არანაკლებს 5000 წლოვან ისტორიას.

ამრიგად, ადგილთა სახელემა შემოგვინახეს უძველესი ქართული სიტყვა „საყდარი“ და მისი მნიშვნელობა.

ჯოჭოსწყლის მარცხენა მხარეს, მიკროტოპონიმებ „ქვაკიბიასა“ და „ნასელვარას“ მიდამოებში, კერძოდ ოსმან ლეონიძის საკარმიდამო ტერიტორიაზე არსებობდა საყდარი (ცნობა მოგვაწოდა ღვაწმოსილმა პედაგოგმა, ზემო ჟოჭოს სკოლის ყოფილმა დირექტორმა †გარსევან ლეონიძემ. 2004)

საყდარი არსებულა ნასოფლარ „სამოლეთას“ ტერიტორიაზე. როგორც ირკვევა აღნიშნული მიდამოები წარმოადგენდა სოფლის ერთ-ერთ ძველ დასახლებას. აქ აღმოჩენილია ნაგებობათა ნაშთები, ჭურები, რკინის წიდები.

ნაეკლესიარი დასტურდება მდ. წყალგველას (ქვემო ჯოჭო) მარცხენა მხარეს, „წიფლნარის“ სამხრეთ ფერდობზე. გადარჩენილია მხოლოდ საძირკველი. საყდარი წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ნაგებობას (რ. უზუნაძე,

2003:5). ეკლესიის აღმოსავლეთით ყოფილა ქრისტიანული სამარხები. 1960 წ. აქ აღმოჩნდა საფლავის ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა „შეიწყალე ღმერთო გრიგოლ კოჭლაძე“ (აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი). აღნიშნული გვარი დასტურდება ერგეს თემში (რ. უზუნაძე, 2011:27).

ჯოჭოსწყალ – წყალგველას შესართავთან, მარცხენა მხარეს აღმართულ მცირე ბორცვზე მდებარეობდა **ყოვლად წმინდა დედა ღვთისმშობლის** ეკლესია (ამ ადგილს ეძახიან „მერიემქილისეს“). წარმოადგენდა დიდ დარბაზული ტიპის ნაგებობას. მისი ფართი უდრიდა დაახლოებით 100 – 120 კვ.მ. ნაგები იყოს კირითა და 50-60 სმ. სიფართის თლილი ქვებით. ეკლესიას სამხრეთ – დასავლეთის მხრიდან ჰქონდა თაღოვანი, ფართო შესასვლელი. იატაკი მოპირკეთებული იყო ქვით. ოსმალთა ბატონობის პერიოდში იგი ჯამედ გადაუკეთებიათ. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ცნობილი მწიგნობარი, აჭარის დიდი მოჭირნახულე ზაქარია ჭიჭინაძე. იგი გვამცნობს: „ძველად ერგეს კარგი ეკლესია ჰქონია. ოსმალებს პირველად ერგეს (იგულისხმება ერგეს „ქვეყანა“) ხალხისათვის დაუტანებიათ ძალა რჯულის გამოცვლისათვის. ერგეში ბევრი გამწყდარა რჯულისათვის. ოსმალებს ეკლესიაზე ჯამე დაუდგამთ“(ზ. ჭიჭინაძე. 1913:128).

ამ ეკლესიასთან არის დაკავშირებული საინტერესო ლეგენდა. 1116 წლის თებერვალში, ჭოროხის ხეობით, კლარჯეთში სალაშქროდ მიმავალ დავით აღმაშენებელს, სადაც ელოდა თურქ მომხდურთა წინააღმდეგ სალაშქროდ შეყრილი ქართველთა ჯარი, გაუვლია ხე (ვ) ყრუ – ერგეს გზაზე. სწორუპოვარ მეფე – სარდალს გზად შეუვლია სოფლის ეკლესიაში, წირვა მოუსმენია და სანთელი დაუნთია. ცნობილმა პოეტმა, ერგეს მკვიდრმა დავით (დათო) თედორაძემ აღნიშნულ ლეგენდას უძღვნა შესანიშნავი ლექსი „დავითმა წარვლო ჭოროხი“. პოეტი დიდი სიამაყით ბრძანებს:

აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს
ძეგე – ჭრძენს აყვლია,
ჯორობი რიდით დაქშრალა
ბნვა წყლებსაც დაჭლია,
ცყენს მოდებული ხანძარი
ბუჭურვით ჩაყრია.
სოფლის აქჭავი ყვითხავს,
ცაძარი აყვია,
ყუჭთან წირვაზე დაქდარა,
სანთელი აუნთია.

(ლ. თედორაძე, 2004: 42-43)

ჯოჭოს ხეობის მაღლობზე შემორჩენილია ციხის ნაშთები (ჯოჭოს-წყლის მარჯვენა მხარე). ამ ადგილს ეძახია „**ნაყულევს**“ (ყულე არაბული სიტყვაა და ნიშნავს ადგილს სადაც მდებარეობდა საფორტიფიკაციო ნაგებობა (ციხე). ციხეს ეკავა მეტად მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა. იგი ყოველი მხრით აკონტროლებდა ჯოჭოს ქვაბულს და მასთან დამაკავშირებელ ხევებს. ციხის მცველები (მეციხოვნეები) ყოფილან ჯოჭოელი ყულეჯიშვილები. რაც ნიშნავს მეციხოვნესშვილს (დროთავითარებაში ზედწოდება გაფორმდა გვარად).

ქრისტიანობის ხანის სოფელი ჯოჭო გამოირჩეოდა განვითარებით, მოსახლების სიმრავლით. რაზეც მეტყველებს თუნდაც ჩვენს მიერ დადასტურებული 5 – 6 ქრისტიანული სალოცავის (საყდრები) არსებობა. XI – XVI საუკუნეებში აქ სახლობდნენ შემდეგი გვარები: ***დოლიძე, ჭანიძე, სამოელიძე, ვარდანიძე, ხინთიბიძე, გვარელაშვილი, იაკობაძე, კოჭლაძე, მეციხოვნესშვილი, ჯაფარიძე, ჯაყელი …***

დროთა ვითარებაში, განსაკუთრებით ოსმალთა ბატონობის ხანაში ზოგიერთი გვარი მთლიანად თუ ნაწილობრივ აიყარა და გადასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში, ზოგიერთმა გვარი შეიცვალა, ზოგიერთი გადაშენდა. მიგრაციული პროცესის შედეგად გვიან შუა საუკუნეებში სოფელ ჯოჭოში დასახლდნენ მიქელაძე, თედორაძე, კახიძე, ქავთარაძე, ავჯიშვილი, სეიდიშვილი, ვაცაძე, ხოროიშვილი. მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნებიან – მამულაიშვილი, ჟორდანიძე, ასანიძე .....

VXI – XVII სს მიჯნაზე იმერეთიდან (ხონი) გადმოსახლდა და აქ დასახლდა მიქელაძეთა გვარის წარმომადგენელი ჯოჭოელ მიქელაძეთა წინაპარი **მერიემ ერგელი**. იგი ყოფილა მიქელაძეთა გვარის „დიდი ნენე“. როგორც გადმოცემა მოგვითხრობს მერიემი (ქრისტიანული ნათლობის სახელი მარიამი) არ შერიგებია ოსმალო დამპყრობთა მძლავრობას და კვლავ მისდევდა მამა-პაპური ცხოვრების წესს. მის დროს (დაას. XVIII-XIX სს-ის მიჯნა) უცხო რჯულის სალოცავებთან ერთად არც ძველი ყოფილა მოშლილი. თუმცა დღისით და მზისით „ქილისეებში“ შესვლას და რიტუალების შესრულებას ვეღარ ბედავდნენ. ამიტომ მერიემ მიქელაძე, თანასოფლელებთან ერთად, ღამით ქილისეში (საყდარში) მიდიოდა და თხოვდა ზენაარს შველას. თავის დროზე მას თვალსაჩინო როლი შეუსრულებელია ქართული ადათ-ჩვევების დაცვაში (ი. მოსიძე, 1980:62). ჯოჭოს ხეობაში დღემდე შემორჩენილია ხალხური ლექსი:

„დუნია რომ მოიარო
ვესად ნახო მისებრ ქალი
დიდი ნენე, მერიემი,
მთელი ერგეს არის თვალი.
იცის წერა, ქსოვა, ლექსი
და ზღაპრები გრძელზე-გრძელი.
იგი ჯამეს სტუმარია
და ქილესეს მასპინძელი“.

გვიან შუასაუკუნეების ერგეს „ქვეყნის“ მმართველები („მცირე მთავრები“. ვ. ბატონიშვილი) ყოფილან ჯაყელები. გადმოსულები იყვნენ სამცხე – საათაბაგოდან. ქვემო ჯოჯოში არის ადგილი, რომელსაც „ჯაყელის ყალეს“ ეძახიან. გადმოცემით აქ ყოფილა ჯაყელის სასახლე. შემორჩენილია ნაგებობის თლილი ქვები. მათ ჰქონდათ ციხე. მდებარეობდა მდ. ჯოჯოსწყლის ქვემო წელის მარჯვენა მხარეს, არფაზონის ქედის დავაკებულ ფერდობზე. პროფ. შ. მამულაძე მიუთითებს: შუა საუკუნეების აჭარაში „ციხეების ნაწილი ცალკეულ ფეოდალთა თუ აზნაურთა სარეზიდენციო ცენტრებს წარმოადგენდა (შ. მამულაძე, 2009:198).

ამრიგად როგორც მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, სოფელ ჯოჯოს აქვს უძველესი და მრავალმხრივი საინტერესო ისტორია. გვინდა წინამდებარე სტატია დავამთავროთ საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II სიტყვებით „ჩვენი დანაშაულია, რომ კარგათ არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას. არადა მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრი კარგად გავაცნობიეროთ“ (საშობაო ეპისტოლე. 2013 წ.)

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. ავალიშვილი, 2008. – ავალიშვილი გ., პირველყოფილი საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე (საქართველოს ისტროია, I, თბილისი.)
2. ა. აფაქიძე, ქართული წარმართული პანთეონი. საქართველოს ისტორია, I, თბ., 2019 წ.
3. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიმუზეუმის ხალნაწერთა ფონდი IV 505.
4. ს. გოგიტიძე, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის. ბათუმი, 2002 წ.
5. დ. თედორაძე, და მიდის წუთისოფელი. ბათუმი, 2004 წ.
6. რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი (გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევები), თბ., 2015 წ.
7. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი თბ., 2000 წ.
8. ა. ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის. კრ. „აჭარის ისტორიული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, I, თბ., 1976 წ.
9. ა. კახიძე, დ. ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის.სდსძ, XVIII, თბ., 1989 წ.
10. ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961 წ.
11. ნ. მგელაძე, აჭარაში ადრებრინჯაოს ხანის სულიერი სამყარო. სდსინ (აჭარა), I თბ., 2007 წ.

12. შ. მამულაძე, ფეოდალური ხანის აჭარაში გზები, საგზაო და საფორტიფიკაციო ნაგებობები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), II, ბათუმი 2009 წ.
13. შ. მამულაძე, კ. ქამადაძე, სოფ. ერგეში 2012 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. აჭარა (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი 2013 წ.
14. ი. მოსიძე, სახელოვანი ქალები, ჟურნ. „ჭოროხი“, 1980 წ, № 2.
15. დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. სდსინ (აჭარა), თბ., 2007.
16. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980 წ.
17. ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1974 წ.
18. ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959 წ.
19. რ. სურმანიძე, თეთროსანა, ბათუმი, 2007 წ.
20. ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977 წ.
21. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი (სმეელ), თბ., 2007 წ.
22. რ. უზუნაძე, სოფელ ერგეს წარსულიდან, I, თბ., 2011 წ.
23. რ. უზუნაძე, ქრისტიანობა ერგეს „ქვეყნაში“, თბ., 2012 .
24. რ. უზუნაძე, წინაპართა ნაკვალევზე. გაზ. „აჭარაში“, 2003 წ. № 173
25. რ. უზუნაძე, ერგეს „ქვეყანაში“ ქრისტიანობის წარსულიდან. კრ. „ჩვენი სულიერების ბალავარი“, X, ბათუმი, 2018 წ.
26. მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VIII, თბ., 1992.
27. მ. ქამადაძე, აჭარის ონომასტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემებთან მიმართებით (ავტორეფერატი). ბათუმი. 1999.
28. შ. ჩართოლანი, სვანეთის მატარიალური და კულტურის ძეგლების შესწავლისათვის . სვანეთი, I, თბ., 1977 წ.
29. მ. ჩართოლანი, ჩხუდანი-სვანური სახლის კერპი. სვანეთი, I, თბ., 1977 წ.
30. ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913 წ.
31. ივ. ჯავახიშვილი, ქართველების წარმართობა. თხზ. ტ. I,თბ., 1979 წ.

Revaz Uzunadze
Merab Uzunadze

Episodes from the past of the village of Jocho

Summary

The ancient settlement of southwestern Georgia the village Jocho is located 15 km from Batumi, in the right bank section of Jocho. The name of the village is derived from the name of the plant `Jochi~, which was common in the study area. Traces of life in the Jocho Valley have been confirmed since the Bronze Age. There are many monuments of paganism and Christianity in the valley.

გიორგი დოლიძე

“ლელოგურთი გურიაში“

ლელობურთი, როგორც ძირძველი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მეტად მნიშვნელოვანი იყო ხალხის ცნობიერებაში, რადგან თავად ლელოს თამაში დღემდე სიმამაცესა და თავდადებას მოითხოვს. ტერმინი „ლელო“ ძველად საბრძოლო შეძახილის აღმნიშვნელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თამაშს გასულ წლებში გაქრობა ემუქრებოდა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში ამ მეტად მნიშვნელოვან და ღირსშესანიშნავ ტრადიციას გურულები დღემდე ამაყად განაგრძნობენ. სავსებით შეიძლება იმის თქმა, რომ ლელობურთი ბოლო წლებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში, რისი დასტურიც არის ის ფაქტი, რომ ეს თამაში 2019 წელს შევიდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში. ამ ფაქტიდან გამომდინარე თამაშის მნიშვნელობა დღეს კიდევ უფრო გაიზარდა. სოფელ შუხუთში იგი იმართება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე. მასში მონაწილეობის მისაღებად საგრძნობლად გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ უცხოეთიდანაც. ეს ფაქტორი რასაკვირველია ტრადიციული თამაშის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ლელობურთთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მრავალი სტატია და 1982 წელს გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „ლელოს შემობრუნება“. ფრიად სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ ლელობურთთან დაკავშირებით, არაერთი უცხოური სტატიაც გამოქვეყნდა.

ეპიდემოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, თამაში შუხუთში 2020 წ. არ ჩატარებულა. თუმცა იგი ჩარატდა ბელარუსიის დედაქალაქ ბრესტში. ეს ფაქტი საერთაშორისო ასპარეზზე ტრადიციული ქართული თამაშის პოპულარობაზე მეტყველებს. თამაშის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ადგილობრივი სარაგბო კლუბის მწვრთნელი კირილ მალსაკოვი, რომელიც მისივე თქმით ყოველთვის მოხიბლული იყო აღნიშნული თამაშით და სურდა როგორმე შეეწყო ხელი მრავალსაუკუნოვანი სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისათვის და ცაეტარებინა იგი თავის ქვეყანაში.

სტატიის მიზანს წარმოადგენს ლელობურთის, როგორც არამატერიალური კულტურული ტრადიციის წარმოჩენა და მისი პოპულარიზაცია საზოგადოებაში. მიზნად დავისახეთ აგრეთვე ლელობურთთან დაკავშირებული თქმულებებისა და ლეგენდების შესწავლა, მისი გენეზისის საკითხების წარმოჩენა. ჩვენი მიზანია ავხსნათ თამაშის ამ სახეობის განსაკუთრებულობა, ზოგადად გურიაში მისი მივიწყებულობისა და ერთ სოფელში-შუხუთში შემონახულობის ფაქტორები თამაშთან დაკავშირებული წესების შეუცვლელად. საზოგადოებისათვის თამაშთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების, თამაშის დაწყებამდე შესასრულებელი წესების გაცნობა და პოპულარიზაცია წარმოადგენს ნაშრომის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას.

ლელობურთის შესახებ ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის წყაროებში. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტიკური პერიოდის ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი სწავლულ-მოგზაურები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ინფორმაცია, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველური ტომების ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას, წეს-ჩვეულებებსა და თამაშობებს. ანტიკური პერიოდის წერილობითი ძეგლებიდან აღსანიშნავია ჰეროდოტესა და სტრაბონის ჩვენამდე მოღწეული მონაცემები.

რენესანსის ეპოქაში სპორტულ თამაშობათა შორის ბურთაობასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შოთა რუსთაველი წერს: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა მარჯვედ ქნევა“. ამ თამაშის შესახებ საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „შემდგომად წირვისა.. გავიდიან ასპარეზსა მეფე და წარჩინებულნი და მრავალნი ერნი, დასვიან ყაბახსა ზედა ოქროსა ანუ ვერცხლისა ჭურჭელი რაიმე და უწყიან ჩინებულთა და უფროს ჭაბუკთა ისართა სროლა.. შემდგომად ამისა იქმნების ბურთაობა“ (ბატონიშვილი, 1745:55-59). ამასთანავე ლელობურთთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის საქართველოში მყოფი ცნობილი უცხოელი მოგზაური ჟან შარდენი. იგი აღფრთოვანებას არ მალავს და ხაზს უსვამს მოთამაშეთა სიმამაცეს (გაზეთი „ივერია“, 1886: N125-129).

XVII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა იტალიელმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტმა. იგი აღფრთოვანებით წერს ტრადიციული სპორტული შეჯიბრებების შესახებ, რომელთა შორის გამოყოფს ცხენბურთს (გაზეთი „ივერია“ 1879 წ. N:3.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე **არქანჯელო ლამბერტის ნაწერები.** მან ძირძველი ქართული სპორტის სახეობების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა. ქართველების შესახებ აღფრთოვანებას ვერ მალავს იმავე პერიოდის იტალიელი მისიონერი **დიონიჯო კარლი. იგი** ხაზს უსვამს ქართველების მოხერხებულობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში

ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში ლელობურთის თამაშის ტრადიცია სათავეს იღებს რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდიდან. შუხუთში ლელობურთის თამაში უკავშირდება 1854 წლის შუხუთფერდის ბრძოლას, როდესაც თურქული არმია, რომელიც მოღალატე ქართველებითაც იყო დაკომპლექტებული, ხასან-ბეგ თავდგირიძის სარდლობით შემოვიდა ამ მიდამოებში. გადამწყვეტი ბრძოლა სწორად აქ გაიმართა. ქართველებითა და რუსებით დაკომპლექტებულმა ბევრად მცირე არმიამ შეძლო მტრის დამარცხება და ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვება. ბრძოლის ველზე დაეცა თავად ხასან ბეგ თავდგირიძე, რომელიც აზნაურმა ერასტი ჭყონიამ მოკლა „ცაცხვების ქვეშ“. სწორედ ამ გრანდიოზული გამარჯვების აღსანიშნავად 1854 წლიდან მოყოლებული დღემდე იმართება სოფელ შუ-

ხუთში ლელობურთი **„რკენაი საკვირველი“,** როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ. თამაშს შუხუთში ესწრებიან მსურველები საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და სოფლებიდან. თამაშის დღეს (აღდგომა) საქართველოს ცენტრალური ავტომაგისტრალი E-60 რამდენიმე საათითი კეტება. სწორედ ამ მაგისტრალზეა „ცაცხვების ქვეშა“ ადგილი, სადაც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა საბა ერთ ფუთიან ლელობურთს ჰაერში აგდებს და ზემო და ქვემო შუხუთლებს შორის იწყება დაუვიწყარი „შერკინება“. თამაშში აქტიურ მონაწილეობას იღებენ უცხოელებიც, რაც რასაკვირველია ლელობურთის პოპულარობაზე მეტყველებს.

ლელობურთის თამაშში მონაწილეობა **ქალებსაც** შეეძლოთ. საქვეყნოდ იყო ცნობილი ამჟამად ვეტერანი მოთამაშე ქალის **ქეთევან ფირცხალაიშვილის** სახელი. იგი იყო საოცრად მამაცი და გამბედავი. მისი შვილები თემურ და თამაზ ფირცხალაიშვილებიც ლელობურთის ცნობილი მოთამაშეები არიან.

თამაშის ტრადიცია თაობიდან თაობაზე გადადიოდა. მოთამაშეთა თაობებს აერთიანებს ლანჩხუთელი კუკულაძეების ოჯახი. ვეტერანი მოთამაშის ვახტანგ კუკულაძის ინფორმაციით ცნობილი მობურთალი ყოფილა მისი ბაბუა ნოე კუკულაძეც. მისივე ინფორმაციით ადრე თამაშის დაწყებამდე მოთამაშეები ბრიზენტისგან დამზადებულ შარვლებით გადიოდნენ. გამარჯვების მოსაპოვებლად ან დამარცხების გარდაუვალობის შემთხვევაში თამაშის ჩაშლის მიზნით „ბურთის მოპარვასაც“ არ ერიდებოდნენ. შესაბამისად ზოგჯერ ფიზიკურ დაპირისპირებებსაც ჰქონია ადგილი. ერთხელ, 1990-იან წლებში ბურთის დასამზადებლად ტყავი ვერ უშოვიათ. ამიტომ გამოუყენებიათ კალათბურთის ბურთი, მასში მოუთავსებიათ სილა და ნახერხი. ბურთი არ ყოფილა გამძლე და შუა თამაშში. გახეული ბურთის ერთი ნაწილი ზემოურებს წაუღიათ, ხოლო მეორე -ქვემოურებს. არცერთი მხარე თავს წაგებულად არ თვლიდა და ორივე მათგანი აღნიშნავდა გამარჯვებას. ლელობურთის ტრადიციას დღესაც ამაყად აგრძელებენ ორაგველიძეები, იმნაიშვილები, ჯაფარიძეები, ფირცხალაიშვილები და სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები. თამაშის დროს დიდია ტრავმის რისკი. ცნობილ მოთამაშე მალხაზ ორაგველიძეს ტრავმა პირველად 15 წლის ასაკში მიუღია.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ 1854 წლიდან მოყოლებული შუხუთის მცხოვრებლებმა არ დაივიწყეს წინაპრების მიერ დატოვებული შესანიშნავი ტრადიცია. გურულებმა შეძლეს ძირეული ცვლილებების გარეშე დღემდე შემოენახათ ბრძოლის ამსახველ რიტუალად ქცეული სპორტის ეროვნული სახეობა. 1974 წლიდან დამკვიდრდა ბურთის მიტანა ლელობურთის მოთამაშე ადგილობრივ გარდაცვლილთა საფლავებზე. კომუნისტების მმართველობისას თამაშის დღე აღდგომის ნაცვლად 1 მაისს გადაიტანეს.

თამაში დაარსების დღიდან – საბჭოთა პერიოდის გამოკლებით, იმართებოდა აღდგომის დღესასწაულზე. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1941-1945 წლები) თამაში გასაგები მიზეზების გამო არ ჩატარებულა. იგი ვერ ჩატარდა აგრეთვე 2020 წელს მსოფლიოში შექმნილი ეპიდომოლოგიური სიტუაციის გამო, რასაც სოფლის მოსახლეობა გაგებით შეხვდა.

„ლელო" უძველესი ქართული სიტყვაა და ძალით გატანას ნიშნავს. თავად სახელწოდება მკაფიოდ განმარტავს მის შინაარს. ნათელია, რომ საქმე გვაქვს შეუპოვარ და თავდაუზოგავ ბრძოლასთან. ამასთან ერთად, ძველი ქართული სპორტის სახეობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სპორტის ის სახეობები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, სახელდობრ: **ცხენბურთი, ჭიდაობა, ჭაკუნობა** და სხვა. საყურადღებოა, რომ ლელოს თამაში და შესაბამისად ლელოს დადება საქართველოში, კერძოდ კი გურიაში სოფელ შუხუთში დღემდე ვაჟკაცობად ითვლება.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ლელო" ძირძველი ეროვნული ქართული სპორტული თამაშობიდან – ბურთაობიდან მოდის, რომელიც ჯერ კიდევ XII საუკუნის ცნობილ პოემაში „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული თამაში იმ პერიოდშიც და უფრო ადრეც პოპულარული უნდა ყოფილიყო ქართული საზოგადოებისთვის. სხვადასხვა მასალებით ირკვევა, რომ ლელოს უმთავრესად დასავლეთ საქართველოში სახალხო (რელიგიურ) დღესასწაულებზე თამაშობდნენ. ძირითად სათამაშო ცენტრებს წარმოადგენდა: ფოთი, ბათუმი, ხონი, კულაში, სენაკი, ქუთაისი, ზუგდიდი და სხვა. ცნობილია ისიც, რომ თამაშში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მონაცემებს გვიყვებიან გაზეთ „ლელოს" თანამშრომლები. მათი ინფორმაციით აღნიშნული თამაში ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და იგი სპორტის ეროვნულ სახეობად იყო მიჩნეული.

ლელობურთი ეფუძნებოდა გუნდური თამაშის პრინციპს. მოთამაშეთა მიზანს წარმოადგენდა ბურთის მიტანა მოწინააღმდეგე გუნდის ხაზთან. თავდაპირველად ლელოს გატანის ადგილებს შორის მანძილი არ არსებობდა, ამასთანავე იყო ლელოს თამაშს შორის განსხვავება. არსებობდა თამაშის ორი კატეგორია: **„გრძელი ლელო" და „მოკლე ლელო". გრძელი ლელოსთვის** ირჩევდნენ 3 ან 5 კმ-ის სიგრძის ადგილს, **ხოლო მოკლე ლელოსთვის** 2 ან 3 კმ-ის სიგრძის ადგილს. ამ თამაშისთვის სათამაშო ადგილი შემოფარგლული არ იყო. თავდაპირველად ბურთს კერავდნენ უხეში ტყავისგან და მასში, როგორც წესი დებდნენ ცხვრის მატყლს ან რომელიმე ცხოველის ბეწვს. ბურთში ათავსებდნენ სილას, ხოლო თუ წონა საკმარისი არ იქნებოდა ამ შემთხვევაში წონის მომატების მიზნით მასში ღვინოს ასხამდნენ. თავდაპირველად ბურთის წონა განსაზღვრული არ იყო. ის ზოგჯერ 12 კილოსაც კი აღწევდა ("ივერია" 1890 წ. N75).

თამაშის დაწყების წინ ბურთს მოედნის შუაგულში მაღლა შეაგდებდნენ. ბურთის დამჭერი ცდილობდა მოწინააღმდეგეთა ხაზის გარღვევას და ლელოს გაეტანას. ამ პროცესში მთელი გუნდი იყო ჩართული. რომელი მხარეც მეტ ლელოს დადებდა, გამარჯვებულიც ის რჩებოდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავდაპირველად ლელობურთში მონაწილეობდნენ ცხენოსნებიც, რომელთა რაოდენობაც განსაზღვრული არ იყო, რაც რასაკვირველია აადვილებდა თამაშის მოგებას იმ მხარისთვის, რომელიც მეტ ცხენოსანს გამოიყენებდა თამაშში (“კვალი“, 1897წ. N20)

ლელოს თამაში საკმაოდ რთულია. ამიტომაც არსებობს საკმაოდ მყარი მოსაზრება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ლელო საბრძოლო მომზადების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნეოდა, ეს თამაში ძალიან წააგავდა საბრძოლო მოქმედებას, მაგალითად სოფელ კულაშში თავადი მიქელაძის მიერ გამართულ ლელობურთში 1 500 ქვეითი და 500 ცხენოსანი მონაწილეობდა. თამაშის დასასრულს გამარჯვებული მხარე სიხარულს საბრძოლო შეძახილით აღნიშნავდნენ -„ლელო!“. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს სიტყვა მზის კულტთან დაკავშირებული წარმართი ღმერთის სახელს აღნიშნავდა (გაზეთი „დროება“ 1882 წ. N 174).

იმისთვის, რომ თამაში აქტუალური ყოფილიყო, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უბნები, სოფლები, თემები. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ გურულებსა და მეგრელებს შორის გამართული ცნობილი სპორტული შეჯიბრი, რომელიც ქალაქ ფოთში ტარდებოდა პირველ მაისს, 4 საათზე. გაზეთი „კვალის“ ერთ-ერთი გამოცემიდან ვიგებთ, რომ იმ დღეს ბურთაობაში გურულებს გაუმარჯვიათ. თამაშში თავი გამოუჩენია ჯიმშერ ბერეჟიანს და მის ჯგუფს, მათ მოახერხეს მეგრელების სწრაფი იერიშის შეჩერება და ლელოს დადება.

ლელობურთს თამაშობდნენ იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სხვა რეგიონებში. სამეგრელოს თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელში არსებობდა ლელობურთთან დაკავშირებული საინტერესაო ტრადიციები. თამაშის დაწყების პატივი ჰქონდა ადგილობრივი სასულიერო პირის წარმომადგენელს, სოფლის ეკლესიის წინამძღვარს, რომელიც ააგდებდა ხოლმე ბურთს. დროთა განმავლობაშ ამ ტრადიციამ გარკვეული ცვლილება განიცადა. თამაშის დასაწყებად ბურთი თამაშში შექონდა ვეტერან საპატიო მოთამაშეს. თამაშის დასრულების შემდგომ კი გამარჯვების აღსანიშნავად გამარჯვებულნი ხეს ფესვებიანად მოთხრიდნენ და ეკლესიის კართან დებდნენ. სასულიერო პირი ლოცვას წარმოთქვამდა: “დიდებულო წმინდა გიორგი, შენ მიეცი მათ შეძლება, მშვიდობა, დღეგრძელობა, ძალი და ღონე და ისე გაამარჯვებინე ყოველ წელს, როგორც ახლა“ (გაზეთი „დროება“ 1882 წ. N:72).

ლელობურთი დიდი პოპულარულობით სარგებლობდა აჭარაშიც. თამაში იმართებოდა ბათუმში, კახაბერის მიდამოებში. ლელობურთის თამაშს ხშირად თან ახლდა დაპირისპირება, როგორც მოასპარეზეთა შორის, ასევე მოსახლეობასა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის. ერთ-ერთი

ასეთი დაპირისპირება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის მოხდა ბათუმში, როდესაც კვირაცხოვლობის დღეს. თამაში მოწონებიათ დამსწრეებს, მათ შორის უცხოელებსაც (ყაზახები). ერთ-ერთმა უცხოელმა (ყაზახმა) თამაშის დროს ბურთი მოიპარა და ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში მიიტანა, რათა ჩაეშალა თამაში, თუმცა უშედეგოდ. მოთამაშეებს მაინც გაუგრძელებიათ თამაში სხვა ბურთით. პოლიციას თამაშის უფლება არ მიუცია და მათ დასაშლელად "ცეცხლისმქრობელი" გამოუყენებია. ამან განაპირობა დაპირისპირება, რაც გადაიზარდა ხელჩართულ დაპირისპირებაში. არეულობის დროს დაშავებულა პოლიციის უფროსი. სიტუაციის განსამუხტავად საქმეში გუბერნატორის თანაშემწე თ. ერისთავი ჩაერია, რომელმაც საზოგადოებრივი შფოთის აღკვეთის მიზნით მოთამაშეებს ლელოს თამაშის უფლება მისცა (გაზეთი "ივერია" 1890 წ. N75).

ძირძველი ქართული სპორტის სახეობებიდან ლელობურთი და სხვა საშეჯიბრო სპორტული აქტივობები მიზნად ისახავდა ადამიანის ფიზიკურ წვრთნას და გამძლეობას. თავისი შინაარსიდან გამომდინარე იგი ბრძოლის ამსახველ სცენას წარმოადგენს. თამაშის დროს პიროვნებას უყალიბდება გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი და სწორი ტაქტიკის შერჩევის ხერხი. ლელობურთის, როგორც უძველესი სპორტის სახეობის ჩამოყალიბების ზუსტი თარიღის განსაზღვრა ძნელია, თუმცა უდავოა, რომ იგი საკმაოდ ძველია. ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ვიგებთ, რომ ქართველური ტომები ელინთა მსგავსად რამოდენიმე წელიწადში ერთხელ მართავდნ ენ მაშტაბურ საშეჯიბრო ტურნირებს სპორტის რამოდენიმე სახეობაში (ჭიდაობა, მხარდავერდი, ქოფის, ბურთაობა, მჯიღით ბრძოლა და ა. შ.) (გუგუშვილი,2012:175). მსგავს სპორტულ შეჯიბრებებში, როგორც სამხედრო წვრთნებში მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. ადრეული პერიოდიდანვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა სპეციალური იპოდრომები და ცხენთასრბიელი, ასევე მოედნები და მსგავსი სახის სპორტული ადგილები (გუგუშვილი,2012:174).

ლელობურთთან ერთად საქართველოში სხვა მრავალი სპორტული თამაშობები იყო გავრცელებული, რომლებიც თავის მხრივ მიზნად ისახავდა ლელობურთის მსგავსად ისეთი უნარჩვევების გამომუშავებას, რაც უპირველეს ყოვლისა მეომარს ბრძოლის ველზე ჭირდებოდა. ესაა ძალა, სიმარჯვე და გამძლეობა. ისტორიის მსვლელობის დროს საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ეროვნული სპორტის სახეობა ჩამოყალიბდა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სპორტის სახეობა კავშირში იყო ლელობუთთან. დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო ძირძველი ცხენოსნური თამაში სახელწოდებით **„ცხენბურთი" // ჩოგანბურთი** (ყაუჩხიშვილი,თბილისი, 1939:116), **ისინდი, მკერდაობა, თარჩია, „ჭაკუნობა"** და სხვა.

„ჭაკუნი" ძალიან წააგავდა ბალახის ჰოკეის. თამაშის დროს მინდორზე გადიოდა ორი გუნდი, რომლებთაც ხელში სპეციალური ხელჯოხე-

ბი ჰქონდათ, ეს ხელჯოხები ძირითადად მზადდებოდა ბროწეულის, შინდის ან თხილის ტოტებისგან. ამ ჯოხს ჰქონდა მოღუნული ძირი, ხოლო სათამაშოდ იყენებდნენ პატარა ბურთს, რომელიც ზომებით დაახლოებით მუშტისოდენა იყო. ბურთს ამზადებდნენ საქონლის ბეწვის ან მატყლისაგან, რომელსაც გარედან ტყავი ქონდა შემოკრული. საჭირო ფორმისა და გამძლეობისათვის ბურთს ჯერ თბილ წყალში ათავსებდნენ, შემდგომ კი მზეზე დებდნენ (რობაქიძე, თბილისი, 1955: 62) . სათამაშო ადგილი ძირითადად დაბალბალახის საფარიანი ვაკე იყო. მოედნის ბოლოში, სპეციალურ ადგილას მოთამაშეებს ჭაკუნით ლელო უნდა დაედოთ. სათამაშო მოედნის ფართობი დაახლოებით 400 კვ.მეტრი იყო. აცანელები თამაშობდნენ „ქინქლაისოულზე“ ლანჩხუთელები – „ჟორდანიების მინდორზე“ (ჩხატარაიშვილი, თბილისი, 1985: 79-84) თამაში იწყებოდა მოედნის შუაგულში ბურთის აგდებით. თამაშის დრო განსაზღვრული არ იყო. თამაში გრძელდებოდა მოთამაშეების დაღლამდე. იყო შემთხვევა, როცა გუნდის წარმომადგენლებს დადებული ლელოების რაოდენობა დაუთქვამთ. ირკვევა, რომ თამაშში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალებიც. გურიაში არსებობდა ასევე შერეული ჭაკუნობაც, რაც გულისხმობდა იმას, რომ ერთი გუნდი ჩვეულებრივ ხელჯოხებით თამაშობდა, მოწინააღმდეგე გუნდი კი ფეხით. თამაში გურიის გარდა გავრცელებული იყო სვანეთსა და სამეგრელოში.(გაზეთი „ივერია“, N 127)

ზემოდხსენებული ქართული ეროვნული სპორტის სახეობების გარდა, უნდა ავღნიშნოთ აგრეთვე „რაგბი“. იგი სათავეს იღებს ინგლისის ქალაქ რაგბიდან. რაგბს ლელობურთთან შედარებით არ აქვს დიდი ისტორია, თუმცა მან მალევე მოიპოვა პოპულარობა. გავრცელებული შეხედულებით ამ თამაშს საფუძველი ჩაუყარა უილიამ ელისმა, რომელიც იმ პერიოდში 16 წლის ყოფილა. ფეხბურთის თამაშის დროს მან სრულიად მოულოდნელად ბურთი ხელში აიღო და მოწინააღმდეგის კარისკენ გაიქცა. ოფიციალური ვერსიით ქალაქ რაგბის სკოლის მოსწავლეებმა 1845 წლისთვის მოიფიქრეს ახალი თამაში და თავადვე შეადგინეს თამაშის წესები, თუმცა რაგბის მთავარი მსოფლიო თასის სახელი ელისის სახელწოდებით არის ცნობილი. რაგბის პირველი საერთაშორისო თამაში ინგლისსა და შოტლანდიას შორის გაიმართა. 1871 წელს დაარსდა რაგბის კავშირი, სადაც 21 კლუბი გაერთიანდა. მალევე ამ კავშირს შემოუერთდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ასევე გერმანია, არგენტინა, ახალი ზელანდია და სხვა. 1886 წლიდან ყალიბდება რაგბის საერთაშორისო საბჭო, რომელსაც მომდევნო წლების განმავლობაში სხვადასხვა წამყვანი ქვეყნები შემოუერთდა.

რაგბი ეფუძნება გუნდური თამაშის პრინციპს. სათამაშო ბურთი ოვალურია. თითო გუნდში 15 კაცი თამაშობს. მათი მიზანია მოწინააღმდეგის ხაზის გადაკვეთა და ლელოს დადება. ბურთის გადაცემა შესაძლებელია როგორც ხელით, ასევე ფეხითაც. ლელოს დადების შემდგომ გუნდი მოიპოვებს ხუთ ქულას, ამის შემდგომ სრულდება ფეხით დარტყმა (გარდასახვა) H ფორმის კარებში. თუ ბურთი გაივლის კარების შუაში, გუნდი

მოიპოვებს დამატებით ორ ქულას. თამაშის დროს შესაძლებელია ფეხით დარტყმის განხორციელება (არეკნი). თუ დარტყმა წარმატებით განხორციელდება გუნდი მოიპოვებს დამატებით სამ ქულას. სამქულიანი დარტყმის შესაძლებლობა იქმნება მაშინაც, როდესაც რომელიმე გუნდის წარმომადგენელი თამაშის წესებს დაარღვევს. ამ დროს ინიშნება საჯარიმო დარტყმა. თამაში ორი ორმოც წუთიანი ტაიმისგან შედგება. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს. ბურთის წინ გადაცემის ან ძირს დავარდნის შემთხვევაში ინიშნება „შერკინება“.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ლელოს თამაში იხვეწება. იგი ძირითადად ფეხბურთის მოედანზე ტარდებოდა. თამაშის დახვეწილი ვერსია საზოგადოებას წარუდგინა ისაკ კიზირიამ – ხალხური თამაშობების ორგანიზატორმა. ახალი ვერსიის მიხედვით ბურთი ტყავისგან მზადდება. შიგ მოთავსებულია ბალახი ან მატყლი, შესაძლოა ძუაც. მისი წონა 2,5 კგ-ია, გარშემოწერილობა – 70-80 სმ. თითოეული გუნდიდან წარმოდგენილია 13-13 მოთამაშე. მოთამაშეებს უნდა ეცვათ გამძლე ქსოვილისგან შეკერილი უნიფორმები. თამაში ორი – 30-30 წუთიანი ტაიმისაგან შედგება. თამაშის დროს ნებადართულია ბურთის გაგორებაა, ასევე გადაგდება ხელით ან ფეხით. აკრძალულია მოწინააღმდეგის მიმართ ჯანმრთელობისთვის საშიში ილეთის გამოყენება. ლელო გატანილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კი ბურთი მოწინააღმდეგის ლელოს ხაზს გადაკვეთს. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც 60 წუთის განმავლობაში მეტ ლელოს დადებს (ბერიშვილი, თბილისი, 2006: 29-33)

ლელობურთის მცირე სახეცვლილებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ადრე თამაშის გახსნისა და ბურთის აგდების პატივი უხუცეს მოთამაშეებს, ქვემოურისა და ზემოურის წარმომადგენლებს ქონდათ. ახლა კი სოფლის ეკლესიის დეკანოზი მამა საბა ასრულებს ამ მოვალეობას. ბურთის აგდებას თან ახლავს თოფის გასროლა, რაც თამაშის დაწყებას ნიშნავს. რომელიმე მოთამაშის ძირს დაცემის შემთხვევაში ხელის აწევით ანიშნებენ თამაშის დროებით შეჩერებას უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. არ მოხდეს. 2015 წელს გამართული თამაში ტრაგედიით დასრულდა. მოთამაშე გოჩა ფირცხალაიშვილი ბრბოში მოყვა და ჰაერის უკმარისობის გამო გარდაიცვალა.

ლელობურთმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სპორტის სამყაროში. მან დიდი ზეგავლენა იქონია აგრეთვე ხელოვნებაზე (მხატვრობა, ხალხურ სიმღერები, თქმულებები, დოკუმენტური, მხატვრული და ანიმაციურ ფილმები და ა. შ.). ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სიმღერა „ხასანბეგურა“, ლექსი „ორ ზღვას შუა ძველისძველად, საომარი იყო ლელო“, 1949 წელს გადაღებული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა“ (ერთერთ კადრში არის ლელობურთის თამაში)“, „ლელოს შემობრუნება“ და „პირველი მერცხალი“, ანიმაციური ფილმი „წუნა და წუწუნა“ (კინოეკრანზე 1961 წელს გამოჩნდა). დოკუმენტურ ფილმში „ლელოს შემობრუნება“ დაწრილებითაა აღწერილი თამაშის ტრადიციები. ეს ფილმი საზოგადოებისთვის დიდხანს უცნობი იყო, საბჭოთა ცენზურამ „მშრალი კანონოს“

პირობებში დაუშვებლად მიიჩნია ისეთი დოკუმენტური ფილმის გადაღება, სადაც ალკოჰოლური სასმელი იყო ნაჩვენები. ბოლო წლებში ლელობურთთან დაკავშირებით სოფელ შუხუთის ცენტრში დაიდგა მონუმენტი, რომელიც ადგილობრივმა მაცხოვრებელმა (ავტორები: ვიტალი ტოროტაძე და ტრისტან თავდიშვილი). საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთაძის ბრძანებით ლელობურთს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2019 წლის 12 მარტს. (“რადიო თავისუფლება“, 12 მარტი, 2019 წ.)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბატონიშვილი, 1745:** – ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“;
2. **ბერიშვილი, 2006:** – ბერიშვილი ელგუჯა, „სპორტის ენციკლობედია“, თბილისი;
3. **გიორგაძე, 1951:** – გიორგაძე ბეჟან, „დიონიჯო კარლის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბილისი;
4. **გუგუშვილი, 2012:** – გუგუშვილი ბესარიონ, ენციკლობედია „საქართველო“, თბილისი;
5. **მეგრელიძე, 1956:** – მეგრელიძე შამშე, „აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისგან“, ბათუმი;
6. **მეგრელიძე, 1974:** – მეგრელიძე შამშე, „საქართველო აღმოსავლეთის ომებში“, თბილისი;
7. **მეგრელიძე, 1953:** – მეგრელიძე შამშე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“, თბილისი;
8. **რობაქიძე, 1955:** – რობაქიძე ალექსანდრე, „ქართული ხალხური სპორტის შესახებ“, თბილისი;
9. **ყაუჩხიშვილი, 1939:** – ყაუჩხიშვილი სიმონ, „უცხოელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ“, თბილისი;
10. **ჩხატარაიშვილი, 1985:** – ჩხატარაიშვილი ქველი, „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან“, თბილისი;
11. **წულაძე, 2009:** – წულაძე აპოლონ, ეთნოგრაფიული გურია, თბილისი;
12. **გაზეთი „დროება“ 1882:** – დროება, N 72, 174;
13. **გაზეთი „ ივერია“ 1886:** – ივერია, N 125, 129;
14. **გაზეთი „ივერია“ 1879:** – ივერია, N 3;
15. **გაზეთი „ივერია“ 1890:** – ივერია, N 75;
16. **გაზეთი „კვალი“ 1897:** – კვალი N 20;
17. **“რადიო თავისუფლება“ 2019:** – რადიო თავისუფლება 12 მარტი, 2019.

George Dolidze

„Leloball in Guria“

Summary

Leloball as an indigenous intangible cultural heritage was very important in people's consciousness. The term `Lelo~ used to denote a shout of war. The game was threatened with extinction in recent years, in the village of Shukhuti in Lanchkhuti district, the Gurians proudly continue this very important and remarkable tradition to this day. The article discusses important issues in the history and traditions of Leloburt.

თემატური ნუსხები

მიმდინარე წლის განმავლობაში საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურმა (შემდგენელი ც. ცინცაძე) მოამზადა აზერბაიჯანის საარქივო დაწესებულებებიდან 2019 წელს შემოტანილი დოკუმენტების ასლების თემატური ნუსხა, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს:

1814,1891,1905,1909,1919-1921, 1924-1926 წწ. მუდმივად შესანახი საქმეების ა ღ წ ე რ ა №1 . /კოლექცია/

აზერბაიჯანის სახელმწიფო ისტორიული არქივი.

N რიგზე	საქ-მის ინდექ-სი	საქმის დასახელება	კოდური თარიღები	ფურცლი სრაოდე-ნობა	შენიშ-ვნა
1	2	3	4	5	6
		1814 წელი			
1		ელზავეტპოლის კომენდანტის ფონდი. მიმოწერა: ელზავეტპოლის საოლქო ხელმძღვანელობისა და ელზავეტპოლის სასულიერო სამმართველოს შორის -ცნობები პურის ფასების, სხვადასხვა პროდუქტების ვაჭრობასთან დაკავშირებით მასალების წარმოდგენის შესახებ.	1814	113	
2		**1891-წელი** **ბაქოს სახაზინო პალატა** ქუთაისის უეზდის სოფ. ბზანის მცხოვრების სიმონ გლახოს ძე ხელაძის ზაქათაღის საზოგადოებაში ჩარიცხვის შესახებ.	1891	26	
3		**1905 წელი** გაზეთ „კასპი“-ს ფურცლებზე გამოქვეყნებული საგაზეთო ამონაჭრები თავად მიხეილ ალექსანდრეს ძე ნაკაშიძის მკვლელობის შესახებ.	**1905**	8	
4			**1909**	**20**	

5		**1909 წელი** ბაქოს ნოტარიუსის ლევან ქაიხოსროს ძის მამულაიშვილის სააქტო წიგნი საბაღე მიწის გადაცემა ქერბალაი ხუსეინის მიერ ქალაქ ბაქოში აგარაკის ამირ ბახეზე ქერბალაი მემედის ძეზე გადაცემის შესახებ.	**1919**	**13**	
6 7		**1919 წელი** 1, სხდომის ოქმი-ყარსის ოლქიდან ლტოლვილ მუსულმანთა შესახებ . 2. მიმოწერა : საქართველოში აზერბაიჯანის დიპლომატიურ მისიასთან, საქართველოს საგარეო სამინისტროსთან, აზერბაიჯანის საზოგადო პოლიტიკური მოღვაწის მკვლელობის , დეპეშის გაგზავნის, ბათუმში თხილის ვაგონებით გაგზავნის, დიპლმატიური წარმომადგენლობისთვის მოქალაქეობისაგან სახლის განთავისუფლების შესახებ.			
8		მიმოწერა: (წერილები,სიები) საქართველოს რესპუბლიკაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და საქართველოს საგარეო სამინისტროს შორის აზერბაიჯანის ქვეშემდგომ მოქალაქეთა გასახლების შესახებ.	**1919-1920**	**14**	
9		საქართველოსა და სომხეთს შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტი ტვირთების გადატანასთან დაკავშირებით, სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტილებისა და ბათუმის პორტის შესახებ.			
10		**1920 წელი** დადგენილება – შეთანხმებები. კონფერენციის დადგენილება აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას შორის საზღვრის დარეგურილების შესახებ.	**1919-1920**	**7**	

11 12		შეთანხმებები: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკას და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბ-ლიკას-საქართველო, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ეკონომიურ-ფი-ნანსური, ფოსტის, ტელეგრაფის,სა-ტელეფონო რადიოტელეგრაფის კავშირების, მმართველობის გაერ-თიანების, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების და სავაჭ-რო-სასურსათო პოლიტიკის გატა-რების და სავაჭრო-სასურსათო პო-ლიტიკის გაერთიანების შესახებ. აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში დიპლომატიური მისიის მომსახურე-თა სია. მიმოწერა: საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგა-რეო სამინისტროებს შორის სასაზ-ღვრო რაიონში ინციდენტების, სასომხეთის სამხედროების ძალა-დობის, აზერბაიჯანსა და სომხებს შორის მშვიდობიანი ხელშეკრულე-ბის ხელის მოწერის შესახებ. **1921 წელი** ამონაწერი კავკასიის ცემტრალუ-რი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის სხდომების ოქმიდან საქართველოს შიდა საზღვრების გამიჯვნის საკითხებზე. საქმეშია: მასალები საქართველო-აზერბაი-ჯანს შორის სასაზღვრო დავებზე, საქმე ეხება საქართველო -აზერ-ბაიჯანს შორის საზღვრების გა-მიჯვნის და საინგილოს გადაცემის საკითხებზე. **1924-1926 წელი** ოქმები (თანდართული მასალებით) სიღნაღისა და ზაქათალას ოლ-ქებს შორის სადავო მიწების შე-სახებ. **1925 წელი** ამონაწერი ამიერკავკასიის ცენტრა-	1920 1924-1925	**6**	

		ლური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომათა ოქმიდან (თანდართული მოხსენებითი ბარათით) საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს შორის სასაზღვრო დავების შესახებ. (საქმეშია მონაცემები ყაჩაღობის, მკვლელობის და საქონლის გატაცების შესახებ. მიმოწერა ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და აზერბაიჯანი-საქართველო-სომხეთისა და დაღესტანის რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის შესახებ.			

რეცენზია

თამაზ ფუტკარაძე
გუგული პატარიძე

შოთა ჯიბლაძის ნაშრომზე
„გოგიეთი“

გამომცემლობა „ივერიონმა“ დასტამბა ცნობილი ქართველი პედაგოგის, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის **შოთა ჯიბლაძის** მეტად საყურადღებო მონოგრაფია **„გოგიეთი“** (რედაქტორი, მწერალი მიხეილ დავითაძე). ნაშრომი ეძღვნება სოფლის წინაპრების ხსოვნას.





შოთა ჯიბლაძე

დაიბადა 1935 წლის 10 ივლისს შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეებში. სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ტბეთის რვაწლიანი სკოლა, ხულოს პედაგოგიური სასწავლებელი. 1957-1962 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დღის დასწრებულ განყოფილებაზე.

1962 წლიდან მუშაობს გოგაძეების ჯერ რვაწლიანი, შემდეგ კი საშუალო სკოლის მშობლიური ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. 1980-2005 წლებში იყო ამ სკოლის დირექტორი.

უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, შრომის ვეტერანი, საპატიო მარეთელი, დაჯილდოვებულია ათეულობით სამკერდე ნიშნით, საპატიო სიგელით.

საქართველოს დამსახურებული პროპოგანდისტი. ამჟამად მუშაობს გოგაძიების საჯარო სკოლაში. ჰყავს ორი ვაჟიშვილი: რეზო და რამაზი, ოთხი შვილიშვილი: პაატა, ირაკლი, გიორგი, შოთა და ორი შვილთაშვილის შვილი: ილია და ქეთი.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ შესაშური მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულებული საოცრად დიდი მოცულობის სამუშაო (459 გვერდი) საქმისადმი პროფესიონალური მიდგომის კლასიკური მაგალითია. მეცნიერული პასუხისმგებლობა, არგუმენტირებული მსჯელობა და ლოგიკური დასკვნები წინამდებარე მონოგრაფიას გამოარჩევს ანალოგიურ თემატიკაზე გამოქვეყნებულ არაერთ ნაშრომისაგან. მონოგრაფია გამოირჩევა გადამოწმებული წყაროების სიუხვით. მასში ოსტატურადაა შეხამებული სამეცნიერო მონაცემები და ზეპირი ისტორიები. ნაშრომში იგრძნობა მშობლიური სოფლისადმი ავტორის ემოციური დამოკიდებულება.

სანამ მონოგრაფიის შესახებ გავაგრძელებდეთ საუბარს, რამდენიმე სიტყვით უნდა გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ავტორისადმი, საქვეყნოდ აღიარებული ღვაწლმოსილი პადაგოგისადმი.

წიგნის ავტორთან ჩემი პირველი შეხვედრა მოსწავლეობის წლებს უკავშირდება. 1977 წელს, როგორც აქტიური მოსწავლე ამირჩიეს კომკავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატად. დამევალა სიტყვით გამოსვლაც. პრეზიდიუმში შოთა ჯიბლაძის გვერდით მომიწია დაჯდომა, რომელსაც მაშინ არ ვიცნობდი (თუმცა იყო მეორე შოთა ჯიბლაძეც, რომელიც მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას 1976-1977 წლებში). აშკარად მოეწონა ჩემი გამოსვლა კონფერენციაზე და ღონისძიების დასრულების შემდეგ ჩემთან გასაუბრება მოიწადინა. ეს იყო და ეს.

სკოლის დამთავრების შემდეგ გამოცდებს ვაბარებდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მესამე გამოცდა გვქონდა ისტორიაში. გამოცდები ტარდებოდა ზღვისპირა კორპუსის მესამე სართულის რამოდენიმე აუდიტორიაში. მე მკაცრი ლექტორის იმიჯით ცნობილ პროფესორ პარმენ ცქვიტარიას ჯგუფში მოვხვდი. მისი სახელის უბრალოდ ხსენებაც კი აბიტურიენტებს შიშის ზარს გვრიდა. ცხადია, ანალოგიური განწყობა დამეუფლა მეც, მაგრამ მოულოდნელად საგამოცდო აუდიტორიაში შემოვიდა შოთა ჯიბლაძე და შიშის განცდა უმალ მომეხსნა. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ მიცნობდა. ჩვენ ხომ მხოლოდ ერთხელ ვიყავით შეხვედრილი ერთნახევარი-ორი წლის წინ. არაერთხელ გავაპარე თვალი მისკენ, მაგრამ შოთა მასწავლებელს არაფერი უგრძნობინებია ჩემთვის. ალბათ ვერ მიცნო მეთქი, გავიფიქრე. ამასობაში ჩემი გამოძახების დროც მოვიდა. უნდა ითქვას, რომ ჩემამდე დადებითი ნიშანი თითქმის არ დაწერილა. როგორც კი ავიღე საგამოცდო ბილეთი, თვალი გავაპარე შოთა მასწავლებლისაკენ და დავიჭირე მისი თანაგრძნობით სავსე თვალები. სხვებისგან შეუმჩნევლად მანიშნა – ვიცოდი თუ არა საკითხები. იმედი მომეცა, თუმცა საკითხები ვიცოდი. ჩემი პასუხით კმაყოფილმა პროფესორმა მკითხა, თუ ვინ იყო ჩემი მასწავლებელი. შოთა ჯიბლაძე მეთქი – ვუპასუხე. პ. ცქვიტარია გაოცდა. შ. ჯიბლაძე ხომ მის გვერდით იყო. „მეორე შოთა, თქვენი საყვარელი სტუდენტი რომ იყო, ის ასწავლიდაო“, აუხსნა ბატონმა შოთამ. კარგად მახსოვს მათ შორის გამართული დიალოგი. რა ნიშანს დაუწერდიო, ჰკითხა შოთა მასწავლებელს პროფესორმა. ფრიადსო, უპასუხა შოთა მასწავლებელმა და ნიშნის გასაფორმებლად კომისიის თავმჯდომარესთან, აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილთან გადამისამართეს. ხელმეორედ გამომცადეს და დამიწერეს უმაღლესი შეფასება. მაინც ვერ მოვხვდი იმ წელს უმაღლეს სასწავლებელში (ჩვენს სკოლაში არ ისწავლებოდა უცხო ენა, რამაც ქულების საბოლოო რაოდენობაზე მოახდინა გავლენა).

მომდევნო წელს გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. რაოდენ სასიხარულო იყო ჩემს მიერ ჯარიდან გაგზავნილ ბარათზე შოთა მასწავლებლის საპასუხო წერილი. იგი ზეპირად ვისწავლე და დღემდე ვი-

ნახავ, როგორც უძვირფასეს რელიქვიას. მინდა წერილის შინაარსი მკითხველსაც გავუზიარო:





შემდეგი შეხვედრა შოთა მასწავლებელთან 1988 წლის შემოდგომა იყო. შუახევის რაიონის განათლების განყოფილების მაშინდელ გამგესთან რეზო ქათამაძესთან შეხვედრისას ბატონმა შოთამ აღმატებული დახასიათება მომცა.

შოთა მასწავლებელს ჩემთვის კლასში არცერთი გაკვეთილი არ ჩაუტარებია, მაგრამ მისმა ადამიანურობამ ჩემზე უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა. მან მე ცხოვრების სკოლა მასწავლა, უანგარობა და პატიოსნება მასწავლა, პასუხისმგებლობა და საქმის სიყვარული მასწავლა. ეხლა, 30-ზე მეტი წლის შემდეგ მადლობა მინდა გადავუხადო სათაყვანებელ ადამიანსა

და გამორჩეულ პედაგოგს. ბედნიერი ვარ, რომ ბედმა ღირსეული მამის ღირსეულ შვილებთან – რამაზთან და რეზოსთან მეგობრობა მარგუნა.

აი ასეთი პიროვნებაა შოთა ჯიბლაძე. ასეთივე შესანიშნავი ნაშრომი აჩუქა საზოგადოებასა და მშობლიურ სოფელს. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის შესანიშნავი გამოცემა, რომელსაც წითელ ზოლივით გასდევს პროფესიული ერთგულება, მეცნიერული კეთილსინდისიერება და პირუთვნელობა. შემთხვევითი არ არის, რომ წიგნის ავტორს მიენიჭა **საპატიო მარეთელის** მაღალი წოდება. წიგნი ხომ მისი ხეობის სიყვარულითაა დაწერილი.

459 გვერდიანი მონოგრაფია შედგება შესავლის, შვიდი თავისა და 59 პარაგრაფისაგან. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს სოფლის ცხოვრების ამსახველი ფოტოდოკუმენტები, სოფლის ხედები, სკოლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ფოტოები.

პირველ თავში „გოგაძეები და გოგაძეებლები“ ავტორი მიმოიხილავს სოფლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს, კლიმატურ პირობებს, ფლორასა და ფაუნას, სამკურნალო მცენარეებსა და მინერალურ წყლებს, ხალხურ სამზარეულოს, მეურნეობის დარგებსა და სხვა საკითხებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტოპონიმიკის შესახებ ავტორისეული მსჯელობა. სავსებით მართებულად ავტორი სოფელს გოგიეთის სახელწოდებით მოიხსენიებს. მსვავსი წარმოების სოფლების სახელწოდება მრავლადაა მთიან აჭარაში: დაჩიეთი, ქიზინეთი, კვიახეთი, ტომაშეთი, ჯაბნიეთი და ა. შ. გოგაძეების თავდაპირველი სახელწოდებაც გოგიეთი იყო, რაც აისახა კიდეც წინამდებარე ნაშრომში.

ტოპონიმიკის პარალელურად ნაშრომში საინტერესოდაა განხილული სოფლის დასახლებისა და გვარობრივი სტრუქტურის საკითხები. ამავე თავში წარმოდგენილია 1887 წლის შემდგომ სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები. 1887 წლის მონაცემებით გოგიეთში 11 ოჯახი (39 სული) ცხოვრობდა. დაახლოებით 100 წლის შემდეგ, 1981 წელს სოფლის მოსახლეობა 109 კომლამდე (580 სული) გაიზარდა, 2011 წლისათვის კი მათი რაოდენობა 46 კომლამდე (182 სული) შემცირდა. ნაშრომში შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს ავტორის გულისტკივილი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების და სოფლის შესაძლო დაცარიელების პერსპექტივის გამო. ამავე თავში ავტორს წარმოდგენილი აქვს თითოეული კომლის სახელობითი სია ოჯახის წევრთა რაოდენობისა და სქესობრივი სტრუქტურის ჩვენებით, ასევე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები.

ფართო ინფორმაციის შემცველია მონოგრაფიის მომდევნო თავი, რომელიც სოფლის მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს ეხება. ამავე კონტექსტში ავტორი განიხილავს სოფლის გვარობრივ შემადგენლობასა და იძლევა თითოეული გვარის გენეტიკურ დახასიათებას.

მკითხველის ინტერესს იწვევს ავადსახსენებელი 1930-იანი წლების ავტორისეული გახსენება. ავტორი სინანულს გამოთქვამს ავკაცობის, შეღლისა და დასმენების იმდროინდელი პრაქტიკის გამო, რომელმაც ათეულო-

ბით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ნაშრომში მოცემულია რეპრესირებულთა, მოგვიანებით კი გადასახლებულთა სახელობითი სიები. მონოგრაფიას მნიშვნელობას მატებს მსოფლიო პროცესებში თანასოფლელთა მონაწილეობის ამსახველი მასალები. ცალკე პარაგრაფები ეძღვნება ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომში, მეორე მსოფლიო ომში, ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის მოვლენებში, ერაყისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიებში, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილე გოგაძეებელთა შესახებ ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხალხის ტრავმული მეხსიერებიდან არ წაიშალოს იმ ეპოქისა და პოლიტიკური სისტემის საშინელებანი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პრაქტიკულად ავტორს სააშკარაოზე გამოაქვს უღირსი, არაკომპეტენტური, მიზანთროპებით დაკომპლექტებული იმჟამინდელი სახელმწიფო სტრუქტურების თუ ადგილობრივი დამსმენების საქმიანობის ჩრდილოვანი მხარეები, რომელთა კისერზეა მასობრივი რეპრესიები და გადასახლებები. წიგნში ცოცხლდება რეპრესირებულთა ოჯახების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათი დარდი, ტკივილი, მწუხარება. ავტორი თანმიმდევრულად ფურცლავს ტრაგიკული ისტორიის ფურცლებს და გვმოძღვრავს უკეთილშობილესი იდეით – ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე, პატივი მივაგოთ წარსულს, უანგაროდ გვიყვარდეს ქვეყანა, დავაფასოთ წინაპართა ღვაწლი, არ გავიმეოროთ დაშვებული შეცდომები. ნაშრომი მკითხველს კიდევ ერთხელ დააფიქრებს და დაეხმარება მიუკერძოებელი დასკვნების გამოტანაში. ამ თვალსაზრისით მონოგრაფია შეიტანს თავის წვლილს მომავალი თაობის სულიერი ამაღლებისა და ზნეობრივი გაკეთილშობილების საქმეში.

მონოგრაფიის ავტორს სურს თითოეულ თანასოფლელს მოეფეროს, პატივი მიაგოს მათ საქმიანობას. ცალკეული სფეროების მიხედვით მკითხველი გაეცნობა კულტურის დარგის მუშაკებს, ბიბლიოთეკარებს, სამედიცინო ობიექტის თანამშრომლებს, სახალხო მკურნალებს, ბებიაქალებს, მძღოლებს, კოლმეურნეებს, ხის მასალის მხერხავებს, ე.წ. „ხიზარჯებს“, ოქრომჭედლებს, მძერწავებს, მხატვრებს. აქვე წარმოდგენილია გოგაძეებიდან აჭარის ზღვისპირა ბარისა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე დედაქალაქში განსახლებული თანასოფლელების სახელობითი სიები.

ცალკე თავის სახითაა წარმოდგენილი გოგიეთის სკოლის ისტორია. ავტორს ეამაყება, რომ მისი აღზრდილები არიან საქვეყნოდ ცნობილი გოგაძეებლები, სოფლის ღირსეული დესპანები, მწერლები, სახელმწიფო მოღვაწეები. ავტორი სკოლის ისტორიის კონტექსტში მკითხველ საზოგადოებას წარუდგენს თითოეული მათგანის საქმიანობის სფეროსა და დახასიათებას.

ნაშრომში უამრავ სხვა საკითხებზეცაა გამახვილებული ყურადღება. მათ შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ფაქტი ერთია: ავტორის შეხედულებები, მოქალაქეობრივი პოზიცია უდაოდ იმსახურებს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას, მისი მოსაზრებები კი გათვალისწინებას.

სოფლის ისტორიისა და ცხოვრების შესახებ მსჯელობისას ავტორი მკითხველის წინაშე წარსდგება, როგორც პირუთვნელი და ობიექტური მემატიანე, ხვალინდელ დღეზე ღრმად ჩაფიქრებული ადამიანი.

წინამდებარე რეცენზიაში შეუძლებელია წარმოვადგინოთ მონოგრაფიის დეტალური ანალიზი. ეს არც იყო ჩვენი ამოცანა. მთავარი ისაა, რომ მონოგრაფიის გამოცემით გაკეთდა უზარმაზარი საქმე. გამოიცა კიდევ ერთი სოფლის ისტორია. სოფლის ისტორიის შესწავლის გარეშე კი შეუძლებელია ქვეყნის ისტორიის შესწავლა. ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი მოითხოვდა სოფლების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების კვლევას. ორიოდე წლის წინ საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა სოფლების ისტორიის შესწავლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. წინამდებარე მონოგრაფიის გამოცემა ამ თვალსაზრისითაც არის წინგადადგმული ნაბიჯი.

მაღალკვალიფიციური პედაგოგის ავტორობით გამოსული ნაშრომი „გოგიეთი“ უაღრესად საჭირო, მოცულობითი და ინფორმაციული ხასიათის მონოგრაფიაა, რითაც კიდევ ერთხელ გაცოცხლდა წარსულის ტკივილი, სევდა, დარდი და ვარამი. ავტორი სამართლიანი საზოგადოების, სამოქალაქო ცნობიერების ფორმირების აუცილებლობას ადგილის დედის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებს უკავშირებს, რომლის გარეშე ჩვენს ქვეყანას მომავალი არ უწერია.

გახსენება

თამაზ ფუტკარაძე

რამაზ სურმანიძე

დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა საზოგადოებამ. გარდაიცვალა გამორჩეული ბათუმელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მედიკოსი, პუბლიცისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა და სამედიცინო ეკოლოგიის აკადემიების, ასევე ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი **რამაზ (ბერობაში ანდრია) სურმანიძე.**

რამაზ სურმანიძის მიერ განვლილი გზა, რვა ათეული წელიწადი დახუნძულია საზოგადოებრივი აქტიურობით, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით, შემოქმედებითი სიუხვით. მისი მხატვრული მემკვიდრეობა შეიყვარა მკითხველმა, მეცნიერული ნაღვაწი კი სამეცნიერო საზოგადოებამ. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული რამაზ სურმანიძე ერთდროულად იყო ნაყოფიერი მკვლევარი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, მწერალი, პუბლიცისტი. ამბობდა კიდეც: „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, მწერლობა კი საყვარელიო“.

რამაზ (ანდრია) სურმანიძე დაიბადა 1933 წლის 10 მაისს, შუახევის (იმჟამინდელი ხულოს) რაიონის სოფელ ჭალაში. ჯერ კიდევ ბავშვობის დროიდან ჩაება შრომით საქმიანობაში. 11 წლის ბავშვი სოფლის ფოსტალიონად იწყებს მუშაობას. ამ პოზიციაზე მან სამი წელი იმუშავა – 1947 წლამდე. უმაღლესი განათლება მიიღო დედაქალაქში, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაასრულა 1956 წელს, პედიატრიის სპეციალობით. სწავლის პარალელურად, 1950-1956 წლებში მუშაობდა თბილისის N1 კლინიკური საავადმყოფოს სანიტრად, მოგვიანებით კი (1956-1957 წლები) მეზობელი სოფლის – ბარათაულის ამბულატორიის გამგეა. 1957 წელს იგი დაინიშნა რაიონის მთავარი ექიმის თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ბათუმის N1 საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილის, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის (1963-1974), პროფკავშირის კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, თავმჯდომარის (1975-1977), აჭარის არ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის (1977-1985), სანიტარული განათლების საოლქო სახლის ექიმის პოზიციებზე. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წ. 9 აპრილი). 2008-2012 წლებში იგი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1983 წელა რ. სურმანიძე აირჩიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრად. 1987 წლიდან იგი მწერალთა კავშირის წევრიცაა.

რ. სურმანიძეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, შემდგომში უნივერსიტეტთან. 1969 წლიდან, მთელი ათი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს ასაკობრივ ფიზიოლოგიასა და სასკოლო ჰიგიენაში, მოგვიანებით კი – მედიცინის ისტორიაში. ხელმძღვანელობდა მედიცინის დების მოსამზადებელ კურსებს.

1991 წელს რ. სურმანიძემ დაარსა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში.

რ. სურმანიძე მჭიდროდ თანამშრომლობდა აჭარის საარქივო სამმართველოსთან. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი („ივანე ანდრონიკაშვილი", „ლუკა ასათიანი" და სხვ.) ხომ საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცულ დოკუმენტებს ეფუძნება. იგი ხშირად სტუმრობდა არქივის. ხუმრობდა კიდეც: „არქივის შტატგარეშე თანამშრომელი ვარო".

ასეც იყო. იგი საარქივო სამმართველოში ჩატარებული თითქმის ყველა ღონისძიებისა და სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი იყო. საარქივო სამმართველოს ჟურნალ „არხეიონში" პროფ. რამაზ სურმანიძის ათზე მეტი სტატიაა დაბაჭდილი. სწორედ ამიტომ, მისსავე სიცოცხლეში შეიქმნა რამაზ სურმანიძის პირადი ფონდი, რომელშიც წარმოდგენილია ფონდშემქმნელის ნაყოფიერი და შინაარსიანი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები.

რამაზ სურმანიძემ არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტითა და ხელნაწერით გაამდიდრა საარქივო სამმართველოს ფონდები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „აჭარული კარაბადინის“ ფემბასეული ნუსხა.

პროფესორი რამაზ სურმანიძე ათეულობით მონოგრაფიისა და ასეულობით სამეცნიერო სტატიის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის მხატვრული ნაწარმოებები – მოთხრობები, რომანები, ისტორიულ-განიალოგიური ხასიათის ნაშრომები, პუბლიცისტური წერილები, თარგმანები. მათგან დავასახელებთ რამდენიმეს: „ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივ-სქესობრივი საფუძვლები“ (დამხმარე სახელმძღვანელო), „ივანე ანდრონიკაშვილი“, „ლუკა ასათიანი“, „ავალიანები“, სურმანიძეები“, „ლაზეთის ლეგენდა“, „მფარველი ანგელოზები“, „მურღულის ქვა“, „მცირე კარაბადინის“ აჭარული ვარიანტი (ორ ნაწილად) და მრავალი სხვა. მასვე ეკუთვნის დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის და სხვათა ნაშრომების („არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ და „სამი თვე თურქეთის საქართველოში“) ქართული თარგმანი, რომლებიც გამოსცა კიდეც წიგნების სახით.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „1937 წლის ტრაგედია ბათუმში“, რომელშიც თავმოყრილია ცნობები და მოძიებულია ფოტომასალა 640 რეპრესირებულ ადამიანზე.

რამაზ სურმანიძე გამორჩეული იყო საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისითაც. იგი იყო აჭარის ჩოხოსან რაინდთა ორგანიზაციის დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე. არ ყოფილა ბათუმის თუ რეგიონის ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკიხი, პრობლემა, ღონისძიება, რომელშიც რ. სურმანიძეს არ მიეღოს მონაწილეობა, არ ეთქვას თავისი წონადი სიტყვა.

1994 წელს რამაზ სურმანიძე სათავეში ჩაუდგა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციას. ამ პოზიციაზე იგი 2004 წლამდე მუშაობდა. ამ მიმართულებითაც ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა. რ. სურმანიძემ უცხოეთში მცხოვრებ უამრავ ჩვენს თანამემამულესთან პირადი ურთიერთობით ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებასაც. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ურთიერთობა თურქეთელ ქართველების თვალსაჩინო წარმომადგენელთან, ახმედ მელაშვილის გზის გამგრძელებელთან მუსტაფა იაკუთთან (გურამ ხიმშიაშვილთან).

ამ დიდებული ქართველის მოღვაწეობას რ. სურმანიძემ შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა.

რამაზ სურმანიძე იყო საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, ზაქარია ჭიჭინაძისა და ტბელ აბუსერისძის პრემიების ლაურეატი, საპატიო ბათუმელი. ბოლო წლებში აშკარად შეეტყო სევდიანი გამომეტყველება. მაინც შეინარჩუნა საზოგადოებრივი აქტიურობა. მისი ინიციატივით 2020 წლის აპრილში (პანდემიის პირობებში) ბათუმის საზოგადოებრიობამ დიდებული შეხვედრა მოუწყო გამორჩეულ ჩვენებურს „ჩვენ გურამს“ რეგიონის მთავარ ქალაქში.

სამწუხაროდ ეს მისი ბოლო ღონისძიება აღმოჩნდა. სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი რამაზ სურმანიძე ბერად აღიკვეცა და ბერმონაზონი ანდრია ეწოდა.

2020 წლის 9 ოქტომბერს რ. სურმანიძე გარდაიცვალა. მადლიერმა საზოგადოებამ ქალაქის ცენტრში, ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში, დიდი ადამიანების – ბ. დიასამიძის, ფრ. ხალვაშის, ზ. გორგილაძის გვარდით მიუჩინა სამუდამო ადგილი.

ინგა ფაცურეიშვილი

ლამაზი ცხოვრება
(სერგო ტაბაღუა)

არიან ადამიანები, რომელთაც მკაცრი ქარტეხილები გაუვლიათ, ბევრი მღელვარე ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მოვლენის მომსწრენი ყოფილან, მაგრამ ადამიანური ღირსება არასოდეს შეუბღალავთ. და თავდაუზოგავი შრომის, უანგარო თავდადებისა და პატიოსნების მაგალითად დარჩენილან თაობებისათვის.

ერთი ასეთი ადამიანი იყო სერგო ტაბაღუა. მუდამ მოფუსფუსე, დინჯი, სანდომიანი გამომეტყველებით, მამა-შვილურად მზურნველი და თბილი. ასეთად დარჩება იგი ჩემს მეხსიერებაში.

96 წლის ასაკში გამოემშვიდობა წუთისოფელსომისა და შრომის ვეტერან, ბერლინის ოპერაციის მონაწილე, აჭარის არქივისტთა უფროსი თაობის უკანასკნელი წარმომადგენელი.

მძიმე ცხოვრება გამოიარა. 17 წლის ძმასთან ერთად სამამულო ომში გაიწვიეს. 5 წელი იბრძოდა კავკასიაში – ტუაფსეს მისადგომებთან, ქერჩში, სევასტოპოლში, ყირიმში, სიმფეროპოლში, ვიტებსკში, ვარშავაში, პოზნანში და ბოლოს ბერლინში. ომიდან ვალმოხდილი დაბრუნდა, თუმცა ძმის გარეშე, რომელიც ფრონტზე დაიღუპა. ეს იყო პირველი ტრაგედია მის ცხოვრებაში, წლების შემდეგ კიდევ არაერთი უბედურება დაემატა. ორი ვაჟკაცი თავისი ხელით მიაბარა მიწას. თავისი ტკივილით ამ დიდბუნოვან კაცს არავინ შეუწუხებია. უდიდესი სულიერი ტკივილის მატარებელი ბოლომდე გაუტეხელ და ღირსეულ პიროვნებად დარჩა.

პროფესიით ისტორიკოსი, საარქივო საქმის საუკეთესო მცოდნე გახლდათ. თითქმის 60 წელი იმუშავა საარქივო სისტემაში, აქედან ორ ათეულ წელზე მეტი აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელად. ჩემი არქივში მოსვლაც მის დირექტორობას უკავშირდება. არ დამავიწყდება მისი თბილი დახვედრა, მამა-შვილური დამოკიდებულება ჩემს და ზოგადად ახალგაზრდების მიმართ. ყოველთვის იყო კაცობის, შრომისმოყვარეობის და პატიოსნების მაგალითი.

საარქივო საქმეზე შეყვარებულს, ვერასოდეს ნახავდით მოცლილს, სულ დოკუმენტებში იყო ჩაფლული. თუმცა ღიმილით ხვდებოდა მასთან საქმეზე მოსულ ყველა ადამიანს, ყურადღებას არავის აკლებდა.

ბატონ სერგო ტაბაღუას დიდი წვლილი აქვს შეტანილი საარქივო საქმის განვითარებაში, დოკუმენტების მოზიდვასა და მოვლა-პატრონობაში. თავად ვარ მომსწრე, როგორ ზრუნავდა სხვადასხვა ორგანიზაციებში მოუვლელი და სარდაფში უდიერად მიყრილი დოკუმენტების გადარჩენისათვის, არქივში შემოტანისა და სამეცნიერო-ლაბორატორიული დამუშავებისათვის. მისი დამსახურებით ბევრი საინტერესო მასალა გადაურჩა განადგურებას.

ბატონი სერგო გახლდათ ისტორიის დოქტორი. 1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით იგი შეყვანილი იქნა საქართველოს შრომითი კოლექტივების ისტორიის პრობლემების კვლევის სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს წევრად. 1991 წლის 5 აპრილს კი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ „ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელ ასოციაციაში“ ინდივიდუალურ წევრად.

ბატონ სერგო ტაბაღუას გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 5 მონოგრაფია, ათობით საგაზეთო სტატია და პუბლიკაცია. იგი თანაავტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მეოთხე ტომისა და მონოგრაფიისა – „აჭარა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში“.

სერგო ტაბაღუა სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა საქარ-

თველოს ისტორიას, მსოფლიო და ეროვნული კულტურის ისტორიას, სტუდენტებს უზიარებდა გამოცდილებას წყაროთმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობის და არქივმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

სათანადოდ დაფასდა მისი ღვაწლი საბრძოლო თუ შრომით საქმიანობაში. იგი დაჯილდოვებული იყო „სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით. 10-ზე მეტი საბრძოლო მედლით, მათ შორის საბრძოლო მედლით „ბერლინის აღებისათვის“. ამ ჯილდოებით იგი განსაკუთრებით ამაყობდა. ისინი მისი ოჯახის რელიქვიად იქცა. მას ჰქონდა მიღებული აგრეთვე მრავალი მადლობა და საპატიო სიგელი, მინიჭებული ჰქონდა აჭარის და საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობა. ძალიან შრომისმოყვარე იყო. სხვანაირად არც შეეძლო. მწუხარებასთან ერთად ყოველთვის მაინც ახარებდა გამარჯვების დღის მოახლოვება, ეამაყებოდა მისი საბრძოლო გზა, უხაროდა მცირედი დაფასებაც. სამწუხაროდ წლევანდელ 9 მაისს ვეღარ მოესწრო.

წავიდა ამ ქვეყნიდან ვალდმოხდილი, ღირსეული ქართველი.

ბატონო სერგო, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. თქვენს სიცოცხლეს თქვენს მიერ გაკეთებული საქმეები და თქვენი პუბლიკაციები გაგრძელებენ.

საარქივო დოკუმენტური მასალები

ვაგრძელებთ აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული დოკუმენტების პუბლიკაციას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ფონდ რ-178-ის № 29 საქმეთა ერთეულში დაცული მასალების ერთ ნაწილს, რომელშიც ასახულია დარჩიძეების, ტომაშეთის, შუბნის, კაპრეშუმის, ზენდიდის 1923 წლის მონაცემები: კომლობრივი შემადგენლობის სახელობითი სიები – ოჯახის უფროსის, ოჯახების სქესობრივი სტრუქტურის, ნათესი ფართობების, საქონლის (მსხვილფეხა, წვრილფეხა, ცხენების) რაოდენობის მითითებით.

„სოფ. დარჩიძე, სხალთის თემი ხულოს მაზრა“

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბაღი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
								მათ შორის			
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	ცხენი	ხა რქია-ნი საქო-ცხვარი და თხა		დანარჩე-ნი
	აღმწერი შ. ლორ-თქიფანიძე										
1	სურმანიძე შაქირი	3	2	5	39	-	7	-	7	-	-
2	სურმანიძე ამაზა	3	1	4	31	-	9	-	7	2	-
3	ცეცხლაძე სადიბ	3	2	5	37	-	9	-	9	-	-
4	ბერიძე ნურალ	5	4	9	68	-	16	1	15	-	-
5	ბერიძე თევფურ	2	4	6	45	-	6	-	6	-	-
6	ბერიძე იუნუს	3	2	5	31	-	7	-	7	-	-
7	ბერიძე რეჯებ	2	3	5	25	-	8	-	8	-	-
8	ბერიძე მურთაზ	4	2	6	25	-	6	-	6	-	-
9	ხმალაძე მემედალი	3	3	6	26	-	8	1	7	-	-
10	ბერიძე დურსუნ	5	3	8	46	-	10	-	10	-	-
11	ხმალაძე ფერალ	3	4	7	41	-	8	-	8	-	-
12	ხმალაძე იბო	3	1	4	33	-	5	-	5	-	-
13	ბერიძე ემინ	2	3	5	38	-	4	-	4	-	-
14	ბერიძე იუსუფ	6	3	9	17	-	11	1	6	4	-
15	ცეცხლაძე ემინ	3	2	5	13	-	4	1	3	-	-
16	ცეცხლაძე თევფიყ	3	3	6	14	-	5	-	5	-	-
17	ცეცხლაძე ახმედი	2	1	3	18	-	5	-	5	-	-
18	ბერიძე ხუსეინ	1	4	5	23	-	6	-	6	-	-
19	დარჩიძე ხასან	2	4	6	18	-	4	-	4	-	-
20	დარჩიძე ფაიყ	1	3	4	12	-	3	-	3	-	-
21	სურმანიძე ზექირ	3	2	5	30	-	5	-	5	-	-
22	ჯაფარიძე იუსუფ	3	1	4	9	-	3	-	3	-	-

23	დარჩიძე ბექირი	1	3	4	27	-	8	-	6	2	-
24	ცეცხლაძე ვასყვიფ	4	3	7	36	-	10	-	10	-	-
25	ცეცხლაძე ეზიზი	2	2	4	36	-	9	1	6	2	-
26	ცეცხლაძე მევლუდ	2	2	4	16	-	8	-	8	-	-
27	სურმანიძე იუნუს	4	2	6	19	-	6	-	6	-	-
28	ფუტკარაძე მუსტაფა	2	1	3	21	-	7	-	7	-	-
29	ფუტკარაძე ბექირი	3	3	6	34	-	9	-	4	-	-
30	ფუტკარაძე ახმედი	1	1	2	33	-	5	-	5	-	-
31	ფუტკარაძე ხუსეინ	5	8	13	24	-	10	1	9	-	-
32	ცეცხლაძე ფერად	4	3	7	28	-	10	-	10	-	-
33	ცეცხლაძე ხუსეინ	3	2	5	24	-	8	-	8	-	-
34	ცეცხლაძე მემედი	2	3	5	25	-	10	-	10	-	-
35	ცეცხლაძე თურანი	3	1	4	15	-	3	1	2	-	-
36	ბოლქვაძე იაკუბ	4	3	7	40	-	10	-	10	-	-
37	დარჩიძე ხუსეინ	4	4	8	25	-	7	1	5	1	-
38	ჯაფარიძე ეუბ	5	4	9	30	-	7	1	3	3	-
39	ჯაფარიძე ახმედი	5	2	7	15	-	6	1	5	-	-
40	ხმალაძე ყადირ	4	2	6	40	-	5	-	5	-	-
41	ხმალაძე მევლუდ	3	3	6	30	-	4	-	4	-	-
42	ჯაფარიძე ზაბით	3	2	5	25	-	2	-	2	-	-
43	დარჩიძე იაკუბ	2	2	4	10	-	2	-	2	-	-
44	დარჩიძე თალიბ	2	5	7	60	-	7	1	6	-	-
45	ცეცხლაძე ხასან	3	2	5	15	-	5	-	5	-	-
46	ჯაფარიძე შაბან	3	1	4	10	-	1	-	1	-	-
47	ფუტკარაძე ხუსეინ	7	5	12	33	-	9	1	8	-	-
48	ფუტკარაძე ხასან	4	5	9	34	-	7	-	7	-	-
49	ფუტკარაძე დემური	3	2	5	29	-	11	-	9	2	-
50	დარჩიძე სულეიმან	2	1	3	26	-	5	-	5	-	-
51	სურმანიძე ეშრეფ	4	3	7	32	-	8	-	8	-	-
52	სურმანიძე მემედი	7	3	10	35	-	14	-	9	5	-
53	ცეცხლაძე იაკუბ	2	2	4	28	-	7	-	7	-	-
54	ცეცხლაძე ქემალ	3	2	5	38	-	14	-	11	3	-
55	ცეცხლაძე რეჯებ	3	2	5	32	-	13	-	10	3	-
56	სურმანიძე მუსტაფა	2	3	5	44	-	9	-	9	-	-
57	დარჩიძე სულო	2	1	3	35	-	7	-	7	-	-
58	ცეცხლაძე სულეი-მან	3	3	6	16	-	5	-	3	2	-
59	ხმალაძე ასლან	4	1	5	27	-	6	-	6	-	-
60	ფუტკარაძე იბრაგიმ	2	2	4	19	-	5	-	5	-	-
61	ფუტკარაძე მევლუდ	2	3	5	10	-	5	-	5	-	-
	ჯამი	182	167	349	1715	-	433	12	392	29	-

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურც.237-238

სოფ. ტომაშეთი სხალთის თემი, ხულოს მაზრა

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბაღი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვილფ. ფქონანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი
	აღმწერი შ. ლორთქიფანიძე										
1	ვაშაყმაძე იუსუფ	8	6	14	53	-	20	1	13	6	-
2	ვაშაყმაძე ხუსეინ	4	3	7	29	-	11	-	11	-	-
3	ვაშაყმაძე ხუსეინ შერიფის ძე	4	4	8	70	-	19	2	15	2	-
4	ვაშაყმაძე ამაზა	5	6	11	32	-	9	-	7	2	-
5	ვაშაყმაძე მევლუდ	3	3	6	32	-	5	-	5	-	-
6	ფუტკარაძე აჯი	11	8	19	60	-	28	1	20	7	-
7	ფუტკარაძე შერიფ	4	3	7	22	-	11	-	7	4	-
8	ფუტკარაძე ყაია	2	1	3	25	-	14	-	14	-	-
9	ფუტკარაძე როსტომ	4	1	5	25	-	15	-	15	-	-
10	ფუტკარაძე ხასან	3	4	7	19	-	12	-	10	2	-
11	ფუტკარაძე დურსუნ	4	3	7	55	-	3	-	3	-	-
12	ფუტკარაძე შაქირ	6	3	9	60	-	17	-	11	6	-
13	ფუტკარაძე სულთან	1	4	5	40	-	15	-	12	3	-
14	ფუტკარაძე იაკუბ	1	4	5	25	-	9	1	8	-	-
15	ფუტკარაძე სარე	1	4	5	20	-	6	-	6	-	-
16	ფუტკარაძე ხუსეინ დურსუნის ძე	7	4	11	26	-	12	-	12	4	-
17	ფუტკარაძე დურსუნ	4	4	8	24	-	6	-	6	-	-
18	ფუტკარაძე დურსუნ ახმედის ძე	7	3	10	51	-	24	1	19	-	-
19	ფუტკარაძე შაისმაილ	9	7	16	49	-	10	-	10	-	-
20	ფუტკარაძე იუსუფ	2	4	6	29	-	9	-	9	-	-

21	ფუტკარაძე მერ-ჯან	1	3	4	18	-	7	-	7	-	-
22	ფუტკარაძე ხუსე-ინ	6	4	10	20	-	7	1	6	-	-
23	ფუტკარაძე მევ-ლუდ	3	1	4	17	-	4	-	4	-	-
24	ფუტკარაძე თევ-ფიყი	2	3	5	15	-	5	-	5	-	-
	ჯამი	102	90	192	716	-	278	7	235	36	-

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურც.238-239

სოფ. შუბანი, სხალთის თემი, ხულოს მაზრა

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბაღი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	ფ. ღქია-ნი საქო-ნელი	ცხვარი და თხა	დანარ-ჩენი
	აღმწერი კ. ჯან-ბერიძე										
1	ბაკურაძე შ. (არ იკითხება)	3	3	6	16	-	4	-	4	-	-
2	ფუტკარაძე ხუსე-ინი	3	5	8	20	-	12	-	8	4	-
3	ფუტკარაძე ხასა-ნი	5	1	6	16	-	5	1	4	-	-
4	ებრაელიძე რიზ-მან	2	3	5	20	-	9	-	5	4	-
5	ებრაელიძე ნური	2	2	4	17	-	8	-	6	2	-
6	ბაკურაძე იუნუს	2	2	4	15	-	4	-	4	-	-
7	ბაკურაძე ხასანი	3	1	4	19	-	4	-	4	-	-
8	ცეცხლაძე მემედი	1	2	3	12	-	6	-	3	3	-
9	ცეცხლაძე რეჯებ	3	2	5	25	-	7	-	7	-	-
10	შანიძე ყაია	4	3	7	25	-	11	-	9	2	-
11	ებრაელიძე ნური	1	4	5	24	-	7	-	5	2	-

12	გორგაძე ხასან	4	4	8	35	-	10	-	10	-	-
13	ებრაელიძე მემედ	4	3	7	46	-	16	1	13	2	-
14	ებრაელიძე დურ-სუნ	2	4	6	33	-	15	1	12	2	-
15	ფუტკარაძე თევ-ფიყ	3	5	8	40	-	15	1	13	1	-
16	ფუტკარაძე ხუსე-ინ	2	3	5	19	-	5	-	5	-	-
17	ფუტკარაძე ალი	4	4	8	41	-	10	-	8	2	-
18	ებრაელიძე ისმა-ილ	3	2	5	37	-	4	-	4	-	-
19	ქურიკიძე ოსმან	7	5	12	33	-	10	-	8	2	-
20	ფუტკარაძე რიზა	2	3	5	38	-	7	1	6	-	-
21	ფუტკარაძე შაქირ	8	6	14	32	-	18	1	13	4	-
22	ჯუმუშიძე იაკოფა	12	5	17	34	-	19	1	8	10	-
23	ჯუმუშიძე ეუბ	3	3	6	31	-	8	-	8	-	-
24	ებრაელიძე იუსუ-ფი	5	3	8	27	-	9	-	9	-	-
25	ებრაელიძე მემე-დი	1	2	3	21	-	9	-	9	-	-
26	ფუტკარაძე ნეშედ	6	6	12	55	-	24	-	16	8	-
27	ფუტკარაძე ზაბით	8	5	13	51	-	16	-	16	-	-
28	ებრაელიძე შაქირ	3	3	6	51	-	12	1	11	-	-
29	ხიმშიაშვილი ზა-ბით	6	6	12	38	-	12	-	12	-	-
30	ხიმშიაშვილი დურსუნ	2	2	4	20	-	4	-	4	-	-
31	ხიმშიაშვილი თენზილა	-	1	1	10	-	-	-	-	-	-
32	ფუტკარაძე ზახ-მედ შაქირის ძე	4	3	7	20	-	5	1	4	-	-
33	ფუტკარაძე ხუსე-ინ	6	4	10	20	-	4	1	3	-	-
34	ფუტკარაძე დურ-სუნ	2	3	5	20	-	5	1	4	-	-
35	ფუტკარაძე ხასან	5	2	7	15	-	4	-	4	-	-
36	ფუტკარაძე ალი	4	6	10	20	-	14	1	8	5	-
37	გორგაძე გერბი	2	2	4	20	-	2	-	-	2	-
38	შუბანის ჯამე	-	-	-		-	-	-	-	-	-
	ჯამი	127	123	250	1018	-	334	12	267	55	-

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურც.239-240

სოფ. კობალთა სხალთის თემი, ხულოს მაზრა

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბაღი და ვენახი	პირუტყვი				
		მამაკაცი	დედაკაცი	სულ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვილფ. ქექანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი
	აღმწერი მ. ბერძენიშვილი										
1	ფუტკარაძე მევლუდ	4	1	5	$13^{3/4}$	-	6	-	6	-	-
2	ფუტკარაძე შაქირ	5	1	6	$12^{1/2}$	-	8	1	5	2	-
3	ფუტკარაძე მიქერალი	2	1	3	13	-	2	-	2	-	-
4	დავითაძე ქე-მალი	7	3	10	$37^{1/2}$	-	12	-	10	2	-
5	შანიძე ნებო	4	4	8	$38^{1/2}$	-	10	-	8	2	-
6	თავდგირიძე ისკენტერ	5	3	8	31	-	8	1	5	2	-
7	თავდგირიძე დურსუნ	2	4	6	31	-	6	1	3	8	-
8	თავდგირიძე შაქირი	5	1	6	15	-	2	-	2	-	-
9	თავდგირიძე ახმედი	5	2	7	40	-	6	1	5	-	-
10	თავდგირიძე გულა	2	-	2	15	-	-	-	-	-	-
11	თავდგირიძე დაუდი	2	3	5	10	-	2	-	2	-	-
12	თავდგირიძე მევლუდი	3	-	3	10	-	1	-	1	-	-
13	გეორგაძე ახ-მედი	3	2	5	9	-	1	-	1	-	-
14	ქებინაძე მევ-ლუდი	4	4	8	13	-	4	-	3	1	-
15	ქებინაძე ოს-მანი	3	5	8	30	-	7	-	5	2	-
16	გიორგაძე იუ-ნუსი	3	3	6	16	-	3	-	3	-	-

17	სურმანიძე ბაირამალი	4	3	7	25	-	12	1	7	4	-
	ჯამი	63	40	103	401 4/4	-	90	5	68	17	-

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურცელი 239

სოფ. ქუთაური, სხალთის თემი, ხულოს მაზრა

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბაღი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვილფ. ფქლიანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი
	აღმწერი მ. ბერძენიშვილი										
1	ბოლქვაძე მუხამედი	4	2	6	12	-	4	-	3	1	-
2	ბოლქვაძე მუსტაფი	7	8	15	32	-	11	1	8	2	-
3	ნაკაშიძე მევლუდ	2	1	3	24	-	2	-	2	-	-
4	ბოლქვაძე დურსუნი	1	3	4	37	-	9	-	9	-	-
5	ნაკაშიძე ხუსეინი	2	2	4	20 1/2	-	6	-	4	2	-
6	შანიძე დურსუნი	3	3	6	46	-	16	-	10	6	-
7	გუნჩულიძე დურსუნი	3	4	7	18	-	5	1	4	-	-
8	ნაკაშიძე მუხამედი	1	-	1	5	-	-	-	-	-	-
		23	23	46	194 1/2	-	53	2	40	11	-

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურცელი 240

ორთაბათუმი, სოფ. კაპრეშუმი

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი	ბაღი და ვენახი	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	მათ შორის			
								ცხენი	მსხვილფ. ღეჭიანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი
1	უსტახუსეინოღლი თემელ	3	3	6	2/4	-	2	-	-	2	-
2	კონცელიძე ხაიდარ	5	2	7	100	3	-	-	-	-	-
3	ბექიროღლი მემედ	1	3	4	1/2^{50}	50	3	-	3	-	-
4	კორძაია ალი	6	5	11	1/2^{50}	-	3	1	2	-	-
5	ცოცხატოღლი ახმედ	5	4	9	1^{50}	-	1	-	1	-	-
6	შირმანოღლი იუსუფ	3	2	5	1/2^{40}	1/4	3	1	2	-	-
7	ჩიჯავაძე ჯემალ	2	3	5	1/2^{50}	1/2	1	-	1	-	-
8	ბალთოღლი უსუფ	6	2	8	1^{30}	-	4	-	4	-	-
9	ბექიროღლი ომერ	2	2	4	1/2^{25}	1/4	1	-	1	-	-
10	კორძაია სულეიმან	8	6	14	2	50	7	-	5	2	-
11	სარჯველაძე ახმედ	3	2	5	1/2^{50}	-	1	-	1	-	-
12	ხუთანოღლი ქერიმ	4	4	8	2^{62}	3/4	6	-	6	-	-
13	კომახიძე სეფერ	4	4	8	1 1/2	1/8	4	-	4	-	-
14	ბალთოღლი ყედირ	2	3	5	1/2^{20}	-	2	-	2	-	-
15	სარჯველაძე ხუსეინ	3	5	8	1/2^{30}	-	2	-	2	-	-
16	კომახიძე ოსმან	1	1	2	1/2^{50}		-	-	-	-	-
17	სეიდოღლი ახმედ	1	3	4	60	-	2	-	2	-	-
18	ძაქარიანი ფილიპე	2	7	9	1^{70}	2	4	-	4	-	-
19	კორძაია აბდულ	6	3	9	50	-	3	-	3	-	-
20	ქიქავა ხასან	6	5	11	1/6	2	2	-	2	-	-
21	იაკოვლევი ნიკოლოზ	3	2	5	1/2^{15}	2,1/2	2	-	2	-	-
22	ილიჩოვი ივანე	3	1	4	1,1/8^{80}	3	3	1	2	-	-
23	უშაკოვი ალექსანდრე	3	3	6	50		2	-	-	-	-
24	ალხავი ეკატერინე	1	3	4	1/2^{80}	2,1/2	-	-	-	-	-
25	შარლი მაო	4	1	5	-	½	1	-	-	-	-
26	დარჩია ბაილომე	1	1	1	3/8^{50}	4	-	-	-	-	1

27	უსტახუსეინოღლი შერიფ	1	1	1	1/2[30]	-	-	-	-	-	
28	უშაკოვი თედორე	1	-	1	3/8[60]	-	-	-	-	-	-
29	ბალთოღლი აბ-დულ	2	2	4	-	-	-	-	-	-	-
30	სარჯველაძე ოს-მან	1	4	5	1 ¼	-	1	-	1	-	-
31	კორძაია სულეიმან	1	2	3	-	-	-	-	-	-	-
32	აჭარის მიწ.მოქ.სა.მეურნე-ობა	-	-	-	-	33	-	-	-	-	-
	ჯამი	94	89	183	19[1052]	57[404]	60	3	52	4	1

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურც.54

სოფ. ზენდიდი ქედის თემი

№	მეკომურის სახელი და გვარი	მცხოვრები			ნათესი (საზომი პინა)	ბაღი და ვენახი (საზომი პინა)	პ ი რ უ ტ ყ ვ ი				
								მათ შორის			
		მამაკაცი	დედაკაცი	ს უ ლ			საერთო რიცხვი	ცხენი	მსხვილფ. ქექანი საქონელი	ცხვარი და თხა	დანარჩენი
1	დიასამიძე ყე-დირ	1	3	4	121	-	4	-	4	-	-
2	დიასამიძე რე-მიზ	1	1	2	36	-	3	-	3	-	-
3	დიასამიძე ხა-სან	6	7	13	82	-	8;1-2	1-2	5	3	-
4	დიასამიძე აბ-დულ	6	3	9	72	-	7	-	6	1	-
5	დიასამიძე ხა-ჯი	7	5	12	95	-	8;1-2	1-2	4	4	-
6	დიასამიძე ას-ლან	5	5	10	81	-	5;1-2	-	5	-	-
7	დიასამიძე ხუ-	3	3	6	42	-	3	-	3	-	-

	სეინ										
8	დიასამიძე მე-მედალი	2	4	6	31	-	2	-	1	1	-
9	ბასელიძე დუ-რაყ	2	2	4	33	-	2	-	2	-	-
10	პაპუნიძე თო-ფან	3	3	6	31	-	3	-	3	-	-
11	პაპუნიძე სუ-ლეიმან	4	4	8	46	-	2	-	1	1	-
12	პაპუნიძე იუ-სუფ	6	2	8	33	-	4	-	4	-	-
13	ბეჟანიძე ემინ	7	7	14	56	-	7	-	4	2	1
14	ნიჟარაძე ქე-მალ	1	2	3	31	-	15	-	3	12	-
15	ბეჟანიძე ხასან	2	5	7	24	-	1	-	1	-	-
16	შარვაშიძე ხა-ჯიმემედ	3	2	5	60	-	5	-	2	3	-
17	შარვაშიძე ეუბ	4	1	5	41	-	7;1-2	-	3	4	1-2
18	ბერიძე სულეი-მან	4	6	10	51	-	7	1	5	1	-
19	დავითაძე სუ-ლეიმან	4	3	7	57	-	5	1	4	-	-
20	ბეჟანიძე ხუსე-ინ	3	2	5	31	-	6	-	6	-	-
21	ომეროღლი (ქვრივი ქალი) ეზიზე	-	1	1	21	-	5	-	5	-	-
22	ბეჟანიძე ყაია	1	6	7	21	-	3	-	3	-	-
23	ბეჟანიძე ახმედ	7	1	8	$77^{1/2}$	-	4	-	3	1	-
24	ბეჟანიძე მურ-თაზა	3	4	7	63	-	17;1-2	-	3	14	1-2
25	ბეჟანიძე ნური	2	2	4	39	-	2	-	2	-	-
26	ბეჟანიძე ზეჰი-რი	2	2	4	50	-	2	-	1	-	
27	ბეჟანიძე ას-ლან	3	4	7	31	-	9	-	4	5	1
28	ბერიძე ოსმან	6	4	10	56	-	7;1-2	-	6	1	-
29	ბერიძე მახმუდ	6	5	11	52	-	4	-	4	-	1
30	ბერიძე სულეი-მან	3	2	5	36	-	4	-	3	1	-
31	ბერიძე ზექე-რია	2	2	4	25	-	4	-	3	1	-
32	ალიოღლი დურსუნ	3	7	10	59	-	5	-	4	1	-
33	ბერიძე სერ-თმამუდ	7	3	10	70	-	3;1-2	-	3	-	1-2

34	ბარამიძე დურ-სუნ	4	1	5	35	-	2	-	2	-	-
35	ბეჟანიძე მოლა ახმედ	2	4	6	55	-	7	2	5	-	-
36	ბეჟანიძე იუ-სუფ	1	2	3	10	-	3	2	1	-	-
37	ბეჟანიძე ხემიდ	6	5	11	50	-	-	-	-	-	-
38	ბეჟანიძე იბრა-ინ	2	1	3	20	-	-	-	-	-	-
39	ბერიძე შერიფ	2	3	5	20	-	2	-	1	1	-
40	ბერიძე ახმედ	7	5	12	32	-	10;1-3	-	6	4	1-2
41	ბერიძე ხულუს	2	1	3	11	-	1;1-2	-	-	1	1-2
42	ბერიძე მემედა-ლი	5	3	8	48	-	4	-	4	-	-
43	ბერიძე აბდულ	4	5	9	32	-	5	-	3	2	-
44	ბარამიძე აბ-დულ	4	5	9	17	-	4	-	4	-	-
45	ბარამიძე ხუ-ლუს	2	3	5	15	-	2	-	2	-	-
46	ბერიძე ხუსეინ	1	3	4	31;1/2	-	5	-	5	-	-
47	ბერიძე ალი	3	3	6	31	-	6	-	6	-	-
48	ბარამიძე ახ-მედ	4	-	4	34	-	2	-	2	-	-
49	ბერიძე მახმუდ	8	6	14	66	-	7	-	6	1	-
50	ბარამიძე ოს-მან	4	2	6	40	-	4	-	3	1	-
51	ბარამიძე იუ-სუფ	3	5	8	47	-	10	-	4	6	-
52	ბეჟანიძე ხუსე-ინ	3	4	7	20	-	2	2	-	-	-
53	ბასილაძე სუ-ლეიმან	1	-	1	-	-	-	-	-	-	-
54	ბერიძე ხასან	1	-	1	20	-	-	-	-	-	-
55	პაპუნიძე ისმა-ლი	2	1	3	25	-	2	-	-	2	-
	ჯამი	193	175	368	2314	-	25/9-18	8;3-6	167	74	2;6-12

ფონდი რ-178, ან.1, საქმე 29, ფურც.170

თანამშრომლობა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებთან

2019 წლის 5 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის საარქივო სამმართველოსა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს შორის

მემორანდუმი



აჭარის საარქივო სამმართველო

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 05. 12. 2019

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო (შემდეგში საარქივო სამმართველო), წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (შემდგომში - მუზეუმი), წარმოდგენილი მუზეუმის მმართველის ომარ ლანჩავას სახით,

ვაცნობიერებთ, რა საარქივო დოკუმენტებისა და სამუზეუმო ექსპონატების დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხში თანამშრომლობის აუცილებლობას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია საარქივო სამმართველოსა და და მუზეუმს შორის თანამშრომლობა საარქივო დოკუმენტებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, კვლევისა და პოპულარიზაციის სფეროებში;
1.2 მხარეები ურთიერთთანამშრომლობის უმთავრეს მიმართულებად მიიჩნევენ საარქივო დოკუმენტებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას.

2. საქმიანობა

2.1 მხარეები ადასტურებენ, რომ ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებებით:

- მხარეები ითანამშრომლებენ საარქივო და სამუზეუმო ფონდებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების კვლევის, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის სფეროში და განახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს;

- მხარეები მემორანდუმის მიზნების მისღწევად ერთმანეთს გაუწევენ მეთოდურ, საკონსულტაციო და სხვა სახის დახმარებას;
- ხელს შეუწყობენ მხარეების სპეციალისტების თანამშრომლობასა და ურთიერთგამოცდილების გაზიარებას;
- განახორციელებენ ერთობლივი პუბლიკაციების მომზადებას; საერთაშორისო საარქივო და სამუზეუმო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, გაწევრიანებაში ხელშეწყობას და თანადგომას;
- საარქივო და სამუზეუმო სფეროში ერთობლივი ღონისძიებების (მ.შ. გამოფენები, სიმპოზიუმები, სამეცნიერო კრებულების გამოცემები და ა.შ.) დაგეგმვას და განხორციელებას;
- ინფორმაციის გაზიარებას საარქივო და სამუზეუმო სფეროში გამართული სიმპოზიუმების, შეხვედრებისა და კონფერენციების შესახებ.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა ძირითად შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

3.2 ხელმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ უზრუნველყოფენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

3.3 მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ თავიანთი საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის საფუძველზე.

3.3 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

3.4 მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნეს განხილული მემორანდუმის პირობების დამრღვევ პირად. ფორსმაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ, მხარემ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ვალდებულების შესრულება.

4. დასკვნითი დებულებები

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

4.2 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.3 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 30 კალენდარული დღით ადრე მემორანდუმის ცალმხრივად მოშლის შესახებ წერილობით შეტყობინების საფუძველზე.

4.4 მემორანდუმის ფარგლებში, დამატებითი შეთანხმება კონკრეტულ ურთიერთვალდებულებებზე უნდა გაფორმდეს დამატებით, წერილობითი სახით.

4.5 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ.

4.6 მხარეები ადასტურებენ, რომ მემორუნდუმის მოქმედების განმავლობაში წარმოადგენენ საკონტაქტო პირს მხარეებთან ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციის მიზნით.

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო მის: ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ, N 126 ს/კოდი: 6010 ელ-ფოსტა: info@archives-adjara.gov.ge ფეისბუკ-გვერდი - აჭარის საარქივო სამმართველო	სსიპ. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მისამართი: ქ. ქუთაისი, პუშკინისქ.18 ს/კოდი:212704938 ელ-ფოსტა: omarilanchava@gmail.com ვებ-გვერდი: www.histmuseum.ge
სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი	დირექტორი ომარ ლანჩავა

ჩვენი ავტორები:

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის საარქივო სამმართველო, სამსახურის უფროსი (საქართველო, ბათუმი);
2. **სიმონ კილაძე** – საქართველოს დიპლომატიის მკვლევარი, ანალიტიკოსი (საქართველო, თბილისი);
3. **ჯენი მაჯაროვი** – წმინდა კლიმენტ ოხრიდსკის სოფიის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (ბულგარეთი, სოფია);
4. **რამაზ სურმანიძე** – †
5. **ოთარ გოგოლიშვილი** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, დირექტორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
6. **მაია რურუა** – აჭარის საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (საქართველო, ბათუმი);
7. **ნინო ჯაველიძე** – შალვა რადიანის სახლ-მუზეუმი, დირექტორი (საქართველო, ოზურგეთის რაიონი, სოფ. დვაბზუ);
8. **მერაბ მეგრელიშვილი** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
9. **რევაზ უზუნაძე** – სამედიცინო აკადემია, დირექტორი; ისტორიის დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
10. **მერაბ უზუნაძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, უფროსი მეცნიერ – თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
11. **გიორგი დოლიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი);
12. **თამაზ ფუტკარაძე** – აჭარის საარქივო სამმართველო, სამსახურის უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
13. **გუგული პატარიძე** – აჭარის საარქივო სამმართველო, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
14. **ინგა ფაცურეიშვილი** – აჭარის საარქივო სამმართველო, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, (საქართველო, ბათუმი).

Our Authors:

1. **Elguja Chaganava –** Archives Administration of Ajara, head of service (Georgia, Batumi);
2. **Simon Kiladze –** Researcher of Georgian diplomacy, analyst (Georgia, Tbilisi);
3. **Dzeni Madzharov –** Saint Kliment Okhridsky Sofia University, Associate Professor (Bulgaria, Sofia);
4. **Ramaz Surmanidze – †**
5. **Otar Gogolishvili –** Khariton Akhvlediani Museum, Director; Batumi Shota Rustaveli State University, Associate Professor (Georgia, Batumi);
6. **Maia Rurua –** Archives Administration of Ajara, head of department (Georgia, Batumi);
7. **Nino Javelidze** – Shalva Radiani Museum, Director (Georgia, Ozurgeti, village Dvabzu);
8. **Merab Megrelishvili –** Niko Berdzenishvili Scientific-Research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
9. **Revaz Uzunadze** – Medical Academy, Director, candidate of historical science (Georgia, Batumi);
10. **Merab Uzunadze –** Batumi Archaeological Museum, research fellow (Georgia, Batumi);
11. **George Dolidze –** Batumi Shota Rustaveli State University, Student (Georgia, Batumi);
12. **Tamaz Phutkaradze –** Archives Administration of Ajara, head of service; Batumi Shota Rustaveli State University, Professor (Georgia, Batumi);
13. **Guguli Pataridze –** Archives Administration of Ajara, Senior Specialist of the second category (Georgia, Batumi);
14. **Inga Fatsureishvili –** Archives Administration of Ajara, Senior Specialist of the second category (Georgia, Batumi).

სარჩევი

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში 3
2. **სიმონ კილაძე** – რა ხდებოდა 100 წლის წინ მოსკოვში: „ბათუმი – ჩვენ, ართვინ – არტაანი – თქვენ“ – ლენინის წერილი მიხედვით, რაზე უნდა დალაპარაკებოდა სტალინი თურქებს? 10
3. **Dzheni Madzharov –** The hands of protest in Georgia (2008-2013). Gestures – the neglected cultural heritage 24
4. **რამაზ სურმანიძე** – ლევილის ბინადარი სამოლეთიდან 35
5. **ოთარ გოგოლიშვილი** – აბდულ მიქელაძის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან 41
6. **მაია რურუა** – საქართველოს სსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო. აჭარის ასსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის (მუკის) საოლქო საბჭოს ისტორიიდან 45
7. **ნინო ჯაველიძე / მერაბ მეგრელიშვილი** – ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში XX საუკუნის დასაწყისში 52
8. **რევაზ უზუნაძე / მერაბ უზუნაძე** – ეპიზოდები სოფელ ჯოჭოს წარსულიდან 62
9. **გიორგი დოლიძე** – ლელობურთი გურიაში 72
10. **თემატური ნუსხები** 82
11. **თამაზ ფუტკარაძე / გუგული პატარიძე –** რეცენზია შოთა ჯიბლაძის ნაშრომზე „გოგიეთი“ 86
12. **თამაზ ფუტკარაძე** – რამაზ სურმანიძის გახსენება 92
13. **ინგა ფაცურეიშვილი** – სერგო ტაბაღუას გახსენება 99
14. **საარქივო მასალები** **102**
15. **მემორანდუმი** 113

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com